სარბიელი

სპორტული გაზეთი | სამშაბათი 25 ივლისი 2000 №140 (1162) | ფასი 50 თეთრი

ეროვნული ბიბლიოთეკა

მერაბ რატიანი

თბილისის „დინამოს“ პრეზიდენტს მძიმე ბრალდება წაუყენეს

მერაბ რატიანს გამოძიების დასრულებამდე სამთვიანი პატიმრობა მიესაჯა

შავი ღრუბლები თბილისის „დინამოს“ თავზე უფრო გამუქდა. 20 ივლისს სამართალდამცავებმა ს.კ. „დინამოს“ პრეზიდენტი მერაბ რატიანი დააკავეს. ორი დღის შემდეგ, 22 ივლისს მას საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 182-ე მუხლის III ნაწილით მძიმე ბრალდება წაუყენეს, რაც სხვისი ქონების მითვისება-გაფლანგვას ითვალისწინებს და კანონით 6-დან 12 წლამდე პატიმრობით ისჯება. 23 ივლისს, კვირას, კრწანისი-მთაწმინდის სასამართლოში დახურული პროცესი შედგა, სასამართლომ 3-საათიანი მუშაობის შემდეგ რატიანი დამნაშავედ ცნო და გამოძიების დასრულებამდე სამთვიანი პატიმრობა მიუსაჯა. ამის შესახებ გადაწყვეტილება კრწანისი-მთაწმინდის სასამართლოს თავმჯდომარემ, მამუკა სონღულაშვილმა მიიღო. ამჟამად მერაბ რატიანი შინაგან საქმეთა სამინისტროს იზოლატორშია მოთავსებული, სასამართლომ „დინამოს“ პრეზიდენტის ადვოკატის, ზურაბ როსტიაშვილის თხოვნა მისი კლიენტის თავდებით გათავისუფლების შესახებ არ დააკმაყოფილა.

იხილეთ მესამე გვერდი

დაიჯერეთ: ფიგუ რეალშია!

REUTERS მაგრიდიდან

გუშინ „რეალის“ ახალმა პრეზიდენტმა ფლორენტინო პერესმა (მარცხნივ) და ლეგენდარულმა ალფრედო დი სტეფანომ ლუიშ ფიგუს „რეალის“ 10-ნომრიანი მაისურა ჩააბარეს

კატალონიელებისთვის ლუიშ ფიგუს „ბარსელონადან“ „რეალში“ გადასვლა ძალიან სამძიმო და ბოლო წუთამდე დაუჯერებელ ამბად რჩებოდა (ამის დაჯერება რატომღაც ჩვენშიც ძალიან გაუჭირდათ). აკი გუშინ, „ბარსელონას“ პრეზიდენტის არჩევნების მეორე დღეს, „კამპ ნოუზე“ შეკრებილ ბარსელონელ ქომაგებს იმედის ნაპერწკალი კიდევ შერჩენოდათ — საქმე ეგებ საჩვენოდ შემოტრიალდესო, მაგრამ...

გუშინ საღამოსვე „სანტიაგო ბერნაბეუზე“ მისულ მადრიდელებს იქ ფიგუ დახვდათ „რეალის“ ახალარჩეულ პრეზიდენტ ფლორენტინო პერესთან ერთად. ფიგუსთვის 10-ნომრიანი მაისურის გადაცემის ცერემონიალი თვით ლეგენდარულმა ალფრედო დი სტეფანომ დააფასა.

ერნან კრესპომ უძვირესის სახელი სულ რამდენიმე დღე ატარა, ახლა ასეთი ფიგუა. 56 მილიონი დოლარი — აი, მისი ფასი. ამბობენ, პორტუგალიელზე ძვირად ზინედინ ზიდანი თუ შეფასდებაო.

„რეალიდან“ „ბარსელონაში“ და პირიქით, გადამსვლელთა რიცხვი კი იზრდება: მიქაელ ლაუდრუპი, ბერნდ შუსტერი, ლუის ენრიკე, ახლა ფიგუც.



დავით ხმელიძე

რა ხმელიძის ბრალია?!

შაბათს ძირითად შემადგენლობაში თამაშს, როგორც იქნა, ეღირსა როსტოვის „როსტსელმაშის“ ქართველი მეკარე დავით ხმელიძე. მას გუნდის თავკაცი სერგეი ანდრეევი ფრანგულ „ოსერთან“ ინტერტოტოს თასის საპასუხო მატჩში ენდო და კარში ჩააყენა.

„ოსერმა“ საკუთარ მინდორზეც დაამარცხა მეტოქე და შემდეგ ეტაპზე გავიდა. ფრანგებმა პირველივე ტაიმში მოათავეს საქმე, ხმელიძეს სამჯერ გამოატანინეს კარიდან ბურთი. მეორე ნახევარში იგივეს გაკეთების საშუალება მასპინძლებს აღარ მიეცათ. ხან ხმელიძემ იკაკაცა, ხანაც ფრანგებს უმტყუნათ მიზანმა. თამაში საბოლოოდ „ოსერმა“ 3:1 მოიგო. პირველი მატჩი „როსტსელმაშს“ 0:2 ჰქონდა წაგებული.

რუსული პრესის ცნობით, ხმელიძეს არც ერთი გოლის გაშვებაში მიუძღვის ბრალი. ორჯერ ფრანგებს ქართველ მეკარესთან პირისპირ გასულთ გაუტანიათ, ერთხელაც ახლოდან ძლიერი დარტყმით. სტუმართა დაცვა მთლიანად მოშლილი ყოფილა.

„როსტსელმაში“ საფრანგეთს შეთხელებული შემადგენლობით გაემგზავრა. ანდრეევმა სულ 15 ფეხბურთელი იახლა, რომელთა შორისაც ერთი მეკარე დათო ხმელიძე გახლდათ. გუნდის ძირითადი გოლკიპერის, საჭენკოს როსტოვში დარჩენა მატჩამდელ პრესკონფერენციაზე ანდრეევმა ვიზის არქონით ახსნა.

— ხმელიძეს კარგი შანსი ეძლევა. მართალია, მას რუსეთის ჩემპიონატში ერთხელაც არ უთამაშია, სათამაშო პრაქტიკა აკლია, მაგრამ ძალიან ნიჭიერი მეკარეა და მჯერა, თავს არ შეირცხვენს — განაცხადა პრესკონფერენციაზე მწვრთნელმა.

მატჩის შემდეგ ანდრეევის აზრი ხმელიძეზე უცნობია, თუმცა თავად თამაშის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, მწვრთნელს ჩვენებურზე წარმოდგენა არ უნდა გაფუჭებოდა.

ვანო ოქროპირიძე

თვითგაძევება

ლონდონური „ჩელსი“ და მისი ქართველი ლეგიონერი რატი ალექსიძე ახალი, პრემიერლიგური სეზონისთვის ემზადება.

შაბათს ლონდონელებმა პირველი საწვრთნელი მატჩი ჩაატარეს. მეტოქედ დაბალლიგელი „კინგსტონიანი“ ჰყავდათ.

„ჩელსის“ რიგებში ვერ ნახავდით ევრო 2000-ის ვერც ერთ მონაწილეს, ისინი ჯერაც ისვენებენ. სამაგიეროდ მინდორზე იყვნენ ალბერტ ფერერი, გუსტავო პოიეტი, რობერტო დი მატეო და ჯანფრანკო ძოლა. ვიალიმ საქმეში „ჩელსის“ სამი ახალწვეული გუდიონსენი, სტანიჩი და ჰასელბაინკიც ჩართო. ძირითად შემადგენლობაში იყო რატი ალექსიძე.

ჯანლუკა ვიალიმ თავიდანვე უცნაური გადაწყვეტილება მიიღო. თავისი გუნდი 10 მოთამაშით შეგნებულად დაუპირისპირა მეტოქეს. აქოდა კაცნაკლულად ფეხბურთელები მეტს ირბენენო.

მინდორზე სულ 20 ჩელსელი გავიდა. ათმა პირველი ტაიმი ითამაშა, ათმაც მეორე.

„ჩელსიმ“ 3:1 მოიგო. გოლები ჰასელბაინკმა, დი მატეომ და სტანიჩმა გაიტანეს. კარგად ითამაშა ძოლამ, რომლის ორგანიზებული შეტევებიდანაც გავიდა საშვე გოლი „კინგსტონიანის“ კარში.

თამაშის შემდეგ ვიალი სხვებთან ერთად ალექსიძესაც გაესაუბრა. მწვრთნელმა იმ ფაქტორებზე გაამახვილა ყურადღება, რომლებზეც გაცილებით მეტი უნდა ვიმუშავოო, გვითხრა რატი ალექსიძემ სატელეფონო საუბრისას.

მამუკა კვანტალიანი

რატი ალექსიძე

არჩილ არველაძე: ხუთში ექვსი

მოედანს უგოლოდ არ ტოვებს გერმანული „კიოლნის“ ქართველი ახალწვეული არჩილ არველაძე. მეხუთე საწვრთნელ მატჩში მან შეექვსე გოლი გაიტანა.

როგორც „სარბიელის“ მკითხველმა იცის, „კიოლნი“ ამჟამად სამშობლოშივე გადის ერთკვირიან შეკრებას, რომლის განმავლობაშიც კლუბის თავკაცობამ ორი საკონტროლო მატჩი დაგეგმა.

ერთი „კიოლნმა“ უკვე ჩაატარა. შაბათს ევალდ ლინენის შეგირდები მეორე ბუნდესლიგის „ოსნაბრუკს“ დაუპირისპირდნენ და წლევანდელ მოსამზადებელ პერიოდში პირველი მარცხიც იწვნიეს. „ოსნაბრუკმა“ 3:2 დაამარცხა ელიტაში წლეულს დაბრუნებული „კიოლნი“.

მატჩის მე-2 წუთზევე არჩილ არველაძემ მეტოქე მცველებს ბურთი წაართვა, მარცხენა ფლანგზე გაიჭრა და „კიოლნის“ მეორე ახალწვეულ მარკუს კროიცს ისეთი პასი მისცა, მას გატანა აღარ გასჭირვებია. მასპინძლებმა მალევე გაათანაბრეს. იანიკმა პენალტი გამოიყენა. მე-19 წუთზე ისევ აჩიკომ გაიბრწყინა, ძლიერი დარტყმით თავისიანები ხელმეორედ დააწინაურა, თუმცა ერთი წუთით. ანგარიში ისევ იანიკმა გაქვითა. გადამწყვეტი გოლი კლასენმა შეაგდო 79-ე წუთზე.

„დღეს ცუდად ვითამაშეთ. სიმართლე გითხრათ, ბოლო დღეებში მძიმე ვარჯიშების შემდეგ მეტს არც ველოდი“ — ასე ახსნა გუნდის წარუმატებელი თამაში ლინენმა.

მორიგ საკონტროლო შეხვედრას „კიოლნი“ დღეს ატარებს. წინასასეზონო სამზადისს კი კლუბი, როგორც გუშინწინ გაირკვა, 5 აგვისტოს დაასრულებს. ამ დღეს კიოლნელები ესპანური პრიმერადივიზიონის სან სებასტიანის „რეალ სოსიედადს“ უმასპინძლებენ.

არჩილ არველაძის მსგავსად ბოლო დროს გატანას მოუხშირა „ფრაიბურგის“ ქართველმა თავდამსხმელმა ალექსანდრე იაშვილმა, რომელმაც „კონსტანცთან“ 6:1 მოგებულ შეხვედრაში ორი ბურთი შეაგდო.

ვანო ოქროპირიძე

არჩილ არველაძე

ოთარი სპარტაკს მოერგო

ხიზანეიშვილი „კრილია სოვეტოვთან“ საუკეთესოდ აღიარეს

მოსკოვის „სპარტაკში“ ახლახან ჩარიცხული ოთარ ხიზანეიშვილი რუსულ გრანდს, როგორც ჩანს, კარგად მოერგო. ეს იქაური ჩემპიონატის მე-18 ტურმაც დაადასტურა.

შაბათს „სპარტაკმა“ სამარის „კრილია სოვეტოვს“ უმასპინძლა და წააგო. ეს მეორე შემთხვევაა რუსეთის ჩემპიონატების ისტორიაში, როცა „სპარტაკი“ ზედიზედ მეორედ აგებს.

„სპარტაკის“ ახალწვეულებმა — ქართველმა ხიზანეიშვილმა და ლატვიელმა შტოლცერსმა დაამტკიცეს, რომ ახალ გუნდში არ დაიკარგებიან. 18 წლის ქართველი მცველი შაბათს სპარტაკელთა შორის საუკეთესო გახლდათ. მას, რა თქმა უნდა, კიდევ ბევრი მუშაობა მართებს, უპირველეს ყოვლისა, ტაქტიკური განსწავლულობა სჭირდება. ხიზანეიშვილმა „სპარტაკის“ ძირითად შემადგენლობაში პირველად კი ითამაშა, მაგრამ უმალ ახალგაზრდა ხლესტოვი გაგვახსენა, მასავით ძლიერი და მებრძოლია. დავამატებთ, რომ ქართველი ძალიან სწრაფია და თავითაც კარგად თამაშობს...“ — წერს გუშინდელი „სპორტ ეკსპრესი“.

„სპარტაკი“ სამარელებთან 1:2 დამარცხდა. პირველ ტაიმში გაშვებული გოლის გაქვითვა მოსკოველებმა კი შეძლეს, მაგრამ მეორეს ველარაფერი მოუხერხეს. მთლიანად „სპარტაკმა“ არცთუ კარგი შთაბეჭდილება დატოვა. სამაგიეროდ, ხიზანეიშვილი გახლდათ ჩინებული. ოთარმა მთელი 90 წუთი უშეცდომოდ ითამაშა და გუნდში ყველაზე მაღალი შეფასებაც (6,5 ბალი) დაიმსახურა.

შეგახსენებთ, ხიზანეიშვილი გუნდის შემადგენლობაში პირველად ერთი კვირის წინ გამოჩნდა. მაშინ „ლოკომოტივთან“ 2:3 წაგებულ მატჩში „სპარტაკის“ თავკაცმა ოლეგ რომანცევმა ჩვენებური მეორე ტაიმში გამოიყვანა. ოთარმაც მშვენიერი დებიუტი მოიწყო. მასმედიამ სპარტაკელთა შორის ერთ-ერთ საუკეთესოდ აღიარა. ქება არც მწვრთნელებმა დააკლეს.

ვანო ოქროპირიძე

ოთარ ხიზანეიშვილი

ქირავდება

ერთოთახიანი, იზოლირებული, კეთილმოწყობილი ბინა ქავთარაძის ქუჩაზე

☎ 93 15 72

ექიმი კარდიოლოგი
გია მაზავრაშვილი

- სუ ჯოკ აკუპუნქტურა
- სუ ჯოკ ჰომეოპათია და ფიტოთერაპია
- კვებისა და ფიზიკური რეჟიმის კორექცია (აპრობირებულია სპორტულ მედიცინაში)

მკურნალობის მოსალოდნელი შედეგის განსაზღვრა შეფასდ კონსულტაციით.

თბილისი. ვაჟა-ფშაველას 83/11. სუ ჯოკ თერაპიის ცენტრი
ტელეფონი: 31-55-35, 38-67-56

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტორპედო ბელგრადში დაშინისკენ

კვირას საქართველოს ჩემპიონი ქუთაისის „ტორპედო“ ბულგარული ალბენადან იუგოსლავიის დედაქალაქ ბელგრადში გადაბარგდა.

ჩემპიონთა ლიგის პირველ შესარჩევ ეტაპზე ფარერული „კლაკსვიკარის“ 3:0, 2:0 მძლეველ „ცრვენა ზვეზდასთან“ სათამაშოდ „ტორპედოს“ თავკაცმა დავით ყიფიანმა 18 ფეხბურთელი იახლა:

მეკარეები: ირაკლი ზოიძე, გრიგოლ ჭანტურია

მცველები: მიხეილ მახვილაძე, ვახტანგ ხვადაგიანი, ვახტანგ თურმანიძე, ვალტერ გუჩუა, ზურაბ არჩვაძე

ნახევარმცველები: ბადრი ახვლედიანი, კახა კვეტენაძე, თენგიზ სიჭინავა, კახა ჩხეტიანი, მალხაზ ასათიანი, ზურაბ იონანიძე, ზაზა ვარიბერაძე

თავდამსხმელები: დავით ჯანაშია, გია მეგრელაძე, გია იმედაძე, მიხეილ ბობოხიძე.

სამშობლოში ნაადრევად დაბრუნებულ დანარჩენ ტორპედოელებს შინ გუნდის ერთ-ერთი მწვრთნელი გიორგი აბზიანიძე გამოჰყვა.

ტორპედოელები საკუთარმა ავტობუსმა წუხელ ჩამოიყვანა საქართველოში:

გუნდის სტაჟიანი მცველები ალექსანდრე შეყრილაძე და ირაკლი მაღლაკელიძე, ექს-თბილისელი მეკარე ზურაბ მამალაძე, ფარმკლუბელები ალექსანდრე ამისულაშვილი, ჯაბა თავბერიძე და გაზაფხულზე „სამგურალში“ განათხოვრებული გოდერძი გოგოლაძე. საქართველოში დაბრუნება მოუხდა კოლხყოფილ ნახევარმცველ ჯონი შალამბერიძესაც, რომელიც მენინგიტის საწყისი ნიშნების გამო ბულგარეთში ერთ კვირას სტაციონარულად მკურნალობდა.

ბულგარული შეკრებისას „ტორპედომ“ 5 საკონტროლო შეხვედრა გამართა: 1:0 მოუგო უმაღლესლიგელ ვარნის „სპარტაკს“, შერეული შემადგენლობით 0:2 დაეჩაგვრინა და ძირითადით 1:1 დაუზავდა ბურგასის „ჩერნომორეცს“. ადგილობრივ, უცნობ მესამელიგელებთან კი მოგებულ-წაგებული დარჩა: ძირითადმა გუნდმა 7:0 გაიმარჯვა, სათადარიგო კი 0:1 დამარცხდა.

„ტორპედო“ „ცრვენა ზვეზდას“ ხვალ, 26 ივლისს ბელგრადში ეთამაშება ჩემპიონთა ლიგის მეორე საკვალიფიკაციო ეტაპის პირველ მატჩში.

იუგოსლავიელები თავიანთ „მარაკანას“ სასტუმროში ამ დილას შეიკრიბებიან, საღამოს და თამაშის დღესაც ივარჯიშებენ და მატჩისთვის უძლიერესი შემადგენლობით გაემზადებიან. მათ „კლაკსვიკართან“ უთამაშებელი სამი უძლიერესი ფეხბურთელი დაემატებათ — კაპიტანი და ლიბერო ბუნიევჩევიჩი, რომელიც მწვრთნელმა ევროპის ჩემპიონატის შემდეგ დაასვენა, მარჯვენა მცველი ზორიჩი და მეკარე პიანოვიჩი.

იუზა კაციტაძე *ქუთაისიდან*

მერაბ რატიანი

დინამოს პრეზიდენტს ბრალდება წაუყენეს

დასაწყისი პირველ გვერდზე

რის საფუძველზე სდებენ ბრალს რატიანს? ამის თაობაზე დღეს თბილისში უამრავ ვერსიას მოისმენთ. ზოგი რას ამბობს, ზოგიც რას. საქმეში გასარკვევად გუშინ კრწანისი-მთაწმინდის სასამართლოს თავმჯდომარეს, მამუკა სონღულაშვილს შევხვდით. მან შეკითხვებზეც გვიპასუხა და ამ საქმესთან დაკავშირებული ოფიციალური დოკუმენტიც წარმოგვიდგინა.

„ბრძანება. 23 ივლისი, 2000. ბრალდებულის მიმართ აღკვეთის ღონისძიების სახით დაპატიმრების გამოყენების შესახებ.

გამოიკვლიე სისხლის სამართლის საქმე №7499027 „დინამოს“ დირექტორთა საბჭოს წევრების მიმართ კრედიტის მოტყუებით მიღების ფაქტზე.

საქმეზე ჩატარებული წინასწარი გამოძიებით დადგენილია: საქართველოს პრეზიდენტის 1995 წლის 18 სექტემბრის №721 წერილის საფუძველზე ს.კ. „დინამოს“ უსასყიდლოდ გადაეცა ს.ს. „მზიურის“ აქციების 25%. 1997 წლის 13 დეკემბრიდან 1999 წლის 29 დეკემბრამდე „მზიურის“ დირექტორი იყო მერაბ რატიანი, რომელიც ამავამად „მზიურის“ სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარეა. 1997-98 წლებში „დინამომ“ ტბს ბანკიდან აიღო 400 000 დოლარი. აღნიშნული კრედიტის განკარგვის უფლება „დინამოს“ პრეზიდენტმა მერაბ ყორდანიამ რატიანს მიანიჭა. რატიანმა „მზიურისთვის“ ნედლეულის შეძენის მიზნით ს.კ. „დინამოს“ სალაროდან სულ 14-ჯერ გაიტანა 502 151 ლარი და 44 თეთრი, საიდანაც მან 8 შემთხვევაში ს.ს. „მზიურის“ სალაროში შეიტანა მხოლოდ 424 337 ლარი და 96 თეთრი, ანუ 77 813 ლარითა და 75 თეთრით ნაკლები, რაც მან მითვისა. მანვე 1998 წლის 2 ივლისს გააფორმა სატრანსფერო კონტრაქტი რუსეთის ფეხბურთის ფედერაციის დაქვემდებარებაში მყოფ კლუბ „ალანიასთან“. კონტრაქტი დაკავშირებული იყო ქართველ ფეხბურთელ გიორგი დემეტრაძესთან. მის თანახმად, „ალანიას“ „დინამოსთვის“ 720 000 დოლარი უნდა გადაერიცხა. „ალანიამ“ ზემოაღნიშნული კონტრაქტის ყველა პირობა შეასრულა. კერძოდ, რატიანის მითითებით „ალანიამ“ 130 000 დოლარი გადარიცხა შვეიცარიაში, ჟენევაში, ფინანს ბანკში. „დინამოს“ ანგარიშზე №500097, 100 000 დოლარი — „მზიურის“ ანგარიშზე საქართველოს ბანკში №30111810400011102117.

70 000 დოლარი „დინამოს“ ყოფილი პრეზიდენტის, მერაბ ყორდანიას მითითებით გადაირიცხა გერმანიაში, ქალაქ ვისბადენში ვლადიმერ გუცაევის პირად ანგარიშზე №0376774147, ხოლო დარჩენილი 420 000 დოლარი რატიანმა ხელზე მიიღო, არ შეიტანა კლუბის სალაროში, არ აღრიცხა ბუღალტერულად და მითვისა, რითაც ზარალი მიაყენა „დინამოს“.

რატიანი 2000 წლის 20 ივლისს დაკავებულ იქნა ეჭვმიტანილის სახით, ხოლო მიმდინარე წლის 22 ივლისს მიცემულ იქნა სისხლის სამართლის პასუხისმგებლობაში საქართველოს სსკ 182-ე მუხლის III ნაწილით.

22 ივლისს სასამართლოს შუამდგომლობით მიმართა მსს საგამომძიებლო დეპარტამენტის გმს უფროსმა გამომძიებელმა გოგი ნებიერიძემ, რომლითაც ითხოვა ბრალდებულ რატიანის მიმართ აღკვეთის ღონისძიების სახით დაპატიმრების გამოყენება იმ მოტივით, რომ რატიანს ბრალად ედება განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის ჩადენა და შესაძლებელია, იგი დაემალოს გამოძიებას მოსალოდნელი პასუხისმგებლობისგან თავის აცილების მიზნით. ზეგავლენა მოახდინოს მოწმეებზე, გაანადგუროს გამოძიებისთვის მნიშვნელოვანი საბუღალტრო და სხვა დოკუმენტაცია, მოსპოს საქმისთვის არსებითი მნიშვნელობის მქონე მტკიცებულებები, რითაც შეიძლება ხელი შეუშალოს ობიექტური ჭეშმარიტების დადგენას.

შუამდგომლობას მხარი დაუჭირა პროკურორმა ლ. სეხნაშვილმა. რატიანის ადვოკატმა ზ. როსტომაშვილმა შუამდგომლობა დააყენა ბრალდებულის თავდებით გაშვების შესახებ. როსტომაშვილმა ალექსანდრე ჩივაძისა და ნუკრი კაკილაშვილის წერილები წარმოადგინა, რითაც ისინი თავდებად უდგებიან რატიანს. ადვოკატს ხელთ ჰქონდა „ალანიას“ მაშინდელი პრეზიდენტის, ბითაროვის წერილიც. დაკითხა „დინამოს“ ბუღალტერი ნ. მამანი, რომელმაც განმარტა, რომ რატიანმა სალაროდან თანხა გაიტანა.

სსკ 140-ე მუხლის მოთხოვნათა დაცვით მიმაჩნია, რომ გოგი ნებიერიძის შუამდგომლობა დასაბუთებულია და უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო: საქმეზე შეკრებილი მტკიცებულებანი, მოწმეების, ბითაროვის, მამანის, გიოევას ჩვენებები, „მზიურში“ ჩატარებული რევიზიის აქტი, „დინამოში“ ჩატარებული შუალედური შემოწმების აქტი და სხვა მონაცემები იძლევიან საკმარის საფუძველს დასაბუთებული ვარაუდისთვის — ბრალდებულმა ჩაიდინა კრიმინალური დანაშაული.

ვხელმძღვანელობ რა სსსკ 140-ე, 151-ე, 153-ე და 160-ე მუხლებით, ვბრძანებ: დაკმაყოფილდეს მსს საგამომძიებლო დეპარტამენტის გმს განყოფილების უფროსი გამომძიებლის, გ. ნებიერიძის შუამდგომლობა.

ბრალდებულ მერაბ რატიანის, დაბადებულის 1960 წელს, ეროვნებით ქართველის, ცოლშვილიანის, ადრე სამართალში არყოფილის, მცხოვრების თბილისში, გორის ქუჩა №24-ში, მიმართ აღკვეთის ღონისძიების სახით გამოყენებული იქნას დაპატიმრება სამი თვით. პატიმრობის ვადა ჩაეთვალოს დაკავების მომენტიდან.

არ დაკმაყოფილდეს ადვოკატ როსტომაშვილის შუამდგომლობა ბრალდებულ რატიანის მიმართ არასაპატიმრო აღკვეთის ღონისძიების გამოყენების შესახებ.

ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საოლქო სასამართლოს საგამოძიებო კოლეგიაში მისი გაცემიდან 48 საათის ვადაში კრწანისი-მთაწმინდის რაიონული სასამართლოს მეშვეობით. მოსამართლე: მ. სონღულაშვილი“.

აი, ასეთი გახლავთ მოსამართლე მამუკა სონღულაშვილის ბრძანება „რატიანის საქმესთან“ დაკავშირებით. რა იქნება შემდეგ? პირველი პროგნოზი ადვილი გასაკეთებელია. რატიანის ადვოკატი დღეს, ალბათ, საოლქო სასამართლოში საჩივარს წარადგენს. ასე ფიქრობს თავად სონღულაშვილიც. „სამშაბათს საღამოს გასაჩივრებისთვის დათქმული ვადა — 48 საათი იწურება და ბუნებრივია, თავის უფლებას ბრალდებულის მხარე სრულად გამოიყენებს“ — გვითხრა მან. საოლქო სასამართლოში საჩივრის წარდგენის შემთხვევაში (ეს, ალბათ, ასეც იქნება), კრწანისი-მთაწმინდის რაიონული სასამართლო საქმეს საოლქო სასამართლოს გადასცემს, იქ კი პროცესი კანონის თანახმად საქმის მიღებიდან არაუგვიანეს 72 საათისა უნდა დაიწყოს.

დაბოლოს, კულუარებში უკვე ხმამაღლა ლაპარაკობენ იმაზე, რომ „რატიანის საქმე“ ქართულ ფეხბურთში მოტრიალე ბევრ პიროვნებასაც შეეხება.

რა იქნება? ამას მომავალი გვიჩვენებს.

პაატა ძვანტალიანი

შოთამ ფრანგეზსაც გაუტანა

ამსტერდამის აიაქსი ძველი აიაქსის აჩრდილიც აღარაა

ამსტერდამის „აიაქსი“ ასეთი დაუძლურებული და დაჩაჩანაკებული, ალბათ, ძალიან დიდი ხანია, არ ყოფილა. ეს შაბათს საფრანგეთში ნათლად გამოჩნდა. იქაურმა უმაღლესი დივიზიონის „სენტ ეტიენმა“ „აიაქსი“ 5:2 გაანადგურა.

სენტეტიენელებმა თავიდანვე რიხით დაიწყეს და დასაწყისშივე ცუდ დღეში ჩააგდეს ამსტერდამელთა მეკარე ლობონტი. მე-18 წუთზე ჭაბლოზე 4:0 ენთო მასპინძელთა სასარგებლოდ.

ლობონტის კარის რბევა ორიოდე კვირის წინ ჯერაც სანკტ პეტერბურგის „ზენიტის“ ფორვარდმა ალექსანდრ პანოვმა დაიწყო. ეს მე-9 წუთზე მოხდა. მერე ალოიზიომ ორჯერ გაიტანა, სარმა — ერთხელ. 26-ე წუთზე კნოპერმა პირველი ბურთი გაქვითა, შემდეგ შოთა არველაძის ჯერი დადგა. ტაიმის დასრულებამდე ხუთი წუთით ადრე არველაძემ, რომელმაც „აიაქსის“ წინა ოთხ საკონტროლო მატჩში 12 გოლი შეაგდო, ფრანგ მცველებს პასი ჩაუჭრა და მეკარეს თავზე გადაუგდო ბურთი.

მატჩს წერტილი ისევ რუსეთის ნაკრების თავდამსხმელმა პანოვმა დაუსვა, 68-ე წუთზე ლობონტს შანსი არ დაუტოვა.

შეგახსენებთ, „აიაქსისთვის“ ეს მეხუთე საკონტროლო შეხვედრა გახლდათ. წინა ოთხში ამსტერდამელებმა მეტოქეები ერთმანეთის მიყოლებით გააცამტვერეს, თუმცა რეალური სურათის შექმნის მიზნით წინა მოწინააღმდეგეებსაც გაგახსენებთ: „ტუბანტია“ (14:1), „მეპელი“ (14:0), „კოლმხატი“ (7:0), „გრინსტარი“ (18:0). ამ ოთხ შეხვედრაში „აიაქსის“ მიერ გატანილი 53 გოლიდან შოთამ თავის ანგარიშზე, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, თორმეტი ჩაიწერა, მეცამეტეც ახლა „სენტ ეტიენს“ გაუტანა.

ფრანგებთან ამსტერდამელებმა ასეთი შემადგენლობით ითამაშეს: ლობონტი, მოკონა (კანუ 46), ბერგდოლმო, გალაშეკი, კიკუ (პიკე 75), იაკუბუ, კნოპერი, ობრინი, ვან დერ მეიდე (ვამბერტო 72), არველაძე, გრონკიაერი (ბობსონი 76).

ვანო ოჭროპირიძე

შოთა არველაძე მეტოქეს გაურბის

დინამო სანახევროდ გაახლდა



ნუგზარ ლობჟანიძე

ბურამ დელოლაშვილის ფოტო

გუშინ, ნაშუადღევს, თბილისის „დინამო“ 24 ფეხბურთელით ქობულეთს გამგზავრა ახლი სეზონისათვის მოსამზადებლად. ქვეყნის ათგზის ჩემპიონები ზღვისპირას 8 დღეს დაჰყოფენ და ერთ-ორ ამხანაგურ მატჩსაც გამართავენ იქაურ პირველლიგელ „შუქურასთან“.

გუნდის მწვრთნელ რევაზ არველაძის სიაში სანახევროდ ის ფეხბურთელები არიან, რომლებსაც გასული სეზონი „დინამოში“ არ ჩაუმთავრებიათ. მათგან შვიდი — ბათიაშვილი, ზამთარაძე, ტყებუჩავა, კანდელაკი, ჩივაძე, ნორაკიძე და გადელია ადრე, აწ დაშლის პირას მყოფ „თბილისში“, თამაშობდა. ხუჯაძე — „ბათუმში“ მაისურაძე — „ტორპედოში“, მაზიაშვილი — თსუ-ში, ნუგზარ ლობჟანიძე კი, როგორც ჩანს, ფეხბურთს უბრუნდება.

„დინამოს“ ქობულეთში არ გაჰყვა ანჩაბაძე. იგი სხვა კლუბში აპირებს თამაშის გაგრძელებას, თუმცა უკრაინაში გამგზავრებული ჯინჭარაძის მსგავსად მეტად საეჭვოა, ჩანაფიქრი აისრულოს — „დინამო“ ხომ ფიფასგან დასჯილია და ტრანსფერების უფლება არა აქვს. ამათ გარდა, ქობულეთში არ იქნებიან თბილისის „ლოკომოტივში“ მოვარჯიშე შენგელია და ბათუმში მყოფი გველესიანი. „ტორპედოს“ ნათხოვარი გუჩუა და სიჭინავა კი „დინამოს“ მაშინ დაუბრუნდებიან, როცა ქუთაისელები ჩემპიონთა ლიგის გათამაშებას გამოეთხოვებიან.

რევაზ არველაძის თქმით, სეზონის განახლებამდე „დინამო“ მეტს არავის დაიმატებს, თუმც ისიც არაა გადაწყვეტილი, ზემოთ ნახსენები თერთმეტიდან გუნდში ვინ დარჩება. მათ ჯერ გავსინჯავთ და თუ დავრწმუნდებით, რომ გამოგვადგებიან, მაშინ დავიტოვებთო, გვითხრა არველაძემ.

გუშინ დინამოელებმა დიღმის საწვრთნელ ბაზაზე მოსამზადებელ პერიოდში პირველი ამხანაგური მატჩიც გამართეს, მათ გოგოლაძის ერთი გოლით „ლოკომოტივი“ დაამარცხეს.

კოგა ინასარიძე

ჰანზა, 12 ათასი გერმანელი და ვიტ ჯორჯია

„ბუნდესლიგურმა „ჰანზამ“ მეხუთე მატჩი ჩაატარა გოლის გაუშვებლად. ანდრიას ტახჰუბერის თერთმეტეულმა კიუნესბორნში საქართველოს ჩემპიონატის მეორეადგილოსან „ვიტ ჯორჯიას“ დაძაბულ ბრძოლაში 1:0 სძლია.

მატჩის ერთადერთი გოლი 63-ე წუთზე აჰანფუფმა გაიტანა.“

როსტოკელთა და ჩვენებურთა დაპირისპირებას 12 ათასი გერმანელი გულშემატკივარი დაესწრო. მატჩს არც ადგილობრივი პრესის ყურადღება მოჰკლებია.

„ჰანზას“ ძირითად შემადგენლობას სერგო კოტრიკაძემ ესენი დაუპირისპირა: *მერლანი, საჯაია, ჭანკოტაძე, კობიაშვილი, ჯ. მუჯირი, ლ. ნოზაძე, დიღმელაშვილი, ი. ბაჭაურიძე, ყიფიანი, გიორგი ქორიძე, მელქაძე.*

მეორე ტაიმში, შეცვლაზე ითამაშა *დოლიძემ.*

პირველი ნახევარი თანაბარ ბრძოლაში გაილია. ორი გოლის გატანაც შეგვეძლო, მაგრამ ჯერ მეკარესთან პირისპირ გასული ქორიძის მცველის მიერ წაქცევაზე მსაჯმა თვალი დახუჭა, მეორედ მელქაძემ ვერ ივარგა.

მეორე ტაიმში მასპინძელმა აჰანფუფმა თავით გაგვიტანა. ანგარიშის გათანაბრების შანსი სამჯერ გვქონდა, თუმც საბოლოოდ დავმარცხდით“ — გვითხრა „ვიტ ჯორჯიას“ პრეზიდენტმა გურამ რუხაძემ გუშინ, როცა გერმანიაში შევეხმიანეთ.

ვეტერინარები შეკრებას აგრძელებენ და კიდევ ოთხ საკონტროლო მატჩს ჩაატარებენ. დღეს მათი მეტოქე რეგიონალლიგისა და ალექსანდრე იაშვილის ყოფილი კლუბი „ლიუბეკი“ იქნება.

დათო დანელია

არაუ არ ჩქარობს

ბელარდელის მოსვლამდე მუჯირმა ორი გაიტანა

„რადგან ამირან მუჯირი ჩემთან ერთად არ ჩამოვიდა, ესე იგი, ის „არაუში“ რჩება“ — ასეთი პასუხი გასცა „ბათუმის“ იტალიელმა მწვრთნელმა ჯანი კარნევალიმ კლუბის ხელმძღვანელობას, როდესაც ბათუმელი ფეხბურთელის შვეიცარიულ გუნდში ტრანსფერზე ჰკითხეს.

მოგეხსენებათ, ორ კვირაზე მეტია, ამირან მუჯირი შვეიცარიის უმაღლესი დივიზიონის კლუბ „არაუში“ იმყოფება გასასინჯად. ამ გუნდის თავკაცი როლფ ფრინგერი ქართველი ფეხბურთელებით „ბათუმის“ თავკაცმა ჯანი კარნევალიმ დაინტერესა.

არაუელებმა ერთი ჩვენებური, ლევან ხომერიკი უკვე გადაიბირეს. აი, მუჯირთან ოფიციალური კონტრაქტის გაფორმებისაგან კი, კარნევალის ზემოთ მოყვანილი სიტყვების მიუხედავად, ჯერჯერობით თავს იკავებენ.

გუშინ ერთ-ერთი შვეიცარიული საგენტოს მიერ გავრცელებული ცნობის მიხედვით, „არაუ“ მუჯირის დამატებას უახლოეს დღეებში არ აპირებს. ამ გადაწყვეტილების ოფიციალური მიზეზი უცნობია, სავარაუდოდ კი კლუბის სათავეში მიმდინარე ძირეულ ცვლილებებთან უნდა იყოს დაკავშირებული.

ცოტა ხნის წინ გუნდიდან წასვლის სურვილი პრეზიდენტმა ერნსტ ლემლიმ გამოთქვა. იგი თავისი სურვილის განხორციელებას დღე-დღეზე აპირებს, კლუბში კი ახალი პატრონი მოდის. პრეზიდენტის განთავისუფლებულ სავარძელს იტალიელი პიეტრო ბელარდელი დაიკავებს, რომელსაც „არაუში“ ინვესტიციების ჩადება განუზრახავს. ბელარდელი აქამდე სხვა შვეიცარიული კლუბის — „ლუგანოს“ მფლობელი გახლდათ, თუმცა რამდენიმე დღის წინ თავისი კუთვნილი აქციები (კლუბის მიერ გამოშვებული მთელი რაოდენობის 74 პროცენტი) გაყიდა და ახლა ამ ფულის დაბანდება „არაუში“ მოსურვებია.

გუშინწინ 55 წლის იტალიელმა ბიზნესმენმა და „არაუ“ უკვე ოფიციალურ კონტრაქტსაც მოაწერეს ხელი. მუჯირის საქმეც, ალბათ, გუნდში ახალი ხელმძღვანელის მოსვლის შემდეგ გაირკვევა.

მანამდე კი ფრინგერმა მუჯირი „არაუს“ მეორე გუნდში ათამაშა. არაუელებმა დაბალ დივიზიონში მოთამაშე „ლახენი“ 3:1 დაამარცხეს. მუჯირმა დუბლი შეასრულა.

ვანო ოძროპირიძე

ამირან მუჯირი (ბურთით)

ბაბრი ჯეთილაძის ფოტო

საზაფხულო მიდი-მოდი

		გასხვისებულები	ახალწვეულები	სეზონთშორისი
	ტორპედო *დავით ყიფიანი*	სომხიშვილი (ალაზანი), გოგიაშვილი (თავისუფალი აგენტი)	გუჩუა, სიჭინავა (დინამო), ზ. არჩვაძე (ბათუმი), შალამბერიძე (კოლხეთი), მამალაძე (თბილისი), თავბერიძე (ინტერი), გ. გოგოლაძე (სამგურალი)	09.07-დან ბულგარეთში ემზადება. 26.07 კლაკსვიკარის (ფარერები) და ცრვენას (იუგოსლავია) მოგებულს სტუმრობს. *დილა 4:0, სპარტაკი (ბულგარეთი) 1:0, ჩერნომორეცი (ბულგარეთი) 0:2, 1:1*
	ვიტ ჯორჯია *სერგო კოტრიკაძე*	მორჩილაძე (თსუ), თოდუა (ლოკომოტივი)	სულთანიშვილი (დილა), მერლანი, დეკანოსიძე, ადამია (ყველა თსუ), ე. ალადაშვილი (არსენალი), ჭიღლაძე (ს.ა. იბერია)	13.07-დან გერმანიაში ემზადება *თსუ 0:1, ჭაბუკიანი 2:0, ზოოვეტი 4:0, ჰოჰენჰამელნი (გერმანია) 4:0, კოტბუსი (გერმანია) 1:1, უნიონი (გერმანია) 1:2*
	დინამო *რევაზ არველაძე*	*ხიზანიშვილი (სპარტაკი, რუსეთი), დიდავა, წიტაიშვილი (მაკაბი, თა, ისრაელი), პ. ჯინჭარაძე (მეტალურგი, ზაპოროჟე, უკრაინა), გუჩუა, სიჭინავა (ტორპედო), ო. გველესიანი (ბათუმი), ხუციშვილი, მინაშვილი (?), გ. შენგელია (ლოკომოტივი)*	კ. გოგოლაძე (სიონი), ხუჯაძე (ბათუმი), მაზიაშვილი (თსუ), თ. მაისურაძე (ტორპედო), ბურდული, ბათიაშვილი, ტყებუჩავა, ჩივაძე, კანდელაკი, ნორაკიძე, გადელია, ზამთარაძე (თბილისი), ლობჟანიძე (?)	24.07-დან ქობულეთში ემზადება *შამქირი (აზერბაიჯანი) 1:1, სტანდარდი (ბელგია) 2:2, 1:1, ლოკომოტივი 1:0*
	ბათუმი *ჯანი კარნევალი*	*მ. მახარაძე (კარიერა დასრულა), ხომერიკი, ა. მუჯირი (არაუ, შვეიცარია), ზ. არჩვაძე (ტორპედო), მაჭუტაძე (შუქურა), გელა ქორიძე (მერანი), ჩლაიძე, თარგამაძე, ხუჯაძე (დინამო)*	კ. მეტრეველი (ნივა, ტერნოპოლი, უკრაინა), ო. გველესიანი (დინამო), ბ. შენგელია (სიონი), მაჭავარიანი (თბილისი), კ. მფავანაძე (შუქურა), ქვაჩახია, მ. ქობულაძე (კოლხეთი)	18.07-დან ჩაქეში ემზადება
	კოლხეთი *გია ტყებუჩავა*	ტრაპაიძე (ტავრია, უკრაინა), შალამბერიძე (ტორპედო), ქვაჩახია, მ. ქობულაძე (ბათუმი), დავითნიძე (მერანი), ე. გვასალია, ფანჩულიძე (?, ისრაელი)	რ. ხაჭაპურიძე (დილა), ბ. ჩიტაია (ცხინვალი), კრასოვსკი, თედეევი, დ. კვირკელია, გოჩა ჭანტურია, თოფურია, ზ. ლეტავა, ბურჭულაძე (კოლხეთი 2)	11.07-დან ბაკურიანში ემზადება
	სიონი *სპარტაკ არჩვაძე*	კ. გოგოლაძე (დინამო), ბ. შენგელია (ბათუმი), ა. ბოკერია (თსუ), ვ. მაისურაძე (?)	ასპინძელაშვილი, ირემაშვილი (არსენალი), ბარნოვი, კ. მელქაძე (თბილისი), ტარიელაშვილი, დ. ჯანელიძე (მილანი), მესიაჩენკო (ოკეანე)	27.06-დან ბოლნისში ემზადება
	იბერია *სოსო ფრუიძე*	ადეიშვილი (ნივა, ტერნოპოლი, უკრაინა) ვ. გიგიაძე, ი. გიგიაძე, (?, რუსეთი), ნაროუშვილი, ივეჩიანი (ლოკომოტივი)		05.07-დან მოსკოვში ემზადება
	დილა *მერაბ ხუციშვილი*	სულთანიშვილი (ვიტ ჯორჯია), რ. ხაჭაპურიძე (კოლხეთი), მარეხაშვილი (კარიერა დასრულა); მერაბ კოჭლაშვილი (მწვრთნელი)	მერაბ ხუციშვილი (მწვრთნელი), გრიგალაშვილი (ცხინვალი), ა. ხმალაძე (არსენალი)	21.06-დან გორში ემზადება *ტორპედო 0:4, ლოკომოტივი 1:3, 1:3, 2:1*
	მერანი *სერგო გაბელაია*	კობესაშვილი (ლოკომოტივი)	ოდიშარია (ხობი), დავითნიძე (კოლხეთი), გელა ქორიძე (ბათუმი)	10.07-დან თბილისში ემზადება *ლოკომოტივი 1:2*
	ლოკომოტივი *რევაზ ძოძუაშვილი*	*ჯიშკარიანი (ტორპედო ზილი, რუსეთი), ჩიბრაძე (ბაპოელი, ბელორუსი, ისრაელი), კაციაშვილი (მარგვეთი), ჯუღელი (?, რუსეთი), ნიკურაძე (?, ფინეთი), ბაქრაძე, გოგიჩაიშვილი, გ. გვაზავა, დგოდერძიშვილი, ონიანი (?), ძოძუაშვილი (ერზურუმსფორი, თურქეთი), ჭიჭვეიშვილი (ისრაელი)*	გონჩაროვი, ზ. გაგნიძე (თბილისი), ნაროუშვილი, ივეჩიანი (იბერია), კაკაშვილი (არსენალი), ზურაბ აიანდი (ხობი), დ. არჩვაძე (თსუ), თოდუა (ვიტ ჯორჯია), ა. ჯელაძე (ალ იტიხადი), გ. შენგელია (დინამო)	25.06-დან თბილისში ვარჯიშობს. 22.07-დან კოჯორში ემზადება *გორდა 0:1, 1:1, დილა 3:1, 3:1, 1:2, მერანი 2:1, დინამო 0:1*
	თსუ *თენგიზ კაციია*	ხართიშვილი (ტრანსფერზეა), მაზიაშვილი, ბარქაია (კონტრაქტები დაუმთავრდათ), მერლანი, დეკანოსიძე, ადამია (ყველა ვიტ ჯორჯია)	მორჩილაძე (ვიტ ჯორჯია), ა. ბოკერია (სიონია), ხარებავა (არსენალი), შედანია (ზოოვეტი), არეშიძე (ცხუმი), ზვ. ლაბაძე (თბილისი), ბუკია (გორდა)	17.07-დან ლაგოდეხშია, 04.08-14.08 კი მალთაყვაში მოემზადება *ვიტ ჯორჯია 1:0, გორდა 0:0, ზოოვეტი 3:1, მილანი 0:0*
	გორდა *იასონ ალადაშვილი*	გ. კილასონია, ვ. კილასონია (კონტრაქტები დაუმთავრდათ), ბუკია (თსუ)	ჭიაპრიშვილი (ზოოვეტი)	28.06-დან რუსთავში ემზადება *ლოკომოტივი 1:0, 1:1, თსუ 0:0, ხაზარი (აზერბაიჯანი) 2:0*

შენიშვნა: საბოლოო მხოლოდ დახრილი ტრანსფერებია

ხუან გასპარმა კაბინეტი შეიცვალა

ხუან გასპარი შორს არ წასულა, მხოლოდ გვერდით კაბინეტში გადაბარგდა. „ბარსელონას“ ვიცე-პრეზიდენტი კვირა საღამოს პრეზიდენტის გამოთავისუფლებულ სავარძელში მოკალთდა.

ბარსელონაში სახალხო დღესასწაულის მაგვარი რამ ხდებოდა. მზიანმა ამინდმაც ხელი შეუწყო და ხალხი დილიდანვე „კამპ ნოუს“ მიაწყდა. კლუბის წევრები ჯერ საარჩევნო ყუთებთან მიდიოდნენ, მერე კი სხვა მოქალაქებს უერთებოდნენ და სტადიონის ტერიტორიაზე სეირნობდნენ.

მართალია, ამბობენ, „კამპ ნოუზე“ აქა-იქ ზოგიერთები საეჭვო რაღაცეებს აბოლებდნენ და ჰაერში მარიხუანას სუნი ტრიალებდაო, მაგრამ დანამდვილებით რაიმეს მტკიცება ძნელია, ამიტომაც არჩევნებს მივუბრუნდეთ.

კატალონიის ნარჩევი საზოგადოება იქ ბრძანდებოდა — ძველი პრეზიდენტი ხოსეპ ლუის ნუნიესი მეუღლითურთ, კატალონიის გუბერნატორი ხორდი ჰუიოლი, პლანეტის მთავარი ოლიმპიელი ხუან ანტონიო სამარანჩი, იოჰან კრუიფი, ცხადია ხუან გასპარი და ლუის ბასატიც. თუმცა ამ უკანსკნელის სტადიონზე მისვლა გაჭირდა. პრეზიდენტობის კანდიდატს დილით „კამპ ნოუზე“ დაურეკავს და საარჩევნო კომისიისთვის უცნობებია, ვიღაც უცნობები გზას მიღობავენ და მემუქრებიან, ხოლო ჩემი შტაბის წარმომადგენელი კიბიდანაც დაგორესო. უცნობ პირებში, ცხადია, გასპარის ხალხი იგულისხმებოდა და ვიცე-პრეზიდენტმაც პასუხი არ დააგვიანა, არჩევნებს ამგვარი ხრიკების გარეშეც მოვიგებ, ესეც რომ არა, კონკურენტთა ცემა არ მჭვევია, ისე, ბასატის ქომაგებისგან ჩემი რამდენიმე წარმომადგენელი დაზარალდაო. მოკლედ, საარჩევნო კამპანია საარჩევნო ყუთებთანაც გაგრძელდა, რომლებსაც ზღვა ხალხი მიაწყდა. საქმე იქამდეც მივიდა, რომ განსაზღვრული დროისთვის ურნების დალუქვა ვერ შეძლეს — გარეთ კლუბის წევრები იცდიდნენ, რომლებმაც საგზაო საცობების გამო დროულად მისვლა ვერ მოასწრეს.

გვიან ღამით კი კომისიამ გამოაცხადა: ხუან გასპარი — 54,87 პროცენტი, ლუის ბასატი — 43,13 პროცენტიო. არასწორად შევსებული ბიულეტენების გამო ხმების ორი პროცენტი დაიკარგა, თუმცა ამას მნიშვნელობა აღარ ჰქონდა, ბასატი გასპარს ვერ ეწეოდა.

„ბარსელონას“ მომავალი ხუთი წლით ახალი პრეზიდენტი კი ჰყავს, მაგრამ მას ახალს მაინც ვერ ვუწოდებთ, რადგან მრავალი წელია, კლუბში მუშაობს. თუმცა გასპარი ირწმუნება, ნუნიესის გზის უცვლელად გაგრძელებას არ ვაპირებ, „ბარსელონაში“ თამაშის ახალი სტილის დამკვიდრება მსურსო.

ხუან გასპარი და ლუის ბასატი

ბარსელონას ყველა პრეზიდენტი

ვალტერ ვაილდი	1899 -1901
ბარტოლეო ტერადასი	1901 -1902
პოლ ჰაასი	1902 -1903
არტურ უაიტი	1903 -1905
ხოსეპ სოლერი	1905 -1906
ხული მარიალი	1906 -1908
ვისენს რეიგი	1908 -1908
ხუან გამპერი	1908 -1909, 1910-1913, 1917-1919, 1921-1923, 1924-1925
ოტო გმელინი	1909-1910
ფრანსისკო დე მოხო	1913-1914
ალვარო პრესტა	1914-1915
რაფაელ ლოპარტი	1915-1916
გასპარ როხესი	1916-1917, 1920-1921, 1930-1931
რიხარდ რაელსი	1919-1920
ენრიკო კარდონა	1923-1924
არკადი ბალაგუერი	1925-1929
ტომას როხასი	1929-1930
ანდონი ოლივერი	1931-1931
ხუან კომა	1931-1934
ესტავე სალა	1934-1935
ხოსეპ სუნიოლი	1935-1936
ხუან სოლერი	1939-1940
ენრიკე პინიეირო	1940-1942, 1942-1943
ხოსეპ რიდალ რიბასი	1942-1942
ხოსეპ ანდონი დე ალბერტი	1943-1943
ხოსეპ ვენდრელი	1943-1946
ავგუსტო მონტალ გოლობარტი	1946-1952
ენრიკო მარტი	1952-1953
ფრანსისკო მირო სანსი	1953-1961
ენრიკო ლაუდეტი	1961-1968
ნარსის დე კარერასი	1968-1969
აუგუსტი მონტალ კოსტა	1969-1977
ხოსეპ ლუის ნუნიესი	1978-2000
ხუან გასპარი	2000-

ლორენსო სანსის მემკვიდრე მემკვიდრეობაზე უარს ამბობს

ფლორენტინო პერესმა თავისი პრეზიდენტობა ისე დაიწყო, უეჭველია, მომავალ სეზონში ყველა შესაძლო ჯილდოს მოგებას აპირებს.

პერესის პირველი ნაბიჯი (მერედა, როგორი!) ლუიშ ფიგუს შეძენა იყო. ახლა მეორეც, პრეზიდენტმა კლუბს ახალი „დიდი ძმა“ უყიდა. „დიდი ძმა“ „რეალის“ ახალი, 40-ადგილიანი ავტობუსია, ისეთივე, როგორიც „მანჩესტერ იუნაიტედს“ და „ბაიერნს“ აქვთ, ოღონდ „რეალის“ სიმბოლოებით და ფერებით მოხატული. ეს სახელი კი ავტობუსს თავად ფეხბურთელებმა შეარქვეს (ესპანურად „გრან ერმანო“). რით არ არის ავტობუსი ფეხბურთელების დიდი ძმა? მან ხომ რეალელებს მომქანცველი მოგზაურობები სასიამოვნოდ უნდა უქციოს და კლუბის გამარჯვებების თანამონაწილე გახდეს.

თუმცა თავად ავტობუსზე მეტად ჩვენ ის ხალხი გვაინტერესებს, ვინც შიგნით მოთავსდებიან. მათ შორის კი აღარ იქნებიან ბალიჩი, კანბალი, კონგო, დორადო, ეტოო, ოგნიენოვიჩი, რივერა და როდრიგო. ავტობუსიდან ჩამოსვლა, ალბათ, ბიზარის, ჯერემის და ტოტესაც მოუწევთ, მათი გაყიდვის თაობაზე ფლორენტინო პერესს საბოლოო გადაწყვეტილება ჯერ არ მიუღია.

აქ ჩამოთვლილი სახელების უმეტესობა ბევრს არაფერს გვეუბნება. ისინი ის ფეხბურთელები არიან, პერსპექტიულად რომ ითვლებოდნენ, მაგრამ იმედები ვერ გაამართლეს, ყოველ შემთხვევაში, მადრიდის „რეალში“. მათი მომავალი სამუშაო ადგილები ჯერჯერობით უცნობია. მხოლოდ ის ვიცით, რომ სამუელ ეტოო „მალიორკაში“ დარჩება. ის აქამდეც განთხოვრებული ჰყავდათ და რეალელებმა მისი დაბრუნება არ ისურვეს — კუნძულელებსვე მიჰყიდეს.

შენიშნავდით, ზემოთ ის ფეხბურთელებიც ჩამოთვალეთ, რომლებიც თავის დროზე ლორენსო სანსმა და ჯონ ტოშაკმა დიდი ზარ-ზეიმით შეიძინეს — ჯერემი ნჯიტაპი, ელვირ ბალიჩი და პერიცა ოგნიენოვიჩი.

ფლორენტინო პერესი ერთდროულად ამდენი ფეხბურთელის სატრანსფერო ბაზარზე გაყვანით ორ კურდღელს კლავს. ერთი ის, რომ უსარგებლო ფეხბურთელებს იცილებს, რომლებიც ლორენსო სანსისგან მემკვიდრეობით ერგო და მეორე და მთავარი — ასევე მემკვიდრეობით მიღებულ ვალებს ისტუმრებს. ვალი კი 252 მილიონ დოლარს შეადგენს. არ ველოდი, თუ ამდენი იქნებოდაო, აცხადებს პერესი. თუმცა უნდა დავაუსტოთ, რომ აღნიშნულ თანხას 31 მილიონი უკვე მოაკლდა. ეს ის ფულია, რომელიც „რეალმა“ ანელკას გაყიდვით მიიღო.

რეალელი ფეხბურთელებით ევროპული გრანდებიც დაინტერესდნენ. ცხადია, მეორე თუ მესამეხარისხოვან მოთამაშეებს არ დაადგამდნენ თვალს, საუკეთესონი უნდათ.

„მილანის“ ვიცე-პრეზიდენტი ადრიანო გალიანი პალმა დე მალიორკაში, რესტორან „სამანტაში“ ფლორენტინო პერესს შეხვდა და ფერნანდო რედონდოზე ესაუბრა. იქამდე რამდენიმე დღით ადრე მეორე მილანურმა კლუბმა

ფლორენტინო პერესი და ლორენსო სანსი

რედონდოში „რეალს“ 3 600 მილიონი პესეტა (20,2 მილიონი დოლარი) შესთავაზა, ამიტომ გალიანის დასახელებული თანხა უფრო მეტი უნდა იყოს. ფლორენტინო პერესის პასუხი უცნობია.

ბოლოს კი დავუმატოთ, რომ „რეალის“ ახალ ავტობუსში მაიკლ ოუენისთვისაც შეიძლება გამოინახოს ადგილი. ფლორენტინო პეზესი ლივერპულელი ფორვარდის გადაბირებითაა დაინტერესებული. მოლაპარაკებები დაიწყო. ესპანური გაზეთების ცნობით, მაიკლ ოუენის ფასი დაახლოებით 43 მილიონი დოლარია. პერესი ამბობს: „ოუენი დიდი ფეხბურთელია, თან ძალიან ახალგაზრდაა და „რეალში“ დიდხანს შეძლებს თამაშს“.

ოუენის ტრანსფერზე სხვა ცნობა არ გვაქვს, მაგრამ იმის გათვალისწინებით, რომ რასაც პერესმა ხელი მოჰკიდა, ყველაფერი გამოუვიდა, ახალგაზრდა ვარსკვლავის „რეალში“ აღმოჩენა გასაკვირი არ უნდა იყოს. აღსანიშნავია, რომ ფორვარდის საძებნელად ერთი წლის წინ ინგლისს ლორენსო სანსმაც მიაშურა და იქიდან ნიკოლა ანელკა წამოიყვანა. აქედან რაც გამოვიდა, უკვე ვიცით.

ფეხბურთის რუკასთან

გერმანიის ნაკრების მთავარი მწვრთნელის ასისტენტად დორტმუნდის „ბორუსიას“ ყოფილი თავკაცი მიხაელ სკიბე დაინიშნება. სააგენტოების ცნობით, რუდი ფიოლერი და სკიბე შეთანხმდნენ და ბუნდესნაკრებს ერთობლივად უხელმძღვანელებენ. 34 წლის სკიბე დორტმუნდულ კლუბს 1998 წელს ჩაუდგა სათავეში, იგი ბუნდესლიგის ყველაზე ახალგაზრდა მწვრთნელი გახლდათ, თუმცა წარუმატებელი სეზონის შემდეგ, წლეულს თებერვალში პოსტი დატოვა. შეგახსენებთ, რომ ფიოლერი და სკიბე ნაკრებს გაისამდე უთავკაცებენ, შემდეგ კი მათ „ლევერკუზენის“ მწვრთნელი კრისტოფ დაუმი შეცვლის.

ბრაზილიელმა ნახევარმცველმა მაურო სილვამ პირადი საკითხების შეუთანხმებლობის გამო „დეპორტივო“ დატოვა. იგი ახლა სამშობლოშია და ესპანეთში, ალბათ, არც დაბრუნდება. კლუბის ხელმძღვანელობასთან გარკვეული საკითხები ვერ შევათანხმე. სამწუხაროა, „დეპორტივოს“ დატოვება მომიწევს“ — განაცხადა სილვამ. 32 წლის მოთამაშემ ბრაზილიის ნაკრებში 40 შეხვედრა ჩაატარა, იგი 1994 წლის მსოფლიოს ჩემპიონია. სილვამ „დეპორტივოში“ 8 სეზონი ითამაშა. გალისიიდან კიდევ ერთი სიახლეა, „დეპორტივოში“ ბრაზილიელი კატანიას ტრანსფერი ჩაიშალა. ფორვარდი, ალბათ, „მალაგაში“ დაბრუნდება. 28 წლის ფეხბურთელის სანაცვლოდ ესპანეთის ჩემპიონი 13 მილიონ დოლარს იხდიდა, მაგრამ შეთანხმება ვერ განხორციელდა.

რუმინელი ფორვარდი ვიორელ მოლდოვანი მომდევნო სამ სეზონს „ნანტში“ დაჰყოფს. ფრანგულმა კლუბმა „ფენერბაჰჩეს“ 5,2 მილიონი დოლარი გადაუხადა და ფეხბურთელი თავისთან გადაიბირა. მოლდოვანმა თურქეთის ჩემპიონატის ბოლო ორ სეზონში 35 გოლი გაიტანა, ადრე მას შვეიცარიულ „ქსამაქსში“ და პრემიერლიგულ „ქოვენთრიშიც“ უთამაშია. პროფესიული კარიერა კი ფორვარდმა ბუქარესტის „დინამოში“ დაიწყო. რუმინული კლუბი მან 1995 წელს დატოვა და ევროპას მიაშურა.

საფრანგეთის სუპერთასზე ერთმანეთს ქვეყნის ჩემპიონი „მონაკო“ და თასის მფლობელი „ნანტი“ შეხვდნენ. მატჩის ძირითადი დრო 0:0 დასრულდა. პენალტების სერიაში „მონაკომ“ 6:5 გაიმარჯვა.

შვეიცარია

III ტური

სენტ გალენი 3:0 არაუ

1:0 გუიდო (30), 2:0 ამოა (37), 3:0 ცელვეგერი (89)

არაუ: ბენიტო, იოდიჩე (ბადერი 68), პავლიჩევიჩი, ჰეიჯი, ფიხტერი, ბალდასარი, პრევიტალი (ბაუდრი 70), სკრეიპჩაკი, ვიდერკერი (ხომერიკი 46), ივანოვი, დე ნაპოლი

ლუგანო 1:0 ციურიხი

1:0 გიმენეზი (47)

ციურიხი: პასკოლო, კვენტინი, ფიშერი, კასტელიო, პალასი, ჰელდმანი, ჯაბმარაული, ბონალაირი (კუბე 65), დუგლასი (შასო 65), ბარტლეტი, ფრიკი

გრასჰოპერი 6:0 ძსამაძი

1:0 ესპოზიტო (26), 2:0 მელუნოვიჩი (43), 3:0 კაბანასი (59ჯ), 4:0 სმილიანიჩი (62), 5:0, 6:0 იაკინი (82, 84)

ბაზელი 7:4 ლუცერნი

1:0 ჰუგელი (7), 2:0 კროიცერი (9ჯ), 3:0 ჩუგა (14), 3:1 ფრაი (26), 3:2, 3:3 ვისი (29, 35), 4:3 ჩუგა (60), 4:4 ვისი (66), 5:4 ტოლოტი (68), 6:4 ჰუგელი (73), 7:4 ჩუგა (85ჯ)

სერვეტი 0:4 ლოზანა

0:1 კუცბა (46), 0:2 ბიდრი (76), 0:3, 0:4 მაცონი (85, 90)

ივერდონი 0:1 სიონი

0:1 რენო (3)

შვეიცარიის ახალდაწყებული ჩემპიონატის მე-3 ტური მართლაც გამორჩეული გამოდგა — ექვს მატჩში 26 ბურთი გავიდა. ასეთი უხვგოლიანი ტური ამ ქვეყნის 12-გუნდა პირველობას არ ახსოვს.

ყველაზე მეტი გოლი ბაზელში გაიტანეს. მასპინძლებმა სტუმრად ნაწვევი „ლუცერნი“ შვიდჯერ დაამწუხრეს, თავად ოთხჯერ გაწბილდნენ და მატჩიც 7:4 მოიგეს. თერთმეტი ბურთი ერთ შეხვედრაში ასეთი რამ შვეიცარიაში ბოლოს 1974-75 წლების სეზონში მოხდა. მაშინ „სიონმა“ „სერვეტი“ 6:5 დაამარცხა.

შაბათს „ბაზელის“ „შუტცენმატეს“ სტადიონზე შეკრებილმა რვა ათასზე მეტმა ქომაგმა ჩინებული თამაში იხილა. „მატჩი, რომელსაც არაფერი აკლდა“ — ასე შეაფასა შეხვედრა შვეიცარიულმა „ბლიკმა“, რომელმაც იქვე დაამატა, ერთი მაყურებლის რიცხვი თუ მოხვდებოდა გულსო, თუმც ნეიტრალურ ქვეყანაშიც უკვე კარგა ხანია, შეეჩვივნენ ტრიბუნებზე ხალვათობას.

11 გოლი, რვა გაფრთხილება, ერთი გაძევება და ორი ძალიან მძიმედ დაშავებული ფეხბურთელი — აი, ასეთი იყო „ბაზელისა“ და „ლუცერნის“ ორთაბრძოლა. არადა, მატჩის დასაწყისი მსგავსს თითქოს არაფერს ჰპირდებოდა ქომაგებს. მე-14 წუთისთვის თითქოს ყველაფერი ნათელი იყო — მასპინძლები უკვე 3:0-ს იგებდნენ, მაგრამ, ეტყობა, თამაში მოთავებულად ჩათვალეს და დაისაჯნენ კიდეც. 35-ე წუთისთვის ანგარიში 3:3 გახლდათ. ტაიმიც ასე მორჩა.

მეორე ნახევრის დებიუტი მშვიდი გამოდგა, მე-60 წუთიდან კი ქარიშხალი ისევ ამოვარდა. პირველ ტურში „სიონთან“ ოთხი გოლის გამტანმა ჩუგამ ისევ გამოიჩინა თავი და პირველ ტაიმში შეგდებულ ბურთს შესვენების შემდეგ ორი დაუმატა — ჯერ 4:3 გახადა ანგარიში, მოგვიანებით კი საბოლოო წერტილიც დასვა. ჰეთ-თრიქი ლუცერნელმა ვისმაც კი შეასრულა, მაგრამ ჩუგას გოლები, ბუნებრივია, უფრო მეტად დაფასდა. ამ მატჩით „ბაზელს“ გამოეთხოვა მეკარე პასკალ ცუბერბიულერი. შვეიცარიის ნაკრების მეკარე, რომელიც ორი წლის წინ ნემსაძესა და ყველაშვილთან ერთად „გრასჰოპერის“ ღირსებას იცავდა, მომავალი სეზონიდან გერმანულ „ლევერკუზენში“ ითამაშებს.

მესამე ტურის შემდეგ შვეიცარიაში ერთი აშკარა აუტსაიდერი გამოიკვეთა. ლევან ხომერიკის „არაუ“ ისევ წააგო და ცხრილის ფსკერზეც დამკვიდრდა. არაუელები ამჯერად „სენტ გალენს“ ემსხვერპლნენ — 0:3 სტუმართა თავკაცმა, წინა ორი მატჩისგან განსხვავებით, ხომერიკი თავიდან სათადარიგოთა სკამზე დასვა და მინდორზე შესვენების შემდეგღა ათამაშა. ამ დროს უკვე 2:0 იყო მასპინძელთა სასარგებლოდ. ფრინგერმაც ლევანი ნახევარმცველის ნაცვლად შეუშვა, თავდასხმაში ივანოვსა და დე ნაპოლის დაუმატა, მაგრამ ამან უარესი შედეგი მოუტანა. ბოლო წუთებზე ანგარიში საგანგაშო გახდა.

ისე, „არაუს“ 0:3 „ქსამაქსის“ 0:6-თან რა სახსენებელია. ნოიშატელელები ციურიხში „გრასჰოპერს“ ეწვივნენ და შავ დღეში ჩავარდნენ მეტოქისგან მიღებულ ექვს გოლს თავად ერთითაც ვერ უპასუხეს.

ზედიზედ ორი ფრის შემდეგ მარცხი იწვნია გოჩა ჯამარაულისა და მიხეილ ყველაშვილის „ციურიხმა“, რომელიც ჩემპიონატის ლიდერ „ლუგანოს“ სტუმრობდა. ერთადერთი ბურთი მეორე ტაიმის დასაწყისშივე გიმენეზმა გაიტანა. სტუმართა ქართველოთაგან მხოლოდ ჯამარაულმა ითამაშა, ყველაშვილი თადარიგში გახლდათ.

ლუგანო	3	3	0	0	4:0	9
გრასჰოპერი	3	2	0	1	9:1	6
ბაზელი	3	2	0	1	11:7	6
ლოზანა	3	2	0	1	8:5	6
სენტ გალენი	3	2	0	1	5:2	6
სიონი	3	2	0	1	3:4	6
სერვეტი	3	1	1	1	4:7	4
ლუცერნი	3	1	0	2	7:9	3
ქსამაქსი	3	1	0	2	2:8	3
ციურიხი	3	0	2	1	3:4	2
ივერდონი	3	0	1	2	3:6	1
არაუ	3	0	0	3	1:7	0

რუსეთი

XVIII ტური

ფაკელი 0:0 ლოკომოტივი

სპარტაკი 1:2 კრილია

0:1 სამარონი (23), 1:1 შტოლცერსი (53), 1:2 ოსიპოვი (83)

სატურნი 0:1 ტორპედო

0:1 ორლოვსკი (87)

ანჟი 2:0 ალანია

1:0 სირხავევი (64), 2:0 ზანგიოლოვი (84)

როტორი 3:1 ურალანი

1:0 ზერნოვი (2), 2:0 პავლიუჩენკო (75), 2:1 კასიანუ (82), 3:1 მისინი (88)

ჩერნომორეცი 3:0 ცსკა

1:0 პუშკუცა (13), 2:0 კუზმიჩოვი (47), 3:0 პრიზეტკო (583)

მოსკოვის „სპარტაკს“ რუსეთის ჩემპიონატში ზედიზედ ორი თამაში 1997 წლის ზაფხულის შემდეგ აღარ წაეგო. ახლა კი თანაქალაქელ „ლოკომოტივთან“ მარცხს შინ სამარის „კრილია სოვეტოვთან“ წაგებაც მიაყოლა.

მოსკოველთა გასაკვირად, სამარელებმა თავიდანვე მკაცრ პრესინგს და ხისტ თამაშს მიმართეს. მათი ფეხბურთელების თავდადება კი სამაგალითო გახლდათ.

„სპარტაკის“ სასტარტოში პირველად გამოჩნდა ქართველი ოთარ ხიზანეიშვილი და „სპორტ ექსპრესისგან“ თავის გუნდში ყველაზე მაღალი შეფასება დაიმსახურა. „18 წლის ქართველი შაბათს სპარტაკელთაგან ყველას სჯობდა. ცხადია, ჯერ კიდევ ბევრი უნდა იმუშაოს, უმთავრესად ტაქტიკური განსწავლულობის დახვეწა მართებს. თუმცა, თავისი თამაშით მან ახალგაზრდა ხლესტოვი გაგვახსენა — ხისტი და მებრძოლი. ქართველს კარგი სისწრაფე აქვს და არც თავით თამაშობს ურიგოდ“ — წერს „სპორტ ექსპრესი“.

მოსკოველთა მწვრთნელი ოლეგ რომანცევი, ბუნებრივია, შეოეგით უკმაყოფილო დარჩა და არც თავისი უნიათობის პრესისთვის გადაბრალება „დავიწყებია“: „როცა მდევარს შვიდი-რვა ქულით გავუსწარით თქვენ გამოცხადეთ, „სპარტაკი“ უკვე ჩემპიონიაო, მე არ დავიჯერეთ, აი, ზოგიერთმა ფეხბურთელმა კი ეს ირწმუნა და მოეშვა, სულ იმას ვუმეორებ: ჯერ არაფერი გარკვეულა, ბოლომდე უნდა ვიმუშაოთ-მეთქი, მაგრამ, ეტყობა, მათ გაზეთების უფრო სჯერათ... შედეგიც სახეზეა.“

„სპარტაკის“ წაფორხილებით ვერ ისარგებლა მისმა მდევარმა, თანაქალაქელმა „ლოკომოტივმა“. რკინიგზელებმა ვორონეჟში „ფაკელთან“ 0:0 ითამაშეს. ბოლო დროს ვორონეჟში თურმე საფეხბურთო ბუმი ყოფილა. ამ მატჩს 25 ათასი მაყურებელი დაესწრო, ხოლო წინა დღეს „ლოკომოტივის“ ვარჯიშს დაახლოებით 1500 ფანი უყურებდა. მერე თურმე ავტოგრაფებზე ნადირობაც დაიწყეს და ყველაზე მეტად რუსლან ნიგმატულინი და ზაზა ჯანაშია დაასაქმეს.

რკინიგზელები დიდ ტერიტორიულ უპირატესობას კი ფლობდნენ, მაგრამ გოლი ვერ გაიტანეს და მინდორი შეფიქრიანებულებმა დატოვეს.

„თამაში ძალიან დაძაბული გამოდგა. დიდი უპირატესობა გვქონდა, მაგრამ ბურთი ვერ გავიტანეთ და ორი ქულა დავკარგეთ. მიუხედავად ამისა, მომაჩნია, რომ „სპარტაკის“ დაწევა ჯერ კიდევ შეგვიძლია. ახლა ყველა თამაშში მხოლოდ მაქსიმალურ შედეგზე უნდა ვიფიქროთ. სხვა გზა აღარ გვაქვს“ — რკინიგზელთა მწვრთნელი იური სიომინი იმედს არ კარგავს.

ვლადიკავკაზის „ალანიამ“ კი, რომლის შემადგენლობაში ქართველები სულ უფრო იშვიათად ჩნდებიან, მახაჩყალაში, უმაღლესი ლიგის დებიუტანტ „ანჟისთან“ 0:2 წააგო.

სპარტაკი	19	14	1	4	42:19	43
ლოკომოტივი	18	11	6	1	21:8	39
ტორპედო	19	10	5	4	25:18	35
ჩერნომორეცი	18	9	6	3	32:12	33
ანჟი	17	10	2	5	27:14	32
ზენიტი	18	9	4	5	25:15	31
დინამო	19	8	6	5	26:22	30
სატურნი	18	8	4	6	17:16	28
ალანია	18	6	4	8	17:22	22
როტორი	18	6	4	8	21:31	22
კრილია	18	6	0	12	19:34	18
როსტსელმაში	17	3	8	6	12:14	17
ფაკელი	18	3	8	7	17:30	17
ცსკა	18	4	3	11	15:28	15
ურალანი	18	2	4	12	12:26	10
ნ. ნოვგოროდი	17	0	5	12	6:25	5

მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი ცხრილი
კონკაკაფი მეორე ტური

A ჯგუფი

ტრინიდადი 1:0 მექსიკა

1:0 ლატაპი (86)

პანამა 0:0 კანადა

ტრინიდადი	2	2	0	0	3:0	6
მექსიკა	2	1	0	1	1:1	3
პანამა	2	0	1	1	0:1	1
კანადა	2	0	1	1	0:2	1

B ჯგუფი

იამაიკა 3:1 ჰონდურასი

0:1 რამირესი (2), 1:1 ვიტმორი (27), 2:1 ლოუ (69), 3:1 ბარტონი (77)

სალვადორი 7:1 სენტ ვინსენტი

0:1 ბალანტაინი (9), 1:1 მონტესი (19), 2:1 კასტრო (34), 3:1, 4:1 რივერა (49, 60), 5:1, 6:1, 7:1 არსე (69, 83, 85)

იამაიკა	2	2	0	0	4:1	6
სალვადორი	2	1	0	1	9:6	3
ჰონდურასი	2	1	0	1	6:5	3
სენტ ვინსენტი	2	0	0	2	1:8	0

C ჯგუფი

გვატემალა 2:0 ბარბადოსი

1:0 რუისი (2), 2:0 გარსია (83)

კოსტა რიკა 2:1 აშშ

1:0 ფონსეკა (10), 1:1 სტიუარტი (66), 2:1 მედფორდი (90+3)

გვატემალა	2	1	1	0	3:1	4
კოსტა რიკა	2	1	0	1	3:3	3
ბარბადოსი	2	1	0	1	2:3	3
აშშ	2	0	1	1	2:3	1

მსაჯის მიერ წამატებულ დროში გატანილი პენალტით კოსტა რიკამ აშშ-ს სძლია. ასევე ბოლო წუთებზე გაშვებულმა გოლმა მექსიკელებს მოულოდნელად ტრინიდადთან წააგებინა, ხოლო ტრინიდადს და იამაიკას ჯერ ქულები არ დაუკარგავთ.

ამერიკელებმა საქმე გაირთულეს. ფავორიტებად მიჩნეულები ცხრილის ფსკერზე იმყოფებიან და ასე თუ განაგრძეს, მომავალი მსოფლიოს ჩემპიონატი მათ გარეშე ჩაივლის. თუმცა ისიც აღსანიშნავია, რომ ამერიკელებს შინ ჯერ არ უთამაშიათ.

კოსტარიკელებმა, რომლებსაც მსოფლიოს ჩემპიონატზე 1990 წლის მერე არ გაუღწევიათ, პირველი გოლი მე-10 წუთზე გაიტანეს და ის როლანდო ფონსეკას ანგარიშზეა. პირველ ტურში ბარბადოსის უსუსტეს ნაკრებთან სამარცხვინოდ წაგების მერე მათ ქომაგთა ისეთი რისხვა დაატყდათ თავს, რომ ზოგიერთ მათგანს მცველთა დაქირავება მოუხდა.

ამიტომ იყო, რომ ზედმეტად აგზნებულმა მასინლებმა საეჭვო ოფსაიდის გამო არჩათვლილი პაოლო ვანჩოპეს გოლი გააპროტესტეს, თუმცა ცხადია, არბიტრს გადაწყვეტილება არ შეუცვლია. ასევე დიდი კამათი გამოიწვია ერთმა მომენტმა, როცა კოსტარიკელები პენალტის დანიშვნას ითხოვდნენ და კვლავ ხელი მოეცარათ. ამ ეპიზოდებმა საბოლოოდ ის შედეგი მოიტანა, რომ მასპინძლები ანერვიულდნენ, აქაოდა, უსამართლოდ გვქცევიანო და შეცდომებს უხშირეს. ამან კი ამერიკელ ერნი სტიუარტს 66-ე წუთზე ანგარიშის გათანაბრების საშუალება მისცა.

მსაჯის მიერ მეორე წამატებულ წუთზე კი მოხდა ის, რაც ამერიკელებს დიდხანს ექნებათ სალაპარაკოდ და ალბათ, ოკეანის გაღმური ფეხბურთის კონფედერაციის მსჯელობის საგანიც გახდება. კოსტარიკელი ფეხბურთელის დარტყმული ბურთი სტუმართა მცველ გრეგ ბერჰარტერს სახეში მოხვდა, არბიტრმა კი, ხელი იყოო და ის პენალტი დანიშნა, რომელმაც კოსტა რიკას გამარჯვება და პირველი სამი ქულა მოუტანა. ამერიკელებს კი რა? ამგვარი უხეში შეცდომისთვის მსაჯი ეგებ დასაჯონ კიდეც, მაგრამ მათთვის ეს ვერაფერი ნუგეში იქნება.

მექსიკელები კი რასელ ლატაპმა „დაღუპა“. 86-ე წუთზე ტრინიდადელის უშორესი დარტყმა გოლით დასრულდა, რომელიც ამ მატჩში ერთადერთი იყო. არადა, იქამდე მექსიკელები საგრძნობ უპირატესობას ფლობდნენ და მასპინძელთა მეკარე კლაიტონ ინსს ოთხი ისეთი ბურთის მოგერიება მოუხდა, ნებისმიერ მეკარეს შეშურდებოდა.

ექვსი ქულა და არც ერთი გაშვებული გოლი — ასეთია ტრინიდადელთა მონაგარი, რომლებიც მსოფლიოს ჩემპიონატებზე არასდროს გასულან. მექსიკელებსაც არა აქვთ ცუდად საქმე, მათ ამერიკელთა მსგავსად შინ ჯერ არ უთამაშიათ.

ერთპიროვნული ლიდერის საკითხი გაარკვიეს B-ჯგუფელებმაც. იამაიკამ შინ ჰონდურასი დაამარცხა და დაამტკიცა, რომ ფავორიტად ტყუილად არ მიიჩნევენ.

ამ ჯგუფშივე დასრულდა შეხვედრა ჯერჯერობით ყველაზე დიდი ანგარიშით — სალვადორმა სენტ ვინსენტს 7:1 მოუგო, თუმცა ეს უფრო სენტვინსენტელთა უსურობის შედეგია, ვიდრე სალვადორელთა კარგი თამაშისა.

გიორგი დარჯანია

ტრინიდადი — მექსიკა 1:0. მექსიკელი ბრაულიო ლუნა (№8), და ტრინიდადელი რასელ ლატაპი

REUTERS სპორტ ოფ სფეინიდან

მსოფლიოს ჩემპიონატი
ფინალი

უკრაინა 0:1 საფრანგეთი

0:1 ბუნიე (80)

უკრაინა: რუდენკო, პასიჩნიჩენკო (კუტასი 83), შერშუნი, ლისიეკი (სტოიანი 64), კომარნიცკი, ბონდარენკო, ვალეევი (ბენდოვსკი 67), გერასიმენკო, პროხოროვი, კონდრატოვიჩი, ბერეზოვჩუკი

მწვრთნელი: ანატოლი კროსჩენკო

საფრანგეთი: პენტო, ვინიალი, ჟივე, შეირუ, ადამადა, მატისი, მენდი, პელე, დანიკი (რუდე 56), დეროტე, სისე (ბუნიე 67)

მწვრთნელი: ჟაკ კრეკუაზიე

მსაჯი: ორან ერდემირი

მატჩი მესამე ადგილისთვის

გერმანია 3:1 ჩეხეთი

0:1 ბაროში (3), 1:1 ჯემიტი (48), 2:1 აუერი (63), 3:1 იუნგ ნიკელი (69)

გერმანია: ოქსი, ფიკერტი, ცეპეკი, ჯემიტი, ბალიჩი, ტებერი (აუერმა 46), ბურკარტი (მიკოლაიჩაკი 79), ზიგერტი, ტიფერტი, ლაუბინგერი (ლაუტმა 64), იუნგნიკელი

მწვრთნელი: ული შტილიკე

ჩეხეთი: ჩეხი, ჰუბშმანი, კრაპი, პეშირი (შედივეცი 60), ვიდლიჩკა (კობილინმა 75), მაჩეკი, როგბუდი, ბესტა, ლატაფა (ოენდრუშაკი 77), ბურეში, ბაროში

მწვრთნელი: დუშან ფიტჟელი

მსაჯი: ტომ ჰენინგ ოვრებო

წარმატებული დროება დაუდგა ფრანგულ ფეხბურთს. მარტო ის რად ღირს, რომ ნაკრებმა ორ წელიწადში მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონის ტიტული ზედიზედ მოიგო. ამგვარი რამ კი ჯერ არ მომხდარა. ძლიერი თაობა მოესწროთ ფრანგებს და ტრიუმფალური გამარჯვებაც, ალბათ, აქედან გამომდინარეობს. ნუთუ საფრანგეთის ნაკრები მაშინაც ასეთი იქნება, როცა ზიდანი და მისი პარტნიორები ფეხბურთს თავს დაანებებენ?

დღევანდელი გადასახედიდან ფრანგებს ყველა წინაპირობა აქვთ საიმისოდ, რომ მომავალშიც ძლიერი ნაკრები ჰყავდეთ. ეს გერმანიაში დასრულებულმა ევროპის 18-წლამდელთა ნაკრებების ჩემპიონატმაც ცხადყო.

ფინალურ მატჩს, რომელიც ნიურნბერგის სტადიონზე გაიმართა, ერთობ ბევრი, 32 ათასი მაყურებელი დაესწრო. ცხადია, მათ შორის იყვნენ მდიდარი კლუბების აგენტებიც. ისინი ფეხბურთელებს აკვირდებოდნენ და უეჭველია, მათთვის ხელსაყრელ კონტრაქტებსაც შესთავაზებდნენ, თუმცა ეს ცალკე საუბრის თემაა...

ფინალში A და B ჯგუფების გამარჯვებულნი — უკრაინა — საფრანგეთი შეხვდნენ ერთმანეთს და ფრანგებმა მეტოქე დაჯაბნეს. ერთადერთი გოლი მატჩის დასრულებამდე ათი წუთით ადრე შეცვლაზე შესულმა ერვე ბუნემ გაიტანა, უკრაინელთა მეკარეს ეფექტურად გასცდა და მეტოქის კარის დალაშქვრა აღარ გასჭირვებია.

ამრიგად, ფრანგებმა 18-წლამდელთა ნაკრებების ჩემპიონატი მესამედ მოიგეს. აქამდე ისინი საუკეთესონი 1996 და 1997 წლებში გახდნენ.

ჭაბუკმა ფრანგებმა უფროსებს მიბაძეს და ევროპის ჩემპიონები გახდნენ

ინტერტოტოს თასი. III ეტაპი

საპასუხო მატჩები. 22 ივლისი

INTERTOTO CUP

ასტონ ვილა (ინგლისი) 3:1 (0:0) დუკლა (ჩეხეთი)
ვალვაიკი (ჰოლანდია) 0:1 (0:2) *ბრედფორდი (ინგლისი)*
პელისტერი (მაკედონია) 1:2 (0:3) *სელტა (ესპანეთი)*
ვოლფსბურგი (გერმანია) 2:1 (0:0) სედანი (საფრანგეთი)
შტუტგარტი (გერმანია) 1:0 (1:2) ლანსი (საფრანგეთი)
სიგმა (ჩეხეთი) 1:0 (1:1) სლავენი (ხორვატია)
ზალცბურგი (ავსტრია) 1:1 (1:3) *სტანდარდი (ბელგია)*
ტატაბანია (უნგრეთი) 1:2 (1:2) *ზენიტი (რუსეთი)*
კალამატა (საბერძნეთი) 0:3 (0:5) *ბლშანი (ჩეხეთი)*
ოსერი (საფრანგეთი) 3:1 (2:0) როსტსელმაში (რუსეთი)
უდინეზე (იტალია) 1:2 (2:0) ოლბორგი (დანია)
აუსტრია (ავსტრია) 3:0 (2:2) ჩაჰლაული (რუმინეთი)

ნახევარფინალის წილისყრა

სიგმა (ჩეხეთი) — ბლშანი (ჩეხეთი)
შტუტგარტი (გერმანია) — სტანდარდი (ბელგია)
ზენიტი (რუსეთი) — ბრედფორდი (ინგლისი)
სელტა (ესპანეთი) — ასტონ ვილა (ინგლისი)
აუსტრია (ავსტრია) — უდინეზე (იტალია)
ოსერი (საფრანგეთი) — ვოლფსბურგი (გერმანია)

მატჩები გაიმართება 26 ივლისსა და 2 აგვისტოს

დანია

პირველი ტური. ბრონდბიუ — ორპუსი 1:2; აკადემისკი — სილკებორგი 1:1; მიდტიუალანდი — ლიუნგბიუ 4:0; კოპენჰაგენი — ჰადერსლევი 5:1; ოდენსე — ვიბორგი 0:1

პოლონეთი

პირველი ტური. პლოცკი — გროცლინი 1:0; კატოვიცე — პოგონი 0:0; ამიცა — პოლონია 1:0; შლიონსკი — გურნიკი 1:0; რუხი — ვიძევი 2:1; ვისლა — რაძიონკოვი 4:0; ლეგია — ზაგლებე 1:0; სტომილი — ოდრა 3:1

უკრაინა

მე-3 ტური. დინამო — ზაპოროჟიე 2:1; კრივბასი — მეტალურგი 3:2; დნიპრო — კარპატი 1:0; შახტარი — ნივა 2:1; ტავრია — სტალი 3:2; მარიუპოლი — ვორსკლა 1:0; მეტალისტი — ცსკა 0:0

კრივბასი	3	3	0	0	9:4	9
დინამო	3	2	1	0	6:2	7
დნიპრო	3	2	1	0	4:2	7
ცსკა	3	2	1	0	3:6	7
შახტარი	3	2	0	1	5:2	6
ტავრია	3	2	0	1	6:5	6
მარიუპოლი	3	2	0	1	4:4	6
მეტალისტი	3	1	1	1	4:3	4
კარპატი	3	1	0	2	5:6	3
მეტალურგი	3	1	0	2	4:7	3
სტალი	3	0	1	2	3:5	1
ნივა	3	0	1	2	1:5	1
ვორსკლა	3	0	0	3	1:5	0
ზაპოროჟიე	3	0	0	3	3:7	0

შვედეთი

მე-12 ტური. ჰალმსტადი — ჰელსინგბორგი 3:1; გიოტებორგი — აიკ 2:2; ტრელებორგი — სუნდსვალი 1:0; ფრიოლუნდა — ჰამარბი 0:0; ელფსბორგი — ნორჩიოპინგი 1:1; იორგრიტე — იორებრო 0:2

ჰალმსტადი	12	8	1	3	21:9	25
აიკ	12	7	2	3	17:15	23
გიოტებორგი	12	5	5	2	20:14	20
ელფსბორგი	12	6	1	5	20:17	19
ნორჩიოპინგი	12	5	4	3	16:10	19
ჰამარბი	12	5	3	4	13:13	18
ჰელსინგბორგი	12	5	2	5	17:16	17
იორებრო	12	4	4	4	20:17	16
იორგრიტე	12	5	0	7	11:16	15
ტრელებორგი	12	4	3	5	10:11	15
ჰაკენი	11	3	4	4	16:19	13
სუნდსვალი	12	3	3	6	14:18	12
ფრიოლუნდა	12	2	3	7	7:21	9
გაის	11	1	5	5	10:16	8

ვუიადინ ბოშკოვი და ილია პეტკოვიჩი (მარჯვნივ)

ახალი მწვრთნელი, ახალი შემართება

იუგოსლავიის ნაკრების თავკაცი ვუიადინ ბოშკოვი ილია პეტკოვიჩმა შეცვალა. ევროპის ჩემპიონატის მეოთხედფინალში მასპინძელ ჰოლანდიასთან სამარცხვინოდ წაგების შემდეგ (1:6) ბოშკოვს თავს კრიტიკის ქარცეცხლი დაატყდა. იუგოსლავიელები გაოგნებულნი და აღშფოთებულნი იყვნენ მატჩის შედეგით და მწვრთნელის გადადგომაზე მაშინვე ალაპარაკდნენ.

„ბოშკოვის დრო უკვე წავიდა, მის ხელში იუგოსლავიური ფეხბურთი რამდენიმე წლით ჩამორჩა“ — გაიძახოდა იქაური ფეხბურთის ზოგიერთი მოხელე.

„ჩემი ბრალი იყო, თუმცა შეიძლებოდა, ცოტათი გაგვმართლებოდა“ — განაცხადა მარცხის შემდეგ გამოცდილმა სპეციალისტმა.

ქვეყნის ფეხბურთის ფედერაციამ თითქმის ერთ თვეს იფიქრა, სანამ საბოლოო გადაწყვეტილებას მიიღებდა, შაბათს კი ყველაფერი გაირკვა — ბოშკოვის პოსტს ამიერიდან 55 წლის ილია პეტკოვიჩი ჩაიბარებს, იგი ნაკრებს მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევ ციკლში უთავკაცებს.

„ეროვნული ნაკრების ხელმძღვანელობა ყველა მწვრთნელისთვის პატივია. მიხარია, რომ ასეთი ნდობა დავიმსახურე“ — თქვა პეტკოვიჩმა მწვრთნელად არჩევის დროს.

ახალი თავკაცი ადრე იუგოსლავიის ნაკრებში თამაშობდა. მან 1968-დან 1974 წლამდე ეროვნულ გუნდში 43 შეხვედრა ჩაატარა, სათამაშო კარიერის უმეტესი ნაწილი ოფკ ბელგრადში გაატარა, სადაც 15 წელიწადი დაჰყო, შემდეგ კი რამდენიმე სეზონი ფრანგულ „ტრუაში“ გამოდიოდა.

საშწვრთნელო კარიერის პირველ წლებში პეტკოვიჩი მშობლიურ ბელგრადულ კლუბს ავარჯიშებდა, მერე შვეიცარიას მიაშურა და „სერვეტთან“ ერთად ქვეყნის ჩემპიონობა მოიპოვა. რამდენიმე სეზონი მას საბერძნეთშიც უმუშავია. იუგოსლავიის ეროვნული ნაკრები პეტკოვიჩისთვის უცხო არ არის. 1998 წლის მსოფლიოს ჩემპიონატზე იგი მთავარი მწვრთნელის, სლობოდან სანტრაჩის ასისტენტი გახლდათ, ეროვნულ გუნდში ორწლიანი მოღვაწეობის შემდეგ კი იაპონიაში წავიდა და თითქმის ერთი წელი უხელმძღვანელა იქაური ჯეილიგის ერთ-ერთ კლუბს.

„ჩვენი პრობლემები მინდვრიდან იწყება — განაცხადა ახალმა მწვრთნელმა — ბევრი რამ შესაცვლელია. ყველა ფეხბურთელმა უნდა გაიაზროს, რომ ეროვნული ნაკრების წევრია. გუნდში ახალგაზრდები უნდა მოვიწვიოთ, კანდიდატი ბევრია, მათ შორის ღირსეულებს შევარჩევთ. თუმცა ყველაფერი ერთბაშად ვერ მოგვარდება, მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევ ციკლს ძირთადად ძველი ბირთვით დავიწყებთ. კიდევ ერთხელ ვიმეორებ, ნაკრების ყველა წევრმა უნდა მოინდომოს, რათა სასურველ შედეგს მივაღწიოთ“.

პეტკოვიჩის მწვრთნელად დანიშვნა ერთობ მოულოდნელი გახლდათ. ორი კვირის წინ გავრცელებული ინფორმაციით, ნაკრების თავკაცის პოსტზე ვეტერანი ნახევარმცველი დრაგან სტოიკოვიჩი უნდა მისულიყო და გუნდს მომავალი მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევ ციკლში გაძღოლოდა, მაგრამ ფედერაციამ სხვაგვარად განსაჯა.

ნიკა შუბლაძე

დაფიქრდით და გამასესხეთ

რონალდო ნაოპერაციევ მუხლს იშუშებს და მომავალზე ფიქრობს. მისი აზრით ახლა ფორმის აღდგენის საუკეთესო საშუალება დროებით ბრაზილიურ „ფლამენგოში“ თამაშია. ერთი სიტყვით, ვარსკვლავს სურს „ინტერმა“ იგი ცოტა ხნით გაასესხოს.

რონალდოს მუხლის ამბავი კი კარგად გეხსომებათ. პირველი ოპერაციიდან ხუთი თვის შემდეგ თავდამსხმელი მოედანს დაუბრუნდა და იტალიის თასის ფინალის პირველ შეხვედრაში, „ლაციოს“ წინააღმდეგ სულ შვიდი წუთის შესული ისევ კლინიკაში წასაყვანი შეიქნა. ახლა დიდ ფეხბურთში მას თებერვლამდე არ ელიან.

თუმცა, „გაძეტა დელო სპორტისთვის“ მიცემულ ინტერვიუში ფეხბურთელმა „ფლამენგოზე“ ჩამოაგდო სიტყვა:

„ჩემი გასესხება ვფიქრობ დაფიქრებად ღირს. ფორმის აღდგენის პრობლემა ხომ არსებობს და მას რამენაირად უნდა მოვუაროთ. მოედანს პირდაპირ იტალიაში რომ დავუბრუნდე, მწამს ბურთთან პირველივე შეხებისას არავინ გაითვალისწინებს ჩემს ისტორიას და ისევე მომეპყრობიან, როგორც ნებისმიერ სხვას. სერია A-ში ხომ ყოველ ეპიზოდში თავდაუზოგავად იბრძვიან“.

შემდეგ ვარსკვლავმა ხელმეორედ დაშავების ამბავი გაიხსენა:

„შვიდად შვიდ წუთში წარმოუდგენელი რამ მოხდა. წარმოგიდგენიათ იგივე ერთხელაც რომ განმეორდეს?

რონალდოს ადრეც ბევრჯერ უთქვამს, რომ ოდესმე „ფლამენგოში“ თამაში სურს, რადგან ბავშვობაში სწორედ ამ გუნდს ქომაგობდა. „არასდროს დამიმალავს, რომ ადრე თუ გვიან „ფლამენგოში“ მისვლას ვაპირებ, მაგრამ ახლა დროებით გადასვლაზეა ლაპარაკი. უნდა დავფიქრდეთ, „ინტერს“ როდის უფრო მომზადებული დავუბრუნდები, მილანის გუნდში ხომ დიდი ჯილდოების მოგებას ვაპირებ. ერთი სიტყვით, „ფლამენგო“ და „ინტერი“ თუ მოილაპარაკებენ კარგი იქნება, ოღონდ, მანამდე „ინტერის“ ხელმძღვანელობასთან სტრატეგიული საკითხები უნდა გავარკვიო“.

უნგრეთი

I ტური

A ჯგუფი

კიშპეშტი — დუნაფერი 1:1, ნირსეგი — დიორი 2:0, ფერენცვაროში — ჰალადაში 4:0, სოპრონი — ტატაბანია გადაიდო

B ჯგუფი

უიპეშტი — ვაშაში 2:0, ზალაეგერსეგი — პეჩი 1:1, ვიდეოტონი — ნადიკანჟა 2:0, მტკ — დებრეცენი 2:1

მსოფლიოს 2002 წლის ჩემპიონატის შესარჩევ ციკლში საქართველოს მეტოქე, უნგრეთი ეროვნული ჩემპიონატის პრინციპებს ცვლის: გუნდების რაოდენობა 17-დან 16-მდე შეამცირა და ეს 16 გუნდი რვა-რვად ორ ქვეჯგუფში გაანაწილა, თითოეულ ქვეჯგუფში გუნდები შინ და სტუმრად შეხვდებიან ერთმანეთს, რის შემდეგაც ექვს-ექვსი საუკეთესო ახალ, ერთიან ჯგუფს შეკრავს. აღსანიშნავია, რომ ქვეჯგუფებიდან ერთიან ჯგუფში გადასულ გუნდებს ქულებიც გადაჰყვებათ, ოღონდ ფრიად ორიგინალური პრინციპით — პირველ ადგილზე გასულებს ექვს-ექვსი, მეორეებს ხუთ-ხუთი, მესამეებს ოთხ-ოთხი, მეოთხეებს სამ-სამი, მეხუთეებს ორ-ორი და მეექვსეებს თითო.

ამის შემდეგ, ერთიან ჯგუფში ჩვეულებრივი ჩემპიონატი ჩატარდება — შინ და სტუმრად — რომელიც უნგრეთის ჩემპიონის ვინაობას გაარკვევს.

კიდევ ერთი სიახლე ის გახლავთ, რომ უნგრულმა პირველმა დივიზიონმა დასახელებაში სიტყვა პროფესიული ჩამოიშორა.

და აი, გადაკეთებული ჩემპიონატიც დაიწყო. პირველ ტურში ჩემპიონმა, „დუნაფერმა“ სტუმრად 1:1 ითამაშა „კიშპეშტ ჰონვედთან“. აღსანიშნავია, რომ ქალაქ დუნავაროშის გუნდი „დუნაფერი“ გასულ სეზონში ერთობ მოულოდნელი ჩემპიონი გახდა: მან ევროპაში ყველაზე მეტი, ზედიზედ 31 დაუმარცხებელი შეხვედრა ჩაატარა და მეორე ადგილზე გასულ ბუდაპეშტის მტკ-ს (1976 წელს თბილისის „დინამოს“ მძლეველი) 13 ქულით გაუსწრო. რაც შეეხება უნგრეთის თასს, გასულ სეზონში იგი მტკ-მ მოიპოვა.

„დუნაფერის“ თავკაცმა, გასული სეზონის საუკეთესო მწვრთნელად დასახელებულმა ეგერვარიმ გუნდი „დებრეცენისგან“ ნიჭიერი ნახევარმცველის; გაბორ ბაგოლის გადაყვანით გააძლიერა.

რაც შეეხება სრულიად უნგრეთის ყველაზე პოპულარულ კლუბს, ბუდაპეშტის „ფერენცვაროშს“, მას ახალი მწვრთნელი ჰყავს, ქვეყნის ნაკრების ყოფილი ხელმძღვანელი იანოშ ჩანკი. ბუდაპეშტელთა მხარდამჭერთ იმედი აქვთ, რომ ჩანკი ბოლოჟამს შელახულ თავმოყვარეობას დაუკმაყოფილებთ — გასულ სეზონში „ფერენცვაროში“ მეხუთე ადგილზე გავიდა. ახალი სეზონის სტარტმა გაამართლა, ჩანკის შეგირდებმა „ჰალადაშს“ 4:0 მოუგო.

ნაკრების კიდევ ერთი ყოფილი თავკაცი დიორდ მესეი დედაქალაქის სხვა კლუბს, „ვაშაშს“ ჩაუდგა სათავეში, მაგრამ ცუდად დაიწყო — „უიპეშტთან“ დერბიში დამარცხდა 0:2. აღსანიშნავია, რომ ოდესღაც ძლიერი „ვაშაში“ ბოლოს 1977 წელს გახლდათ ქვეყნის ჩემპიონი და თან, ამ სეზონის წინ სწორედ „უიპეშტისგან“ იყიდა ნაკრების ორი ფეხბურთელი, მცველი ტამაშ პეტო და ნახევარმცველი ნორბერტ ტოტი.

ნორვეგია

მე-15 ტური. ბრინი — ტრომსიო 2:3; ჰაუგესუნდი — მიოლდე 2:4; ლილესტრიომი — ვიკინგი 0:1; მოსი — სტარტი 4:0; სტაბეკი — ოდ გრენლანდი 1:2; ვოლერენგა — ბოდიო გლიმტი 1:1; ბრანი — რუსენბორგი 1:1

რუსენბორგი	16	11	4	1	37:14	37
ბრანი	15	9	3	3	35:23	30
ვიკინგი	14	8	2	4	31:21	26
ოდ გრენლანდი	15	6	5	4	25:20	23
ტრომსიო	15	6	5	4	26:26	23
მოლდე	16	6	5	5	24:28	23
სტაბეკი	13	6	2	5	29:15	20
ლილესტრიომი	13	5	5	3	18:10	20
მოსი	15	5	5	5	22:23	20
ვოლერენგა	15	3	6	6	20:22	15
ბოდიო გლიმტი	14	3	6	5	23:32	15
ჰაუგესუნდი	15	3	2	10	23:42	11
ბრინი	15	2	3	10	21:38	9
სტარტი	15	2	3	10	18:38	9

რაიან გიგზი

ახლოვდება ახალი სეზონი და ევრო 2000-დან საკლუბო ყოველდღიურობას ვუბრუნდებით. დღეს „მანჩესტერ იუნაიტედსა“ და მის პერსპექტივებზე რაიან გიგზი გვესაუბრება

მაინც ტელეტექსტთან ვიჯექი

— ახალი სეზონი მოახლოვდა. რას იტყოდით „იუნაიტედის“ შანსებზე?

— გამარჯვების სურვილი და თავდადება ისეთივე იქნება, როგორც ნებისმიერ სხვა სეზონში. ცხადია, გასული წლის წარმატების გამეორება ძალიან ძნელია, მაგრამ იმავდროულად, ჩვენგან სწორედ ამას ითხოვენ. მთავარი იმ სტანდარტების შენარჩუნებაა საკუთარ თავს რომ წავუყენეთ. ისე კი, ცხადია, ოპტიმისტურად ვართ განწყობილი.

— „ლივერპულმა“, „ლიდსმა“ და „ჩელსიმ“ სატრანსფერო სეზონში დიდძალი ფული დახარჯეს, „იუნაიტედს“ კი, თითქოს, მაინცდამაინც არ უაქტიურია...

— მართალია, მაგრამ გასულ წლებში იგივე არ ხდებოდა? თუ იაპ სტამის და დუაიტ იორკის ყიდვას არ ჩავთვლით, სხვები ყოველთვის მეტს და ძვირად ყიდულობდნენ. აშკარაა მწვრთნელი გრძნობს, რომ ძველ შემადგენლობას კვლავ შეუძლია პრემიერლიგის ჩემპიონობა. ერთი სიტყვით, ვნახოთ. კონკურენტებმა მართლაც ჩინებული მოთამაშეები შეიძინეს. ჩვენ ნაცად ხალხს ვენდობით. დავიცადოთ, გამოჩნდება.

— ამ ზაფხულზე გემრიელად დასვენება მოახერხეთ?

— ძალიან სასიამოვნო გახლდათ მშვიდ გარემოში, ფეხბურთის ხსენების გარეშე ყოფნა. ევროპაში ჩავედი, მონაკოს „გრან პრიზე“, თუმცა უნებურად ფეხბურთზე მაინც ვფიქრობდი. მაინტერესებდა კონკურენტები რას აკეთებენ და ხშირად ტელეტექტს ჩავუჯდები ხოლმე. ისე კი, ევროპის ჩემპიონატზე რომ ვერ ვითამაშე ძალიან დამწყდა გული. „იუნაიტედში“ უმაღლეს დონეზე ვთამაშობ და ვიმედოვნებ, რომ ოდესმე უელსის ნაკრებშიც იმავეს ვიზამ.

— ახალ სეზონში პირადი მიზანი თუ გაქვთ?

— მინდა ისევე ვითამაშო, გასულ სეზონში რომ ვთამაშობდი. თან შარშან ტრავმებსაც გადავრჩი. ადრე ხომ გაწამებული გახლდით და მუდმივად ტრავმის მოშუშეის შემდეგ ფორმის აღდგენაზე მიწევდა ზრუნვა. ერთი სიტყვით, დაშავებას თუ კვლავ გადავურჩები, ძალიან ბედნიერი ვიქნები.

— ვინ იქნება „იუნაიტედის“ მთავარი კონკურენტი?

— ბუნებრივია „არსენალი“, „ჩელსი“ და „ლიდსი“. „ლივერპულიც“ საკუთარ თავს პოულობს და ამიტომ მისგან ყველაფერს უნდა ველოდოთ. ნუ დავივიწყებთ „ევერტონისა“ და „ასტონ ვილას“ ტიპის გუნდებს, თუმცა, მწამს, საბოლოოდ სხვებზე ფიქრს თავი უნდა დაანებო და შენს მიზანზე იფიქრო.

— და ევროსარბიელზე რას გვეტყვით? გასულ სეზონში ჩემპიონთა ლიგიდან გამოვარდნა ძალიან საწყენი იყო?

— ძალიან. მიმაჩნდა, რომ თასის შენარჩუნება აუცილებელი იყო და ამ თვალსაზრისით უკანდახევა გამოვიდა. მართალია ერთხელ გამარჯვებითაც დავამტკიცეთ ჩვენი ძლიერება, მაგრამ, მგონი გასულ სეზონში იმ, გამარჯვებული სეზონის დონეზე ვეღარ ვითამაშეთ. ის, რომ თასი ჩვენმა მძლეველმა გუნდმა, „რეალმა“ მოიპოვა, დიდი ვერაფერი დამშვიდებაა. მეოთხედფინალში, „ოლდ ტრეფორდზე“ გულდასაწყვეტად წავაგეთ.

365-დან თარგმნა
ბაბუნა ძედიამ

მანჩესტერ იუნაიტედი ფეხბურთელებს არ ყიდულობს

„მანჩესტერ იუნაიტედის“ ახალი თავმჯდომარის, პიტერ კინიონის განცხადებით, ინგლისის ჩემპიონი სეზონის დაწყებამდე სატრანსფერო ბაზარზე ალბათ, არ გააქტიურდება და უახლოეს ერთ თვეში ფეხბურთელებს არ შეიძენს. ამრიგად, მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონი, მეკარე ფაბიენ ბარტეზი „მანჩესტერ იუნაიტედის“ ერთადერთი ახალწვეული იქნება. შეგახსენებთ, რომ გოლკიპერი „იუნაიტედში“ „მონაკოდან“ 7,8 მილიონ გირვანქად გადავიდა.

„ახალი სეზონის დაწყებამდე სავარაუდოდ აღარავის შევიმატებთ — განაცხადა პიტერ კინიონმა — მალე ფეხბურთელები არდადეგებიდან დაბრუნდებიან, გუნდი რთული სეზონისთვის უნდა მოემზადოს, სამუშაო მართლაც ბევრია“.

მაშინ, როცა პრემიერლიგის სხვა კლუბებმა ბლომად მილიონები დახარჯეს და ახალი ფეხბურთელები შეიძინეს, „მანჩესტერმა“ მხოლოდ ერთი მოთამაშე მიიწვია და ორი გაუშვა. როგორც მოგახსენეთ, გუნდის კარს მომავალი სეზონიდან ფაბიენ ბარტეზი დაიცავს. იტალიელი გოლკიპერი მასიმო ტაიბი კი „რეჯინაში“ წავიდა. კარიერას „დერბიში“ გაგრძელებს 21 წლის მცველი დენი ჰიგინბოთომი. „იუნაიტედმა“ ახალგაზრდა ფეხბურთელი 2 მილიონ გირვანქად გაყიდა.

პიტერ კინიონმა დაადასტურა, რომ დევიდ ბექემს გუნდიდან არ გაუშვებს და „მილანი“, ალბათ, ამაოდ შეეცდება ნახევარმცველის გადაბირებას.

„არაერთელ გვითქვამს და ახლაც ვიმეორებ, რომ დევიდ ბექემს არ შეველევით — განაცხადა თავმჯდომარემ — როცა მსოფლიოს დონის ვარსკვლავს ყიდი, მისი შემცვლელი უნდა გეგულებოდეს, ამიტომ დევიდის გუნდიდან გაშვება ხელს არ გვაძლევს“.

კინიონმა „იუნაიტედის“ ბიზნესზეც ისაუბრა: „მანჩესტერ იუნაიტედს“ გამართული სტრატეგია აქვს, ჩვენ მსოფლიოს წამყვან კლუბებს შორის მოგვიხსენიებენ. ყველა პირობაა შექმნილი საიმისოდ, რათა გუნდმა უდიდესი წარმატებებისთვის იბრძოლოს. ახალგაზრდა თაობის პოტენციალი მაქსიმალურად უნდა გამოვიყენოთ. მოზარდებს დიდ ფეხბურთის თამაშის საშუალება მივცეთ. „იუნაიტედმა“ სწორედ ამით გაითქვა სახელი“.

თქვენი იყოს, არ მინდა...

„მილანის“ ვიცე-პრეზიდენტმა, ადრიანო გალიანმა განაცხადა, რომ მის გუნდს „ბერსელონას“ ბრაზილიელი ვარსკვლავის, რივალდოს შეძენის მცირე შანსი აქვს. შეგახსენებთ, რომ მილანელები „მანჩესტერ იუნაიტედის“ ნახევარმცველის, დევიდ ბექემის ყიდვასაც ლამობდნენ, მაგრამ ვერც ამ მიზანს მიაღწიეს.

„რივალდო, ალბათ, „ბარსელონაში“ დარჩება, ბექემი — „მანჩესტერ იუნაიტედში“. ფიგუზეც ვფიქრობდით, მაგრამ პორტუგალიელი „რეალმა“ წაიყვანა და ამით რივალდოს გადაბირების შანსი ერთიორად შემცირდა“ — თქვა გალიანმ.

კაცმა რომ თქვას, აქ მარტო ფიგუს წასვლის გამო რივალდოზე დადებულ ტაბუშიც არ არის საქმე. რივალდო დიახაც იყიდება (თეორიულად), მაგრამ იგი არანორმალურად ძვირი, 90 მილიონი დოლარი ღირს.

„რივალდოს საფასურს ჩვენ ვერ გადავიხდით. არ არსებობს იტალიური გუნდი, ამას რომ შეწვდეს“ — ბრძანა გალიანიმ — „რამდენიმე წლის წინ ვამბობდი, რომ სატელევიზიო უფლებები ევროპის საფეხბურთო ბაზარს ყირამალა დაყენებდა და აი, ეს მომენტიც დადგა. დღეს ესპანელები და ინგლისელები ჩვენზე მდიდრები არიან“.

მოგეხსენებათ, „მილანის“ პრეზიდენტმა, სილვიო ბერლუსკონიმ ქომაგებს რომელიმე დიდი ვარსკვლავის შეძენა აღუთქვა, მაგრამ, როგორც ხედავთ, ჯერჯერობით არაფერი გამოუდის. კლუბის ინტერესები მეორე პლანზე გადაიტანეთ და მხოლოდ პოლიტიკაზე ფიქრობთ, უსაყვედურეს პრეზიდენტს გულშემატკივრებმა. ბერლუსკონი ხომ იტალიის დღევანდელ პარლამენტში ყველაზე დიდი ოპოზიციური ძალის, „ფორცა იტალიის“ ლიდერია.

თუმცა, „შავ-წითელთა“ მწვრთნელი, ალბერტო ძაკერონი ამბობს, რომ მისი გუნდი ყოველგვარი ვარსკვლავის დამატების გარეშეც ძლიერია და ასეთად დარჩება. მთავარია, რომ ტრავმირებული არავინაა.

უკრაინელის ლონდონური ფინეთში

რებროვი: პირველი მატჩი და გოლი

ინგლისი

11 მილიონ გირვანქად შეძენილმა სერგეი რებროვმა „ტოტენჰემის“ ფორმა პირველად მოირგო და პირველივე მატჩში გოლიც შეაგდო. ეს ფინეთში მოხდა, სამოყვარულო „ტერვარიტთან“, რომელსაც ლონდონურმა კლუბმა პატივი დასდო, ამხანაგურად გაეჯიბრა და 4:0 მოუგო. უკრაინელის გარდა გოლები ლეს ფერდინანდმა, კრის არმსტრონგმა და სტეფენ ივერსენმა გაიტანეს, „ჰოთსფურის“ ახალმა მეკარემ, „უიმბლდონიდან“ უფასოდ გადასულმა ნილ სალივანმა კი სამი უძნელესი ბურთის მოგერიება შეძლო.

პირველად გაიხარა „არსენალის“ შემადგენლობაში 17 წლის ჟერმენ პენნმა, რომლის 53-ე წუთზე გატანილი ერთადერთი გოლით ვენგერის გუნდმა მესამედივიზიონელი, ლონდონისვე „ბარნეტი“ დაამარცხა. ფრანგმა მწვრთნელმა სეზონის პირველ საწვრთნელ შეხვედრაში სწორედ ახალგაზრდები გამოსცადა, თუმცა ყველაზე უკეთ მაინც გამოცდილმა რეი პარლოუმ ითამაშა.

„ლიდსის“ 6 მილიონანმა შენაძენმა, ავსტრალიელმა მარკ ვიდუკამ კი იორკშირულ კლუბში დებიუტი ჰეთერიქით აღნიშნა. არადა, ექს-სელტიკელმა ახალ გუნდში მუშაობის უფლება სამოყვარულო „ლისეკილსთან“ თამაშამდე 20 საათით ადრე მოიპოვა. მის გარდა გოლები იან ჰარტმა (2), ალან სმიტმა და მაიკლ ბრიჯისმაც გაიტანეს, თუმცა არც მასპინძლები დარჩნენ მშრალზე და ნაიჯელ მარტინი ერთხელ დაამწუხრეს. საბოლოოდ 1:7.

ტრევორ სინკლერის ზუსტი საჯარიმო დარტყმით „ვესტ ჰემმა“ სტუმრად ირლანდიური „სენტ პატრიკსი“ დაამარცხა. ლონდონელთა მწვრთნელი ჰარი რედნაპი ერთ მომენტში მოედანზეც კი აღმოჩნდა (იხილეთ მე-16 გვერდი), თუმცა მერე დაწყნარდა და ინგლისური ფეხბურთის იმედად მიჩნეული ჯო კოულის თამაში საგანგებოდ აღნიშნა.

ქინქლაძის გარეშე დარჩენილმა „დერბი ქაუნთიმ“ მეორედივიზიონელ „ჩესტერფილდთან“ წააგო, ოღონდ პენალტების სერიით. რატომ პენალტებით? გუნდებმა დერბიშირის საუკუნოვანი თასი გაითამაშეს და იმიტომ.

არც თემურ ქეცბაია ჰყავდა „ნიუკასლს“, რომელმაც ამერიკული ტურნეს პირველი მატჩი ასევე მარცხიანად ჩაამთავრა, ოღონდ ძირითად დროში — ბობი რობსონის გუნდს ვაშინგტონის „დს იუნაიტედმა“ 3:1 მოუგო.

უქმეებზე ინგლისში ჩატარებული სხვა საწვრთნელი მატჩებიდან ასევე გამოვყოფთ „ლივერპულის“ დამარცხებას „სტოკ სიტისთან“ — 0:1 ჟან ტიგანას დებიუტი „ფულემის“ მწვრთნელის პოსტზე კი წარმატებული გამოდგა: ალ-ფაედის გუნდმა ინდოეთის ნაკრებს 2:0 მოუგო. ორივე გოლი კარლ-ჰაინც რიდლეს ანგარიშზეა.

პრემიერლიგელთა საერთაშორისო ამხანაგური მატჩები

25 ივლისი. აბერდინი (შოტლანდია) — მიდლსბრო; სელტიკი (შოტლანდია) — ვესტ ჰემი; რიგა (ლატვია) — იფსვიჩ თაუნი
26 ივლისი. კოლუმბუს ქრიუ (აშშ) — ნიუკასლ; შელბურნი (ირლანდია) — ლესტერი
27 ივლისი. კრუზეიდერსი (ჩრდ. ირლანდია) — დერბი ქაუნთი
28 ივლისი. ფინ ჰარფსი (ირლანდია) — ლესტერი
31 ივლისი. კლიფტონვილი (ჩრდ. ირლანდია) — ლესტერი
3 აგვისტო. ბარსელონა (ესპანეთი) — არსენალი (ამსტერდამში); გლენტორანი (ჩრდ. ირლანდია) — ლივერპული; სენტ ტრუიდენი (ბელგია) — დერბი ქაუნთი
4 აგვისტო. მანჩესტერ იუნაიტედი — გალათასარაი (თურქეთი) (მიუნხენში)
5 აგვისტო. აიაქსი (ჰოლანდია) — არსენალი; ალკმაარი (ჰოლანდია) — იფსვიჩ თაუნი; ბენფიკა (პორტუგალია) — ლივერპული (ბელფასტში); ფეიენოორდი (ჰოლანდია) — ნიუკასლ; სიტარდი (ჰოლანდია) — დერბი ქაუნთი; გენტი (ბელგია) — ქოვენთრი; ბაიერნი (გერმანია) — მანჩესტერ იუნაიტედი
6 აგვისტო. მიდლსბრო — ბორუსია (დორტმუნდი, გერმანია)
8 აგვისტო. დენ ჰაგი (ჰოლანდია) — დერბი ქაუნთი; სპარტა (ჰოლანდია) — ქოვენთრი
9 აგვისტო. დანფერმლაინი (შოტლანდია) — არსენალი
10 აგვისტო. შელბურნი (ირლანდია) — მანჩესტერ იუნაიტედი
11 აგვისტო. დერბი ქაუნთი — ატლეტიკი (ბილბაო, ესპანეთი); ვალვაიკი (ჰოლანდია) — ლესტერი
12 აგვისტო. ჩარლტონი — ვიჩენცა (იტალია); ქოვენთრი — აიაქსი (ჰოლანდია); სოსიედადი (ესპანეთი) — საუთჰემპტონი
13 აგვისტო. რეალი (მადრიდი, ესპანეთი) — მიდლსბრო; ვესტ ჰემი — ატლეტიკი (ბილბაო, ესპანეთი); ლივერპული — პარმა (იტალია)

UEFA EURO 2000 ევრო 2000

სარბიელის თერთმეტი რჩეული

ბურთის მომპოვებელი

„ანგარიშის გათანაბრების შემდეგ იტალიელები ფსიქოლოგიურად გატყდნენ. ფინალი მათი საუკეთესო მატჩი იყო ევრო 2000-ზე. ძალიან დიდი გუნდი დავამარცხეთ. ფაბიენ ბარტეზმა ბრწყინვალედ ითამაშა. მთელი ტურნირის მანძილზე კი ორი ფეხბურთელი იყო შეუდარებელი — ზინედინ ზიდანი და ტიერი ანრი. რა თქმა უნდა, კარგია, როცა ნიჭიერი ხარ, მაგრამ ხასიათის სიმტკიცეც აუცილებელია. სწორედ ამით გამოირჩევა საფრანგეთის ახლანდელი ნაკრები წინამორბედებისგან. რაც შემეხება მე, ახლა უნდა დამემტკიცებინა, რისი შემძლეც ვიყავი. ვფიქრობ, მოცემული შანსი კარგად გამოვიყენე“ — თქვა საფრანგეთის ნაკრებისა და ლონდონის „არსენალის“ ნახევამცველმა პატრიკ ვიეირამ ფინალური მატჩის დამთავრებისთანავე.

პატრიკ ვიეირა, უეჭველია, ევრო 2000-ის ერთ-ერთი აღმოჩენაა. იგი მანამდეც საკმაოდ კარგად გამოდიოდა ნაკრებსა თუ კლუბში, მაგრამ ბელგია — ჰოლანდიის სტადიონებზე მან ისეთ სიმაღლეებს მიაღწია, მანამდე ახლოსაც რომ ვერ გაეკარებოდა.

ფრანგულ საფეხბურთო ენაში არის ასეთი ტერმინი — ბურთის წამრთმევი, ბურთის მომპოვებელი. ჩვენ ამგვარ ფეხბურთელებს საყრდენ, ან დაცვაზე ორიენტირებულ ნახევარმცველებს ვუწოდებთ. ფრანგებისთვის კი არა აქვს მნიშვნელობა, კაცი მარჯვენა ნახევარმცველია, მარცხენა თუ ცენტრალური. შუახაზელებს ორ ტიპად ყოფენ — შემტევები და მომპოვებლები, წამრთმევები. ეს უკანასკნელები შავი სამუშაოს უდიდეს ნაწილს ასრულებენ, მეტოქეებს დაცვის პირველ ჯაჭვებიდან აღუდგებიან და მათი შეტევების უმრავლესობასაც შლიან. „ლურჯაებიდან“ ფეხბურთელის ამ ტიპებს დიდი დეშამპი, ემანუელ პეტი, კრისტიან კარამბუ და პატრიკ ვიეირა წარმოადგენენ.

არსენალელი „ლურჯების“ ახალი თაობის სიძლიერის სიმბოლოა. მისი აზრით, ბოლო ხანს მის კარიერაში ახალი ეტაპი დაიწყო. მიზეზი? „თუ ასეთი მიზეზი მხოლოდ ერთია, მაშინ ვიტყოდი, რომ უმაღლეს დონეზე ჩატარებულმა მატჩებმა საკუთარი თავის რწმენა შემატა. ჩემს სიძლიერეში დარწმუნებული თითქმის ყოველთვის ვიყავი, მაგრამ მაინც ვგრძნობდი, რომ გამოცდილება მაკლდა. ახლა კი ესეც ავიანაზღაურე. ნებისმიერი მატჩისთვის ან ტურნირისთვის მზად ვარ“ — ამბობს მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონი.

გამოცდილების შეძენაში ევრო 2000-ზე ვიეირას თანაგუნდელი ემანუელ პეტის ტრავმაც დაეხმარა. იგი „ლურჯების“ ძირითად შემადგენლობაში მხოლოდ პირველ შეხვედრაში, დანიის წინააღმდეგ არ გამოჩენილა, მერე კი როჟე ლემერისთვის შეუცვლელი გახდა. მთავარი მწვრთნელის ნდობა კი ვიეირამ ნამდვილად გაამართლა. მთელი ტურნირის განმავლობაში უამრავი ტექნიკური ვარდნა, მეტოქეთა არაერთი შეტევის ჩაშლა, მთელს მოედანზე დაუღლელად მუშაობა და თავისი გუნდის იერიშებშიც აქტიური მონაწილეობა — აი, რით გადაიხადა ვიეირამ ლემერის „ვალი“. ესპანეთთან მეოთხედფინალში კი სწორედ მისი ინდივიდუალური ოსტატობისა და გამოზომილი პასის შემდეგ გაიტანა იური ჯორკაეფმა ფრანგების მეორე და როგორც შემდეგ აღმოჩნდა, გამარჯვების გოლი. იმ მომენტში ყველამ ნათლად დაინახა, რომ ვიეირა უბრალო ჩამშლელი არაა. მას მშვენიერი ტექნიკა აქვს, ბურთს კარგად ფლობს, ერთი-ორი მეტოქის მოტყუებაც ეიოლება და შეტევის ოპტიმალური გაგრძელების მონახვაც შეუძლია.

ამიტომაც თვლის ფეხბურთელი, რომ საფრანგეთის ნაკრებში თანდათან ფესვებს იდგამს და მალე ძირითადი შემადგენლობის უცვლელი წევრიც იქნება. „1998 წლის მსოფლიოს ჩემპიონატზე სრულიად განსხვავებული სიტუაცია იყო. როცა ბევრს არ თამაშობ, გგონია, არავის სჭირდები. მაშინ უბრალოდ შემცვლელი ვიყავი, რომელიც უკანასკნელ მომენტში ახსენდებოდათ“ — ამბობს ვიეირა, რომელიც უკვე ნაღდი „ლურჯია“, მით უმეტეს, თუ დიდიე დეშამპი თავის გადაწყვეტილებას არ გადათქვამს და ნაკრებს დაეშშვიდობება. ფრანგთა შორის მისი მომავალი კი მშვენიერი ჩანს დღევანდელი მდგომარეობის გათვალისწინებით.

ფეხბურთელმა — ვიეირამ ადამიანი — ვიეირა ცოტა ყურადღების მიღმა დაგვიტოვა. პატრიკი 1976 წლის 23 ივნისს დაიბადა სენეგალის დედაქალაქ დაკარში, სადაც პარიზი — დაკარის პრესტიჟული ავტორბოლა სრულდება ხოლმე. შემდეგ იგი ერთი ხანობა ოჯახთან ერთად პორტუგალიურ კაპ-ვერდეში ცხოვრობდა და რომ არა მამამისის სურვილი, საფრანგეთში გადახვეწილიყო, იქნებ ევრო 2000-ის ნახევარფინალში საპირისპირო ბანაკში აღმოჩენილიყო. 17 წლის ბიჭი „კანმა“ აიყვანა, სადაც 1995 წლამდე დარჩა. შემდეგ მისით „მილანი“ დაინტერესდა და ვიეირაც იტალიურ გრანდში გადაბარგდა, რომლის შემადგენლობაშიც 1996 წელს ქვეყნის ჩემპიონი გახდა. თუმცა „მილანში“ იგი ვერ დამკვიდრდა და იტალიის ჩემპიონის ოქროს მედლის მოპოვების შემდეგ ლონდონის „არსენალში“ წავიდა ბედის საცდელად. აქ მან მალე დაიბეგა ადგილი ძირითად შემადგენლობაში და „მეთოფეთა“ ქომაგების ერთ-ერთი საყვარელი ფეხბურთელიც გახდა.

აი, ინგლისელმა მსაჯებმა კი ვიეირას ნამდვილი ომი გამოუცხადეს, რაშიც მასაც დიდი ბრალი მიუძღვის. სეზონი ისე არ გავა, ფრანგმა რამდენიმე წითელი ბარათი არ დაიმსახუროს, ყვითლებს ხომ თვლა არ აქვს. მისი უხეშობის ზღვარზე თამაში მეტოქეებსაც ნერვებს უშლის. ევრო 2000-ზე კი, ყველასათვის მოულოდნელად, ვიეირა ლამის ფრთაშესხმულ ანგელოზად იქცა და თამაშის წესებსაც იშვიათად არღვევდა. „არსენალში“ მან 1998 წელს ინგლისის ჩემპიონობა მოიპოვა. რამდენიმე ხანში კი მსოფლიოს ჩემპიონიც გახდა.

და იცით, ვინ არის ვიეირას საყვარელი და მისაბაძი ფეხბურთელი? ფრანკ რაიკარდი. „ის ყოველთვის ჩემი კერპი იყო. ამ ადგილზე მასზე უკეთესად ვერავინ თამაშობდა. ჰოლანდიელებს ყოველთვის ძლიერი ბურთის მომპოვებლები ჰყავდათ. ახლა ედგარ დავიდსი ერთ-ერთი საუკეთესოა მსოფლიოში. „პიტბულს“ დიდ პატივს ვცემ“ — თქვა პატრიკ ვიეირამ, რომლისაც დიდად ეიმედებათ როჟე ლემერს და მთელ საფრანგეთს 2002 წლის მსოფლიოს ჩემპიონატისთვის.

გაიოზ თალაკვაძე

პატრიკ ვიეირამ (№4) რაულს ბურთი ააერთვა

პატრიკ ვიეირა

საფრანგეთი
დაიბადა: 1976 წლის 23 ივნისს დაკარში (სენეგალი)
კლუბი: არსენალი (ინგლისი)
ამპლუა: ნახევარმცველი
სიმაღლე: 191 სმ
წონა: 82 კგ
კარიერა: კანი (საფრანგეთი), მილანი (იტალია), არსენალი (ინგლისი)
საფრანგეთის ნაკრები: 29 მატჩი, 0 გოლი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ᲓᲐᲑᲠᲣᲜᲔᲑᲐ ᲞᲐᲠᲘᲖᲨᲘ



REUTERS პარიზიდან

ნიკოლა ანელკა ისევ მშობლიური კლუბის მაისურით ითამაშებს

ᲜᲘᲙᲝᲚᲐ ᲐᲜᲔᲚᲙᲐ მადრიდის „რეალიდან“ „პარი სენ ჟერმენში“ დაბრუნდა. ევროპის ჩემპიონმა ფრანგული სატრანსფერო რეკორდი დაამყარა — 215 მილიონი ფრანკი, რაც 31,25 მილიონი დოლარის ტოლია.

21 წლის პარიზელი მშობლიურ „პარკ დე პრენსზე“ შეგროვილ გულშემატკივარს „პარი სენ ჟერმენისა“ და ბრაზილიური „კორინთიანსის“ ამხანაგური მატჩის წინ დაენახა და მიესალმა.

„ახალგაზრდა ფეხბურთელის მოგზაურობის“ მორიგი სერია დასრულებულია.

...24 საათით ადრე კი ანელკას ძმა, დიდიე კატეგორიულად აცხადებდა ნიკოლა „რეალში“ რჩებაო.

„კორინთიანსთან“ შეხვედრის წინ გამართულ პრესკონფერენციაზე პარიზული კლუბის პრეზიდენტმა, ლორან პერჟრმა საზოგადოებრიობას აუწყა, რომ თავდამსხმელმა წინასწარ გამოცხადებული ექვსის ნაცვლად შვიდწლიან კონტრაქტს მოაწერა ხელი.

ამბობენ, სინამდვილეში „პარი სენ ჟერმენმა“ მადრიდელებს უფრო მეტი გადაუხადა, ვიდრე ოფიციალურად გამოაცხადესო, მაგრამ პრეზიდენტმა ფარდა ერთი გოჯითაც არ აწია: „სატრანსფერო თანხა 215 მილიონი ფრანკი იყო“.

ანელკა კი ბედნიერი ჩანდა:

„ძალიან, ძალიან გახარებული ვარ და მწამს, იქ დავბრუნდი, სადაც ბევრ ტიტულს მოვიგებ“.

„პარი სენ ჟერმენის“ მწვრთნელები ახალი შენაძენისგან პირველსავე დღეს სასწაულს არ ელიან. ისინი რეალისტურად აცხადებენ, რომ ნიკოლას საუკეთესო ფორმის აღსადგენად დაახლოებით ორკვირიანი წვრთნა დასჭირდება და, ბუნებრივია, მომავალ პარასკევს „სტრასბურთან“ ვერ ითამაშებს (ან კარგად ვერ ითამაშებს).

„სამწლიანი განშორების შემდეგ ჩემს ქვეყანაში დაბრუნება და ჩემი ოჯახისა და მეგობრებისთვის თამაში უდიდესი სიამოვნებაა. ფულზე ლაპარკს ამ შემთხვევაში დიდი აზრი არ ჰქონდა“ — განაცხადა ანელკამ.

ადრეც გაცნობეთ, რომ ნიკოლა ანელკა პარიზის გარეუბან ტრაპესშია აღზრდილი და პროფესიულ ფეხბურთს „პარი სენ ჟერმენში“ ეზიარა, საიდანაც 1997 წელს, 17 წლისა, ლონდონის „არსენალმა“ იყიდა. ინგლისის დედაქალაქში ერთობ თავისებური ზნის ფრანგმა ფეხი ვერ მოიკიდა და 1999 წლის აგვისტოში 35 მილიონ დოლარად მადრიდში გაყიდეს. თავიდან, მაინცდამაინც ვერც მადრიდს შეეწყო თავნება თავდამსხმელი. კონფლიქტი ჰქონდა ყველა შესაძლო ჩინოვნიკთან მწვრთნელის, ვისენტე დელ ბოსკეს ჩათვლით, მაგრამ გაზაფხულისთვის პრობლემა მოგვარდა და ჩემპიონთა ლიგის ნახევარფინალში მიუნხენის „ბაიერნთან“ გამარჯვებაში უმნიშვნელოვანესი როლიც ითამაშა, ისევე, როგორც ფინალში „ვალენსიასთან“.

„უცხოეთში ძალიან ბევრი რამ ვისწავლე. განსაკუთრებით „არსენალის“ მწვრთნელის, არსენ ვენგერისგან. რაც შეეხება „რეალს“, იქ გადასვლა ყოველთვის ძალიან მინდოდა და მის თეთრ მაისურში თავს ამაყად ვგრძნობდი“ — მადლობა უძღვნა წარსულს ფორვარდმა.

მოგეხსენებათ, „პარი სენ ჟერმენი“ ანელკას თაობაზე „რეალის“ ყოფილ პრეზიდენტს, ლორენსო სანსს გაურიგდა, მაგრამ სანსმა თანამდებობა დაკარგა და ლამის ყველაფერი ჩაიშალა კიდეც. თუმცა პარიზელებმა ახალ პრეზიდენტთან, ფლორენტინო პერესთან განაახლეს მოლაპარაკება და შედეგსაც მიაღწიეს.

ᲜᲘᲙᲝᲚᲐ ᲐᲜᲔᲚᲙᲐ



დაიბადა 1979 წლის 14 მარტს ვერსალში, საფრანგეთი

1996 წლის 7 თებერვალს 16 წლისამ „პარი სენ ჟერმენის“ შემადგენლობაში პირველი მატჩი ითამაშა

1997 წლის 3 მარტს 795 400 დოლარად „არსენალში“ გადაყიდა. იმავე წლის 5 აპრილს „არსენალის“ შემადგენლობაში „ჩელსის“ წინააღმდეგ პირველი თამაში ჩაატარა (83-ე წუთზე შეკიდა). იმ სეზონში კიდევ სამ შეხვედრაში ითამაშეს.

1997-98 წლების სეზონში ყველა შეჯიბრებაში, „არსენალის“ შემადგენლობაში 40 მატჩი ჩაატარა, გაიტანა 9 გოლი, მათ შორის ფეხბურთის ასოციაციის თასის ფინალში, „ნიუკასლ იუნაიტედის“ წინააღმდეგ (2:0).

1998-99 წლების სეზონში „არსენალის“ შემადგენლობაში, ყველა შეჯიბრებაში ჩაატარა 46 შეხვედრა, გაიტანა 19 გოლი.

1999 წელს, თებერვალში, „უემბლიზე“ ინგლის საფრანგეთის ამხანაგურ შეხვედრაში (1:2) ორივე გოლი გაიტანა. აპრილში დაასახელეს ინგლისის საუკეთესო ახალგაზრდა ფეხბურთელად, თუმცა დაჯილდოვების ცერემონიალზე არ მივიდა, რისთვისაც ბოდიში მოახდევინეს. მაისში დაიწყო სატრანსფერო საგა, რომელიც აგვისტოში, 35 მილიონ დოლარად მადრიდის „რეალში“ გადასვლით დასრულდა.

2000 წელს, მარტში, „რეალის“ ხელმძღვანელობასთან კონფლიქტის გამო ვარჯიშზე უარი განაცხადა და ამისთვის 45 დღით თავად კლუბმა მოკვეთა. ბოდიშის მოხდის შემდეგ 328 ათასი დოლარით დაჯარიმეს. აპრილში შემადგენლობას დაუბრუნდა, მაისში ჩემპიონთა თასის მფლობელი გახდა, ივნის-ივლისში ითამაშა ევრო 2000-ზე და ოქროს მედალი მოიპოვა, ხოლო 22 ივლისს „პარი სენ ჟერმენში“ დაბრუნდა.

ᲡᲐᲖᲐᲤᲮᲣᲚᲝ ᲢᲠᲐᲜᲡᲤᲔᲠᲔᲑᲘ ᲡᲐᲤᲠᲐᲜᲒᲔᲗᲘᲡᲐ

ნიკოლა ანელკა	თავდამსხმელი	რეალი, მადრიდი	პსჟ	31,25
საბანი ნონდა	თავდამსხმელი	რენი	მონაკო	19,8
პეტერ ლუქსენი	ნახევარმცველი	მარსელი	პსჟ	12,75
სტეფან დალმა	ნახევარმცველი	მარსელი	პსჟ	9,9
მარკ-ვივიან ფოე	ნახევარმცველი	ვესტ ჰემი	ლიონი	9,4
უსმან დაბო	ნახევარმცველი	პარმა	მონაკო	8,5
სევერინო	თავდამსხმელი	ატლეტიკო, პარანენსე	მარსელი	8,5
			(დასა ზუსტებელია)	
პატრიკ მიულერი	ნახევარმცველი	გრასჰოპერი, ციურიხი	ლიონი	7,2
ფრანკ ჟურიეტი	მცველი	ბასტია	მონაკო	7,1
დავიდ სომეი	მცველი	რენი	ბორდო	7,1
სეზარი	მცველი	პსჟ	რენი	5,6
ლიონელ ლეტიზი	მეკარე	მეცი	პსჟ	5,6
ესტებან ფუერტესი	თავდამსხმელი	სანტა ფე	ლანსი	5,6
ფილიპ დელეი	ნახევარმცველი	მონპელიე	რენი	5,6
სტივ მარლე	თავდამსხმელი	ოსერი	ლიონი	5,4
ალექსეი სმერტინი	თავდამსხმელი	ლოკომოტივი, მოსკოვი	ბორდო	5,0
სტეფან პორატო	მეკარე	მარსელი	მონაკო	5,0
ვიორელ მოლდოვანი	თავდამსხმელი	ფენერბაჰჩე, სტამბოლი	ნანტი	5,0
ჟან-ალენ ბუმსონგი	მცველი	ლე ავრი	ოსერი	3,7
ვიკტორ ბონილა	თავდამსხმელი	რეალ სოსიედადი	ტულუზი	3,55
კლას ინგესონი	თავდამსხმელი	ბოლონია	მარსელი	3,55
ზუმანა კამარა	მცველი	ინტერი, მილანი	მარსელი	3,55
დანიელ ლუბოია	თავდამსხმელი	სოშო	სტრასბური	3,55
ბრუნო ნგოტი	მცველი	მილანი	მარსელი	3,55
მანუელ დო სანტოსი	ნახევარმცველი	მონპელიე	მარსელი	3,55
ანტუან სიბირსკი	თავდამსხმელი	ნანტი	ლანსი	3,25
ჟან-კრისტოფ რუვიერი	ნახევარმცველი	ბორდო	ტულუზი	3,2
დარიო კაბროლი	თავდამსხმელი	სანტა ფე	ტულუზი	2,8
ერიკ დეფლანდრი	მცველი	ბრიუგე	ლიონი	2,8
ფაბიანო	თავდამსხმელი	პონტე პრეტა	რენი	2,8
პიერ დებლოკი	თავდამსხმელი	სედანი	ოსერი	2,7
სილვენ დისტენი	ნახევარმცველი	გენიონი	პსჟ	2,6
ბერნარ მენდი	მცველი	კაენი	პსჟ	2,6
მუსა ნდიეი	თავდამსხმელი	მონაკო	სედანი	უცნობია
სალიფ დიაო	ნახევარმცველი	მონაკო	სედანი	2,4
ფარიდ მონდრაგონი	მეკარე	ინდეპენდიენტე	მეცი	2,1
იან ლაშუერი	ნახევარმცველი	პსჟ	ბასტია	2,1
მარიო სილვა	მცველი	ბოავიშტა	ნანტი	2,1
ვანდერი	თავდამსხმელი	პონტე პრეტა	რენი	2,1
ოლივიე ეშუაფნი	ნახევარმცველი	სტრასბური	რენი	2,1
ადრიანო	ნახევარმცველი	ატლეტიკო, პარანენსე	მარსელი	1,85
ალექსანდრ პანოვი	თავდამსხმელი	ზენიტი, პეტერბურგი	სენტ ეტიენი	1,85
ბრუნო ბასტო	ნახევარმცველი	ბენფიკა	ბორდო	1,85
ალფრედო კასინი	ნახევარმცველი	ინდეპენდიენტე	ტულუზი	1,4
ნიკოლა გუსე	თავდამსხმელი	მეცი	ტრუა	1,4
ნიკოლა ლასპალი	მცველი	პსჟ	ნანტი	1,4
ფერეირა	მცველი	ნანსი	ბასტია	1,4
პატრისიო დამიკო	თავდამსხმელი	კორდობა	მეცი	1,4
მიქაელ ბეკი	თავდამსხმელი	დერბი ქაუნთი	ლილი	1,4
იური პრიმორაცი	მცველი	კანი	რენი	1,4
ფაბიო სელესტინი	ნახევარმცველი	ლოზანა	ტრუა	1,27
ჟან-კრისტოფ დევო	ნახევარმცველი	ლიონი	სტრასბური	1,27
ბრუნო კაროტი	მცველი	პსჟ	ტულუზი	1,2
სედრიკ ურა	მცველი	ლიონი	ტულუზი	1,2
მედი მენირი	მცველი	ნანსი	ტრუა	1,2
ედვინ მიურატი	მცველი	პსჟ	ლილი	1,1
სილვენ ნდიეი	ნახევარმცველი	ბორდო	ლილი	1,0
მაქსიმ ლევიცკი	მეკარე	ჩერნომორეცი, ნოვოროს.	სენტ ეტიენი	1,0
ნუნო მენდესი	ნახევარმცველი	შავეში	სტრასბური	1,0
ალან ოლსენი	მცველი	კოპენჰაგენი	სენტ ეტიენი	0,85
იანიკ ფიშერი	მცველი	მარსელი	სტრასბური	0,85
ჟერომ როტანი	ნახევარმცველი	კაენი	ტრუა	0,7
ეჟენ დადი	თავდამსხმელი	ლინცი	ტულუზი	0,7
ტონი ერტებისი	მეკარე	რენი	ტრუა	0,45
რომენ ფერიე	მცველი	მონპელიე	გენგამი	0,45
კრისტოფ რევო	მეკარე	რენი	ტულუზი	უცნობია
მარკ ვილმოტსი	თავდამსხმელი	შალკე 04	ბორდო	უცნობია
მიკაელ მარსილია	ნახევარმცველი	სტრასბური	მარსელი	უცნობია
რადეკ ბეიბლი	მცველი	ატლეტიკო, მადრიდი	ლანსი	უცნობია
ბერნარ ლამა	მეკარე	პსჟ	რენი	თავ. აგენტი
ქსავიე გრაველენი	თავდამსხმელი	ლე ავრი	მონაკო	თავ. აგენტი
ფრანკ დიუმა	მცველი	მარსელი	ლანსი	გაანათხოვრეს
ხოსე ბაკერო	ნახევარმცველი	რეალ სოსიედადი	ტულუზი	გაანათხოვრეს
ბრუნო როდრიგესი	თავდამსხმელი	ლანსი	გენგამი	გაანათხოვრეს
სტეფან ზიანი	თავდამსხმელი	ბორდო	ნანტი	გაანათხოვრეს
კრისტოფ სანჩესი	თავდამსხმელი	ბორდო	სენტ ეტიენი	გაანათხოვრეს

ევროპული ამბები

ლიტვა

გარკვეული პროგრამა და გაურკვეველი შემადგენლობა

ლიტვის ნაკრებმა სიდნეის ოლიმპიადისთვის მზადების მეორე ეტაპი მოიღია. კალათბურთელები 2 აგვისტომდე დაისვენებენ და მერე ლიტვის ქალაქ პალანგაში შეიკრიბებიან. შემდეგ გუნდი ესპანეთში გაემგზავრება და გრანადაში მასპინძელთა ნაკრებს შეხვდება, მერე კი ვალიადოლიდის საერთაშორისო ტურნირია, სადაც ლიტველთა გარდა ხორვატები, გერმანელები და ესპანელები ითამაშებენ.

ამასობაში ლიტვის კალათბურთის ფედერაციამ ლიტვის ოლიმპიურ კომიტეტს გადასცა იმ 18 მოთამაშის სია, რომლებიც გაგრძელებენ მზადებას სიდნეის ოლიმპიადისთვის. ორი შეკრების შემდეგ ნაკრების მწვრთნელებმა უარი თქვეს უკანასკნელებზე, დონატას სლანინასზე (ყალგირისი) და როლანდას იარუტისზე (ლიეტუვოს რიტასი). დარჩენილი 18 კანდიდატიდან ოლიმპიადაზე 12 გაემგზავრება:

უპანა ხაზი: ანდრიუს გედრაიტისი (ლიეტუვოს რიტასი), შარუნას ასიკევიჩუსი (ბარსელონა, ესპანეთი), კესტუტის მარჩულიონისი (ყალგირისი), არვიდას მასიულსკასი (ლიეტუვოს რიტასი), დარიუს მასოკლიუნასი (სოპოტი, პოლონეთი), რაიმუნდას შიშკაუსკასი (ლიეტუვოს რიტასი), მინდაუგას ტიმინსკასი (ტაუ, ესპანეთი)

ფორვარდები: დაინიუს ადომაიტისი (ანვილი, პოლონეთი), არტურას კარნიშოვასი (ფორტიტუდო, იტალია), ტომას მასიულისი (ყალგირისი), ვირგინიუს პრაშკევიჩუსი (ოსტენდე, ბელგია), დარიუს სონგაილა (უეიკ ფორესტის უნივერსიტეტი, აშშ), საულიუს შტომბერგასი (ტაუ, ესპანეთი), მინდაუგას ჟუკაუსკასი (ოლიმპია, სლოვენია)

ცენტრები: გინტარას ეინიკისი (ცსკა, რუსეთი), რობერტას ავტოკასი (ლიეტუვოს რიტასი), არვიდას საბონისი (პორტლენდ თრეილ ბლეიზერსი, აშშ), ეურელიუს ჟუკაუსკასი (ფორტიტუდო, იტალია)

ლიტვის ნაკრებს იონას კაზლაუსკასი გაწვრთნის. მას დაეხმარებიან ანტანას შირეიკა, რიმას გირსკისი და ვალდემარას ხომიჩუსი. ნაკრების კონსულტანტი იქნება ამერიკელი სპეციალისტი, „დალას მავერიქსის“ მწვრთნელის თანაშემწე დონი ნელსონი (გათქმული მწვრთნელის, დონ ნელსონის ვაჟი). აღსანიშნავია, რომ ეს კაცი ადრეც კონსულტანტობდა ლიტვას დიდ ტურნირებზე (1992 და 1996 წლების ოლიმპიური თამაშები, 1998 წლის მსოფლიოს ჩემპიონატი, 1995 წლის ევროპის ჩემპიონატი), ევროპის ბოლო ორ ჩემპიონატზე (1997, 1999) არ ყოფილა, ხოლო ახლა კვლავ დაუბრუნდა ბალტიელებს.

ლიტვის ნაკრებს პრობლემები მოსძალებია. უმთავრესი ისაა, რომ ვერაფერით მოხერხდა ყველა მოთამაშის თავმოყრა. მინდაუზას და ეურელიუს ჟუკაუსკასებმა, შარუნას ასიკევიჩუსმა და მინდაუგას ტიმინსკასმა ახალ გუნდებთან გააფორმეს კონტრაქტები და სატრანსფერო გაწამაწიას გადაყოლილებმა ნაკრებთან შეერთება ვერ მოახერხეს. არვიდას მასიაუსკასი და რობერტას ავტოკასი ლიტვის ახალგაზრდულ ნაკრებში არიან გამოძახებულნი — მათ ევროპის ჩემპიონატი ელით. თუმცა, ეს არაფერი არაა იმასთან შედარებით, რაც გუნდს შეიძლება დაემართოს. საქმეს ისეთი პირი უჭირს, რომ ლიტველები სიდნეიში არვიდას საბონისს და არტურას კარნიშოვასს მოისაკლისებენ. საბონისმა ფეხის ოპერაცია გაიკეთა და არცთუ სახარბიელო მდგომარეობაშია. კარნიშოვასმა მუხლის ოპერაცია გადიტანა და აღდგენითი პროცესი იმდენად ნელა მიმდინარეობს, რომ საეჭვოა, კალათბურთელმა ოლიმპიადის დაწყებამდე ვარჯიშის განახლება შესძლოს. ამჟამად ლიტვის ნაკრების ორივე ლიდერი ამერიკაში იმყოფება და მკურნალობს.

საფრანგეთი

რაღა უნდა საფრანგეთს სიდნეიში?

აბდულ ვაჰადი და მუასო ოლიმპიადაზე არ ითამაშებენ



ტარიკ აბდულ ვაჰადი

სიდნეის ოლიმპიურ თამაშებს კიდევ ერთი უარმყოფელი გამოუჩნდა. საფრანგეთის ნაკრების ლიდერმა, „დენვერ ნაგითსის“ ფორვარდმა ტარიკ აბდულ ვაჰადმა ჯერ კიდევ თებერვალში დაიჩივლა, გუნდში ცუდი სიტუაციაა და იქ აღარ ვითამაშებო. აბდულ ვაჰადს არც ხუთი თვის მერე შეუცვლია აზრი და ოლიმპიადაზე გამოსვლა საბოლოოდ იუარა.

ფრანგთა სამწუხაროდ, მათ ნაკრებს მხოლოდ აბდულ ვაჰადი როდი დააკლდება. 22 წლის ფორვარდი ჟერომ მუასო ეროვნული საკალათბურთო ასოციაციის წლევანდელ დრაფტში „ბოსტონ სელტიქსმა“ აიყვანა. ამჟამად ფრანგი „ბოსტონთან“ ერთად ვარჯიშობს და კონტრაქტის გაფორმებას ეშურება. ამდენად, მას ნაკრებთან ერთად ყოფნის დრო აღარ რჩება. მუასოსთვის „სელტიქსში“ ყოფნა უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე ოლიმპიადაზე საფრანგეთის ღირსების დაცვა, რაც მისმა აგენტმაც დადასტურა: „ბოსტონის“ მწვრთნელმა რიკ პიტინომ ჟერომს მომზადების განსაკუთრებული პროგრამა შეუდგინა. მუასომ უნდა შეასრულოს იგი, რათა „სელტიქსში“ მოხვდეს. იგი ნაკრებისთვის ვერ მოიცლის“.

არჩევნის წინაშეა საფრანგეთის ნაკრების გამთამაშებელი მუსტაფა სონკოც. ამჟამად იგი ამერიკაში და კანადურ კლუბ „ვანკუვერ გრიზლიზთან“ ერთად ნბა-ს საზაფხულო ლიგებში მონაწილეობს. თუკი სონკო ამ გუნდთან კონტრაქტს გააფორმებს, ოლიმპიადაზე ვერ ითამაშებს, რადგან დარჩენილი დრო ეროვნული საკალათბურთო ასოციაციის ახალი სეზონისთვის მზადებას უნდა დაუთმოს.

სამაგიეროდ, სიდნეიში თამაშს დათანხმდა ცენტრი ფრედერიკ ვეისი. ისიც მას შემდეგ, რაც გაიგო, რომ წლეულს ნბა-ს არცერთი გუნდი არ აიყვანს და მომავალი სეზონის გატარება კვლავ ევროპაში მოუწევს. საფრანგეთის ნაკრებს ოლიმპიადაზე ფავორიტად არც არავინ თვლიდა, ხოლო წამყვან მოთამაშეთა უარის შემდეგ წარმატების მინიმალური შანსი ნულამდე შეუმცირდა. ისე, ნაკრების მწვრთნელებს ამგვარი სასტარტო ხუთეული ჰყავდათ შეგულებული: სონკო, ანტუან რიგოდო, აბდულ ვაჰადი, მუასო, ვეისი... ახლა კი ვიღა რჩებათ?

ევროპის ჭაბუკთა ჩემპიონატი

ფრანგთა სიჭაბუკე

ხორვატიის ქალაქ ზადარში დასრულდა ევროპის ჩემპიონატი ჭაბუკთა შორის (1982 წელს დაბადებულები). ფინალში ერთმანეთს საფრანგეთის და ხორვატიის ნაკრებები შეხვდნენ. დაძაბულ მატჩში, ორი დამატებითი დროის შემდეგ გაიმარჯვა საფრანგეთმა — 65:64 (32:36, 56:56, 60:60). აღსანიშნავია, რომ ფრანგები ამ ასაკში მეორედ გახდნენ ევროპის ჩემპიონები, პირველად ამგვარ წარმატებას მათ 1992 წელს მიაღწიეს. მაშინ საფრანგეთის ჭაბუკთა ნაკრებში დღევანდელი ვარსკვლავები — ტარიკ აბდულ ვაჰადი, სირილ ჟულიენი, ლორან სკიარა და სხვები თამაშობდნენ.

საფრანგეს ჭაბუკთა ახლანდელ ნაკრებსაც ჰყავს გამოკვეთილი ლიდერი — ტონი პარკერი, რომელიც ფინალში ყველაზე შედეგიანი იყო 17 ქულით. თანაც, პარკერმა ბოლომდე ვერ ითამაშა — ხუთი პერსონალურის გამო გავარდა. მოგეხსენებათ, საფრანგეთის ნაკრები ამ ტურნირის საკვალიფიკაციო და შესარჩევ ეტაპებზე ორჯერ დაუპირისპირდა საქართველოს ნაკრებს და ორივეჯერ მოუგო. სხვათა შორის, საქართველო ევროპის ჩემპიონატის ფინალურ ეტაპს მიღმა ფრანგთა სიმუხთლის გამო დარჩა: შესარჩევ ეტაპის ბოლო ტურში საფრანგეთმა დაუთმო მატჩი რუსეთს, რითაც ამ უკანასკნელს დასკვნითი ეტაპის გზა გაუხსნა, ხოლო ქართველები ჯგუფში ჩარჩნენ.

ევროპის ჭაბუკთა ჩემპიონატზე საფრანგეთმა ერთადერთი მატჩი წააგო — ჯგუფში ხორვატიასთან (59:67), დანარჩენ მეტოქეებს კი, როგორც წესი, დიდი ანგარიშით ამარცხებდა — ბულგარეთს 50 ქულით მოუგო, საბერძნეთს — 29 ქულით, რუსეთს — 22 ქულით.

მესამე ადგილი საბერძნეთმა დაიკავა, რომელმაც 71:65 აჯობა იტალიას. დანარჩენი ადგილები ასე განაწილდა: *უკრაინა, რუსეთი, ლიტვა, ლატვია, სლოვენია, ისრაელი, ესპანეთი, ბულგარეთი.*

ნბა-ს ხელფასები

კლივლენდ კავალიერზი

მოთამაშე	კონტრაქტის ხანგრძლივობა/ხელფასი	კონტრაქტს ვადა გასდის
მარკ ბრაიანტი	2 წელი/4 200 000 აშშ $	2001
ენდრიუ დეკლერკი	5 წელი/8 400 000	2002
დენი ფერი	10 წელი/32 000 000	2000
სედრიკ ჰენდერსონი	3 წელი/8 100 000	2002
ჟიდრუნას ილგაუსკასი	6 წელი/70 900 000	2005
რაიან სტეკი	1 წელი/385 000	2000
შონ კემპი	7 წელი/107 000 000	2004
ბრევინ ნაითი	4 წელი/20 180 000	2004
ტრაიან ლანგდონი	4 წელი/6 600 000	2003
ანდრე მილერი	4 წელი/7 900 000	2003
ლემონდ მიურეი	7 წელი/29 000 000	2006
ვესლი პერსონი	7 წელი/39 900 000	2004
ბობ სურა	6 წელი/32 000 000	2004

დალას მავერიქსი

მოთამაშე	კონტრაქტის ხანგრძლივობა/ხელფასი	კონტრაქტს ვადა გასდის
დეიმონ ჯონსი	1 წელი/106 441	2000
შონ ბრედლი	8 წელი/44 200 000	2001
სედრიკ სებალოსი	2 წელი/7 400 000	2001
ჰუბერტ დევისი	6 წელი/4 500 000	2000
მაიკლ ფინლი	5 წელი/42 000 000	2001
სტივ ნეში	6 წელი/36 000 000	2004
დირკ ნოვიცკი	4 წელი/5 560 000	2002
რობერტ პეკი	5 წელი/15 000 000	2001
შონ რუქსი	7 წელი/13 440 000	2003
ერიკ სტრიკლენდი	6 წელი/14 440 000	2001
ბრუნო სუნდოვი	2 წელი/603 750	2000
გერი ტრენტი	2 წელი/4 200 000	2001
ჯონ ვილიამსი	3 წელი/5 776 000	2001

დენვერ ნაგითსი

მოთამაშე	კონტრაქტის ხანგრძლივობა/ხელფასი	კონტრაქტს ვადა გასდის
კორი ალექსანდერი	6 წელი/13 500 000	2003
როი როჯერსი	1 წელი/485 000	2000
კიოუნ კლარკი	4 წელი/4 700 000	2002
ტარიკ აბდულ ვაჰადი	3 წელი/4 230 000	2000
კრის ჰერენი	1 წელი/301 875	2000
რიფ ლაფრენცი	4 წელი/9 600 000	2002
პოპი ჯონსი	3 წელი/8 000 000	2001
ჯორჯ მაკლაუდი	3 წელი/6 600 000	2002
ანტონიო მაკდაიესი	6 წელი/67 500 000	2004
კრის გეტლინგი	5 წელი/21 329 000	2001
ჯეიმს პოუზი	4 წელი/3 674 000	2003
ბრაიანტ სტიტი	5 წელი/22 000 000	2002
ნიკ ვან ექსელი	7 წელი/60 000 000	2006
რაიან ბოუენი	1 წელი/301 875	2000

დეტროიტ პისტონზი

მოთამაშე	კონტრაქტის ხანგრძლივობა/ხელფასი	კონტრაქტს ვადა გასდის
ჯოდ ბიუჰლერი	2 წელი/2 200 000	2000
მაიკლ კარი	5 წელი/12 000 000	2004
ჯერმეინ ჯეკსონი	1 წელი/301 875	2000
ლინდსი ჰანტერი	7 წელი/19 000 000	2004
გრანტ ჰილი	8 წელი/45 000 000	2000
კრისტიან ლეიტნერი	3 წელი/18 000 000	2001
ერიკ მონტროსი	11 წელი/17 000 000	2005
ჯონ კროტი	2 წელი/477 000	2001
დონ რიდი	3 წელი/3 000 000	2000
ჯერი სტეკჰაუზი	7 წელი/37 000 000	2005
ლოი ვონი	5 წელი/23 000 000	2003
ჯერომ ვილიამსი	3 წელი/10 000 000	2002
ტერი მილზი	1 წელი/510 000	2000

გოლდენ სტეიტ ვორიორზი

მოთამაშე	კონტრაქტის ხანგრძლივობა/ხელფასი	კონტრაქტს ვადა გასდის
მუკი ბლეილოკი	4 წელი/18 000 000	2002
სემ მაკი	1 წელი/315 000	2000
ჯეისონ კეფი	7 წელი/35 000 000	2005
ტერი კამინგსი	2 წელი/4 200 000	2001
ვონტიგო კამინგსი	4 წელი/2 580 000	2004
ერიკ დამპიე	7 წელი/48 000 000	2006
ადონალ ფოილი	3 წელი/5 102 000	2000
ანტაუნ ჯემისონი	4 წელი/8 670 000	2002
დონიელ მარშალი	8 წელი/42 000 000	2002
კრის მილზი	6 წელი/26 100 000	2003

ბოსტონის საზაფხულო ლიგა

კარგად ათამაშებული სტეფანია ახალბედა მეისონმა დაჩრდილა



სიეტლელი დესმონდ მეისონი (ბურთით)
ბოსტონის საზაფხულო ლიგის უძვირფასესი მოთამაშე გახდა

ნბა-ში მოთამაშე პირველი ქართველის, ვლადიმერ სტეფანიას გუნდმა „სიეტლ სუპერსონიქსმა“ წარმატებით დაასრულა ბოსტონის საზაფხულო ლიგაში გამოსვლა. „ზებგერითებმა“ ექვსი მატჩიდან ხუთი მოიგეს და მხოლოდ ერთხელ, „ატლანტასთან“ დამარცხდნენ. თავად სტეფანიას თავი არ შეურცხვენია, მან ხუთ შეხვედრაში მიიღო მონაწილეობა და ხუთჯერვე თამაში სასტარტო ხუთეულში დაიწყო, ოღონდ ამპლუით ცენტრმა თავდამსხმელის პოზიციაზე ითამაშა. ვოვა გუნდის ერთ-ერთ წამყვან მოთამაშედ მოგვევლინა, სხვაგვარად წარმოუდგენელიც იყო, რადგან „სიეტლი“, ისევე, როგორც ყველა სხვა გუნდი, საზაფხულო ლიგაში გვარიანად შესუსტებული შემადგენლობით ასპარეზობს. აქ ნბა-ს ვარსკვლავს ვერ ნახავთ, გუნდები ამ და სხვა მსგავს ლიგებში მონაწილეობენ 12-კაციანი შემადგენლობის რამდენიმე სათადარიგო მოთამაშით და იმ კალათბურთელებით, რომლებიც ძირითადში მოხვედრაზე ოცნებობენ.

„სიეტლმა“ სამ დღეში სამი დაძაბული მატჩი გამართა და სამი გამარჯვება ჩაიწერა აქტივში. აქედან ყველაზე უფერულად სტეფანიამ პირველ, ანუ საერთო ჯამში მეოთხე შეხვედრაში ითამაშა — „სიეტლი“ „ვაშინგტონს“ შეხვდა და 88:84 დაამარცხა. ვოვამ სულ ექვსი ქულა მოაგროვა, რაც ალბათ იმან განაპირობა, რომ ქართველი დაცვაში უფრო აქტიურობდა, ვიდრე შეტევაში. სტეფანიამ მოახერხა და მეურვეები თითქმის გამოთიშა თამაშიდან, მაგრამ თვრამეტ წუთში ექვსი პერსონალური მიიღო და შეხვედრა ვადაზე ადრე დაასრულა. ექვს ქულასთან ერთად ვოვამ სამი მოხსნა და ორი ჩაჭრა მიითვალა.

„სიეტლს“ ერთობ გაუჭირდა ამ მატჩის მოგება. მეტოქე ბოლო მეოთხედის დასაწყისში 11-ქულიანი სხვაობით იგებდა, მაგრამ კარგად ამუშავდა სიეტლური უკანა ხაზი. გამთამაშებელმა შემონდ ვილიამსმა (24 ქულა) და მსროლელმა დესმონდ მეისონმა (20 ქულა) ბოლო ათ წუთში ჯამში 14 ქულა მოაგროვეს და ბოლო მეოთხედი „სიეტლს“ 23:10 მოაგებინეს.

მომდევნო შეხვედრაში „სიეტლი“ „მილუოკის“ დაუპირისპირდა და ოვერტაიმში 69:68 დაამარცხა. სტეფანია ამჯერად უფრო ნაყოფიერად ირჯებოდა და გუნდს 9 ქულით, ამდენივე მოხსნითა და ოთხი შედეგიანი გადაცემით დაეხმარა. იგი საკუთარ ფარზე კვლავ მეტ სამუშაოს ასრულებდა და რიგიანადაც, ამასთან უფრო ფრთხილობდა და ბოლო წამებამდეც შერჩა მოედანს. ის კი არა, ოვერტაიმის დამთავრებამდე რვა წამით ადრე, 67:68-ზე, ექვსი მეტრიდან გადამწყვეტი ბურთი ჩააგდო, რითაც „სიეტლმა“ მეოთხე გამარჯვება იზეიმა.

„მილუოკისთან“ ბრძოლა ყველაზე უფრო გაუჭირდა სტეფანიას გუნდს. მას „სიეტლის“ ყოფილი მწვრთნელი ჯორჯ კარლი წვრთნის, რომელიც თავის შეგირდებს ვარჯიშით სულს ხდის. „მილუოკიც“ მომზადებული ჩავიდა ბოსტონში და „სიეტლის“ დარად ექვსი შეხვედრიდან მხოლოდ ერთი დათმო, ისიც ოვერტაიმში ჩვენებური ვოვა სტეფანიას „წყალობით“. ისე, ამ თამაშში „სონიქსმა“ შემონდ ვილიამსი მოისაკლისა, რის გამოც სიეტლელები შეტევაში ძირითადად დესმონდ მეისონს დაეყრდნენ. ამანაც თავი არ შეირცხვინა: ამ არცთუ უხვქულიან მატჩში ორივე გუნდისთვის ყველაზე მეტი, 18 ქულა ჩააგდო და ასევე ყველაზე მეტი, 12 მოხსნა მიითვალა.

მეისონმა კვლავ მეწყვილის, ვილიამსის გარეშე ითამაშა „ფილადელფიასთან“ და ამ ბოლო შეხვედრაშიც წინანდელივით 18 ქულა გაახერხა, მაგრამ ამჯერად ყველაზე შედეგიანი აღარ ყოფილა. მატჩში, რომელიც „სიეტლმა“ 75:73 მოიგო ვლადიმერ სტეფანია გამოირჩა. ვოვამ, ისევე, როგორც მისმა თანაგუნდელმა ტაისონ ვილერმა, 19 ქულა მოუტანა „სიეტლს“, რამაც გუნდს ბოსტონის საზაფხულო ლიგა გამარჯვებით დაასრულებინა. სულ სტეფანიამ ხუთ შეხვედრაში საშუალოდ 9,6 ქულა მოაგროვა. „სიეტლში“ ყველაზე შედეგიანი გახლდათ შემონდ ვილიამსი, რომლის მიღწევა, მატჩში საშუალოდ 20,5 ქულა, საუკეთესოა საზაფხულო ლიგაში. მეორე შედეგი დესმონდ მეისონს ჰქონდა — 18,2 ქულა. მეისონი და ვილიამსი სიმბოლურ ხუთეულში შეიყვანეს, პირველი კი სულაც ლიგის უძვირფასეს მოთამაშედ დაასახელეს.

სხვათა შორის, მეისონი მალე სტეფანიას თანაგუნდელი გახდება. იგი „სიეტლმა“ წლევანდელი დრაფტის პირველ წრეში მე-17 ნომრად აიყვანა და სანამ კონტრაქტს ოფიციალურად გაუფორმებდა, საზაფხულო ლიგაში გამოცადა. გამოცდამ ახალბედისთვის წარმატებით ჩაიარა. მეისონს თავის წარმოჩენის საშუალება მიეცა, რაც მშვენივრად გამოიყენა. „მას შემდეგ, რაც დესმონდ მეისონის თამაში ვნახე, დარმწუნებული ვარ, რომ ამ ყმაწვილს ნათელი მომავალი აქვს. იგი ათლეტური მცველია და თავისი შრომისმოყვარეობის წყალობით შეუძლია, ბევრს მიაღწიოს. მე მას ვულოცავ ნბა-ს დიდ ოჯახში შემოსვლას“ — თქვა მასპინძელი გუნდის, „ბოსტონ სელტიქსის“ გენერალურმა მენეჯერმა კრის ვოლესმა. ახლა, როცა კალათბურთელი საქმეში ნახა, „სიეტლი“, ალბათ, დიდხანს არ გააჯანჯლებს და მეისონს ხელშეკრულებას გაუფორმებს.

მეისონთან ერთად „სიეტლის“ რიგებში თამაშობდა დრაფტში აყვანილი კიდევ ერთი მოთამაშე — ოლუმიდე ოიედეჟი. ეს 210-სანტიმეტრიანი ფორვარდ-ცენტრი „სიეტლმა“ დრაფტის მეორე წრეში 42-ე ნომრად აირჩია. ოიედეჟი ურიგოდ როდი გაისარჯა ლიგაში, მაგრამ მეისონისგან განსხვავებით, მას არ აქვს განაღდებული კონტრაქტი.

ირაკლი ფირაშვილი

ჭრილობა Perla

პ ე რ ლ ა

ჭრილობა Perla

მ ა რ გ ა ლ ი ტ ე ბ ი ს მ ა ღ ა ზ ი ა

სარბიელი

სპორტული ლატარია "CROCO"

	ავსტრია. მე-4 ტური			
	25 ივლისი			
001	ლინცერი-ტიროლი	3,6	3,1	1,9
	26 ივლისი			
002	ბრეგენცი-რაპიდი	4,4	3,2	1,7
003	გრაცერი-ზალცბურგი	2,0	2,9	3,6
	დანია. გადადებული მატჩი			
	26 ივლისი			
004	ჰერფიოლგე-ოლბორგი	2,0	3,0	3,5
	შვედეთი. მე-12 ტური			
	25 ივლისი			
005	ჰაკენი-გაის	1,8	3,3	3,6
	ნორვეგია. გადადებული მატჩები			
	26 ივლისი			
006	ლილესტრიომი-ბოდიო გლიმ.	1,5	3,8	5,3
007	ვოლერენგა-ჰაუგესუნდი	1,6	3,3	5,3
008	მოლდე-ბრანი	2,4	3,0	2,6
	ნორვეგია. თასის 1/8 ფინალი			
	26 ივლისი			
009	სტარტი-ტრომსიო	3,1	3,2	2,1
	გერმანია. ლიგის თასი (ნეიტრალურზე)			
	27 ივლისი			
010	მიუნხენ 1860-კაიზერსლაუტ.	2,9	3,0	2,3
	მჩ შესარჩევი მატჩები			
	25 ივლისი			
501	ეკვადორი-კოლუმბია	2,5	3,0	2,5
502	ვენესუელა-ჩილე	6,5	4,0	1,4
503	ურუგვაი-პერუ	1,6	3,1	6,0
	26 ივლისი			
504	ბრაზილია-არგენტინა	1,7	3,0	5,0
	27 ივლისი			
505	ბოლივია-პარაგვაი	2,0	2,9	3,6
	ჩემპიონთა ლიგა. II ეტაპი. I მატჩები			
	26 ივლისი			
506	შახტარი (უკრაინა)-ლევადია (ესტონეთი)	1,25	5,0	9,0
507	ზიმბრუ (მოლდოვა)-მარიბორი (სლოვენია)	2,3	3,0	2,9
508	ჰაკა (ფინეთი)-ინტერი (სლოვაკეთი)	2,0	3,1	3,4
509	ცრ.ზვეზდა (იუგოსლავია)-ტორპედო (საქართველო)	ანგარიში - 5,0		
510	სლავია (ჩეხეთი)-შამქირი (აზერბაიჯანი)	1,1	7,0	15,0
511	ბრიონდბიუ (დანია)-რეიკიავიკი (ისლანდია)	1,2	5,6	10,0
512	ჰელსინგბორგი (შვედეთი)-ბატე (ბელარუსი)	1,3	4,4	8,0
513	ბეშიქთაში (თურქეთი)-ლევსკი (ბულგარეთი)	1,5	3,5	6,0
514	დინამო (რუმინეთი)-პოლონია (პოლონეთი)	1,7	3,2	4,4
515	ანდერლეხტი (ბელგია)-ანორთოსისი (კვიპროსი)	1,2	5,6	10,0
516	ჰაიდუკი (ხორვატია)-დუნაფერი (უნგრეთი)	1,5	3,5	6,0
517	შტურმი (ავსტრია)-ჰაპოელი (თელ-ავივი/ისრაელი)	1,5	3,5	6,0
518	შელბურნი (ირლანდია)-რუსენბორგი (ნორვეგია)	4,4	3,2	1,7
519	რეინჯერსი (შოტლანდია)-ჟალგირისი (ლიტვა)	1,1	7,0	15,0
	ინტერტოტო. 1/2 ფინალი. I მატჩები			
	26 ივლისი			
520	ზენიტი (რუსეთი)-ბრედფორდი (ინგლისი)	2,3	3,0	2,9
521	სიგმა (ჩეხეთი)-ბლშანი (ჩეხეთი)	1,7	3,2	4,4
522	აუსტრია (ავსტრია)-უდინეზე (იტალია)	3,2	2,9	2,2
523	შტუტგარტი (გერმანია)-სტანდარდი (ბელგია)	1,35	4,0	7,5
524	ოსერი (საფრანგეთი)-ვოლფსბურგი (გერმანია)	1,8	2,9	4,4
525	სელტა (ესპანეთი)-ასტონ ვილა (ინგლისი)	1,9	2,9	4,0

კოეფიციენტების შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ

გათამაშების წესები

თამაშში მონაწილე პირის მიზანია, გამოიცნოს ტირაჟში მოცემული სპორტული შეჯიბრების შედეგი, სპორტის სათამაშო სახეობებში მატჩის ძირითადი დროის შედეგი (მოგება, ფრე, წაგება). ფსონების სია ქვეყნდება გაზეთ „სარბიელში“. სიაში მატჩის გასწვრივ მითითებულია კოეფიციენტები ყოველ შესაძლო შედეგზე. დასაშვებია მოგების კოეფიციენტების ცვლილება გაზეთის გამოსვლის შემდეგ. მოთამაშე ვალდებულია, დააზუსტოს კოეფიციენტების შესაძლო ცვლილებები ჩაბარების ადგილზე გამოკრული ფსონების მიხედვით. შედეგის გამოცნობისას მოთამაშე მიიღებს თანხას, რომელიც დადებული თანხისა და კოეფიციენტის ნამრავლის ტოლია.

ფსონები მიიღება როგორც ცალკეულ მატჩზე, ასევე რამდენიმე მატჩის შედეგის ერთდროულად გამოცნობაზე. ამ შემთხვევაში მოთამაშემ უნდა გამოიცნოს ვარიანტში აღნიშნული ყველა თამაშის შედეგი. თუ ფსონი დადებულია რამდენიმე მატჩის შედეგის ერთდროულად გამოცნობაზე, მოგების კოეფიციენტი შეადგენს ცალკეული შედეგების შესაბამისი კოეფიციენტების ნამრავლს (მეათედის სიზუსტით, დამრგვალების გარეშე). კოეფიციენტების ნამრავლი არ უნდა აღემატებოდეს 1000-ს. თუ ნამრავლი 1000-ზე მეტია, მოგების კოეფიციენტად ჩაითვლება 1000.

არათანაბარი სიძლიერის გუნდების შეხვედრისას მატჩის გასვწრივ შეიძლება მითითებული იყოს ანგარიში (ჰანდიკაპი) და, შესაბამისად, მატჩის შედეგი განისაზღვრება ამ ანგარიშის გათვალისწინებით.

ფეხბურთის ნებისმიერი მატჩის ანგარიშის გამოცნობისთვის, თუ არ არის მითითებული სპეციალური ფსონი ანგარიშისთვის, კოეფიციენტი 5,0-ის ტოლია.

კოეფიციენტები მრავლდება მხოლოდ ერთი და იგივე სახის პროგნოზისთვის (მაგალითად: თამაშის შედეგი — შედეგზე, გუნდის შემდეგ ეტაპზე გასვლა — შემდეგ ეტაპზე გასვლაზე და ა.შ.). ერთი და იგივე წყვილის ორი სხვადასხვა სახით შეტანა ერთ ვარიანტში კოეფიციენტების გადასამრავლებლად არ შეიძლება (მაგ: ინტერი — კალიარი 3:0 და ინტერი — კალიარი 1, ან ინტერი — კალიარი 1 და ინტერი — კალიარი (0:1) 1). თუ ერთ ვარიანტში ერთი და იგივე წყვილი ორი სხვადასხვა სახით აღმოჩნდება შეტანილი, ქვითრის განხილვისას მხედველობაში მიიღება წყვილის ის პროგნოზი, რომლის შესაბამისი კოეფიციენტიც მეტია. თუ ბილეთში შეტანილი მატჩის ფორა მოთამაშის მიერ არასწორად არის მითითებული, მხედველობაში მიიღება ფორა, რომელიც გამოქვეყნებული არის „კროკო“-ს მატჩთა სიაში.

ფსონი გაუქმებულად ითვლება და თანხა მოთამაშეს უბრუნდება, თუ:

1. ფსონი დადებულია მატჩის დაწყების შემდეგ;
2. შეიცვალა მასპინძელი გუნდი (ორმატჩიანი სათასო ტურნირებისთვის გაუქმებულად არ ითვლება ფსონი, რომელიც დადებულია გუნდის შემდეგ ეტაპზე გასვლაზე). ერთი და იგივე ქალაქის სხვა სტადიონზე მატჩის გადატანისას, ან მატჩის ნეიტრალურ მინდორზე ჩატარებისას ფსონი გაუქმებულად არ ითვლება;
3. შეხვედრა არ ჩატარდა ან გადაიდო სამ დღეზე მეტი ვადით (ტექნიკური შედეგი მხედველობაში არ მიიღება);
4. მატჩი ჩაიშალა, არ დამთავრდა, ან შედეგი არ დაფიქსირდა და არ იქნა გადათამაშებული სამი დღის ვადაში;
5. წყვილში შეცდომით არის მითითებული რომელიმე გუნდი;
6. არასწორად ან არასრულად არის შევსებული ქვითარი.

ცალკეულ მატჩზე დადებული ფსონი მატჩის გადადების ან არჩატარების შემთხვევაში უბრუნდება მოთამაშეს. იმ შემთხვევაში, როდესაც ბილეთში შეტანილია რამდენიმე მატჩის შედეგი ერთად და ერთ-ერთი შეხვედრა რაიმე მიზეზით გაუქმდა, ამ მატჩის შედეგი მოთამაშეს ჩაეთვლება გამოცნობილად (კოეფიციენტი — 1,0) და დანარჩენი შედეგები არსებული წესის მიხედვით განიხილება.

თუ მატჩი დამთავრდა და მისი შედეგი დაფიქსირდა, ხოლო შემდეგ გაპროტესტდა და შედეგი შეიცვალა ან მატჩი გადათამაშდა, მოგებები გაიცემა პირველი შედეგის მიხედვით. გაუქმებულად ჩაითვლება მხოლოდ ის ფსონები, რომლებიც ჩამოსულია ორმატჩიან სათასო ტურნირებში შემდეგ ეტაპზე გასვლისთვის პირველი მატჩების წინ).

ტურში გატანილი გოლების რაოდენობაზე დადებული ფსონი გაუქმებულად ითვლება და თანხა მოთამაშეს უბრუნდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მოცემული ტურის რომელიმე მატჩი გადაიდო და ამ მატჩს შეეძლო გავლენა მოეხდინა ბილეთში შევსებულ პროგნოზზე.

ფსონის მინიმალური ოდენობაა: ერთ ვარიანტზე 1 ლარი. თუ ერთ ვარიანტზე დადებულია 1 ლარზე ნაკლები, მაშინ ფსონი გაუქმებულად ითვლება და თანხა მოთამაშეს უბრუნდება. ფსონები, რომლებზეც შესაძლო მოგება აღემატება 5 000 ლარს, თანხმდება ადმინისტრაციასთან.

ქვითარი უნდა შეივსოს გარკვევით შავი ან ლურჯი ფერის პასტით, არ შეიძლება ქვითრის ფანქრით ან წითელი პასტით შევსება. გადაშლილი ან გადასწორებული ქვითარი არ განიხილება და თანხა უბრუნდება მოთამაშეს. ბილეთში, რომელიც ჩაბარებულია ბუკმეკერთან, ცვლილებების შეტანა აკრძალულია, ჩაბარებული ბილეთი უკან არ გაიცემა.

ერთ ბილეთში რამდენიმე ვარიანტის შეტანისას მოთამაშე ვალდებულია, მიუთითოს ვარიანტთა საერთო რაოდენობა.

ქვითარი თვითკოპირებადია და შედგება ორი იდენტური ნაწილისგან, ივსება მხოლოდ პირველი პირი მოთამაშის მიერ და იგი არის სრული პასუხისმგებელი მის სწორად შევსებაზე. შევსებული ქვითარი უნდა ჩაბარდეს „კროკო“-ს ბუკმეკერს, რომელიც თავისი პირადი ბეჭდით ადასტურებს ქვითარის მიღებას, აწერს მას ჩაბარების თარიღს და უბრუნებს მოთამაშეს მის კუთვნილ ნაწილს. ბუკმეკერი არ აგებს პასუხს ქვითარში აღნიშნული მატჩებისა და ფსონების მართებულობაზე. ქვითრების გაცემა არ არის შეზღუდული და მას საბუთის ძალა ენიჭება მხოლოდ ზემოთ აღნიშნული წესით შევსებისა და „კროკო“-ს ადმინისტრაციაში ჩაბარების შემდეგ.

მატჩთა სიასთან ერთად ჩაბარების პუნქტებში გამოკრული უნდა იყოს ბუკმეკერთა ბეჭდების ნიმუშები, რომლებიც მოქმედია ჩაბარების დღისთვის.

მოგებები გაიცემა და პრეტენზიები განიხილება ქვითარში შეტანილი მატჩების ჩატარების ბოლო თარიღიდან ერთი კვირის განმავლობაში. ამ ვადის გასვლის შემდეგ მოგებები არ გაიცემა და პრეტენზიები არ მიიღება. მოგებების გაცემა იწყება მატჩის შემდგომ პირველივე სამუშაო დღეს. იმ შემთხვევაში, თუ მოგებულ ბილეთზე გასაცემი თანხა აღემატება ათას ლარს, დასაშვებია მოგება გაიცეს სამი სამუშაო დღის დაგვიანებით.

ადმინისტრაცია პასუხს არ აგებს და მოგებებს არ ანაღდებს იმ ქვითრებზე, რომლებიც არ ჩაბარდა ადმინისტრაციას „კროკო“-ს შიდაგანაწესით დადგენილი წესების მიხედვით.

მოთამაშის მონაწილეობა „კროკო“-ს მიერ წარმოებულ ლატარიებში ნიშნავს, რომ იგი გაცნობილია გათამაშების წესებს და თანახმაა, ითამაშოს არსებული წესებით.

გაქცევა სანტანდერიდან

ალექს კორეჩამ (მარცხნივ) და ხუან კარლოს ფერერომ შამპანურით იწუწავეს

დევისის თასის ნახევარფინალი

ესპანეთი 5:0 აშშ

ერთეულები: ალბერტ კოსტა (ესპანეთი) — ტოდ მარტინი (აშშ) 6:4, 6:4, 6:4; ალექს კორეჩა (ესპანეთი) — ჟან-მაიკლ გემბილი (აშშ) 1:6, 6:3, 6:4, 6:4

წყვილები: კორეჩა და ხუან ბალსელსი — მარტინი და კრის ვუდრაფი 7:6 (8:6), 2:6, 6:3, 6:7 (5:7), 6:3

ერთეულები: ბალსელსი — გემბილი 1:6, 7:6 (7:2), 6:4; ხუან კარლოს ფერერო — ვინსენტ სპედეა 4:6, 6:1, 6:4

როდესაც ყველაფერი დასრულდა და სტუმართა კუბოს ესპანელთა ნაკრების უსუსტესმა წევრმა ხუან ბალსელსმა ბოლო ლურსმანიც ჩააჭედა, ჯონ მაკინროს არავის და არაფრის დანახვა აღარ სურდა. აშშ-ის გუნდის ლეგენდარულმა კაპიტანმა თავსხმა წვიმასა და ელჭექში თავის ავლადიდებას ხელი მოხვია, მანქანაში მოისროლა და სიტყვის უთქმელად გაუჩინარდა სანტანდერის პლაჟზე სახელდახელოდ აგებული სტადიონიდან, რომელზეც მისი ოცნებები დევისის თასის მოგებაზე საბოლოოდ დასამარდა.

მსოფლიოს ყოფილი პირველი ჩოგანი სავალდებულო პრესკონფერენციაზეც არ გამოცხადდა და მომლოდინე ჟურნალისტებმა მხოლოდ რამდენიმე საათის შემდეგ, ბილბაოს აეროპორტისკენ მიმავალი მაკინროის ჩამწყდარი ხმა გაიგეს ტელეფონიდან: „სრულიად განადგურებული ვარ, არც მე და არც სხვებს არაფრის თავი არ გვაქვს. გული მერევა, თუმცა არ ვიცი, ეს ფსიქოლოგიური ტრავმის ბრალია თუ სხვა რამე დამემართა“.

ესპანეთის წინააღმდეგ ესპანეთში, თანაც ამ უკანასკნელთა საყვარელ თიხნარზე თამაში ამერიკელებისთვის სასიამოვნო ზღვისპირა გასეირნება რომ არ იქნებოდა, იანკებმა თავიდანვე უწყოდნენ. ანდრე აგასისა და პიტ სამპრასის დახმარებითაც კი სტუმრებს ფავორიტებად არავინ ჩათვლიდა, მაგრამ როდესაც ორივე ზემოხსენებულმა ჩემპიონმა ქვეყნის სახელით ასპარეზობას ბებერი ძვლების დასვენება არჩია, მომზადურთა ამოცანა უტოპიად იქცა.

მეორეხარისხოვანი მოთამაშეებით დაკომპლექტებული გუნდით მაკინროი თავს თავიდანვე განწირულად თვლიდა და მეტოქეთა წყობიდან გამოყვანას მხოლოდ გამაღიზიანებელი განცხადებებით ცდილობდა: „ვინ ჯანდაბაა ხუან ბალსელსი? ესპანელებს ხშირად ჰყავდათ კარგი მოთამაშეები, მაგრამ დევისის თასზე მაინც არაფრის მაქნისები იყვნენ“...

ყველამ უწყოდა, რომ ამერიკელთა კაპიტანი, უბრალოდ, ხავსს ეჭიდებოდა და ეს უკვე პარასკევს, ერთეულთა პირველ შეხვედრებშიც დამტკიცდა.

ჯერ ალბერტ კოსტამ, მერე კი ალექს კორეჩამ თავიანთზე გაცილებით ტანბრგე და ჯან-ღონიან მეტოქეებს თიხნარზე თამაშის გაკვეთილი ჩაუტარეს და ტრიბუნებზე მოღრიალე და ფეხების მობაკუნე, წითელ-ყვითლად სახეშეღებილ ქომაგებს ცეკვის საბაბიც მისცეს.

„ჩვენ დანებებას არ ვაპირებთ, ამათ ოფლი უნდა ვაღვრევინოთ — თავისი არ დაიშალა მაკინროომ, თუმცა როდესაც ჰკითხეს, სამპრასისა და აგასისგან მხარდასაჭერი წერილი მაინც თუ მიიღეთო, სახე შეეცვალა — არა, არანაირი“.

უიმბლდონის სამგზის ჩემპიონს წყვილებში თამაში ორი დღით ადრე თავისივე გუნდის წევრებმა გადაათქმევინეს, თუმცა არა მგონია, 41 წლის ვეტერანის ასპარეზობით რაიმე დაშავებულიყო — ამერიკელებმა აქაც ვერაფრით გამოიჩინეს თავი.

მარტინმა და კრის ვუდრაფმა ბოლომდე იბრძოლეს, ოთხსაათიან შეხვედრაში ბევრს ეცადნენ, მაგრამ ფანტასტიკურად მოთამაშე მასპინძელთა ჯილა კორეჩას ვერაფერი დააკლეს. მეხუთე სეტში ესპანელმა ერთ გათამაშებაში სამი მძლავრი სმეშიც კი მოიგერია.

„დასაწყისში კრისმა ორჯერ ბურთი მისი მისამართით რომ დაარტყა, ვიყვირე, კორეჩას შეეშვი-მეთქი — გაიხსენა მოგვიანებით მარტინმა — მერე ასეთივე შანსი მეც ჩამივარდა და თავადაც კორეჩასკენ დავარტყი. ეს შეცდომა იყო“.

ასე რომ, მატჩის ბედი უკვე შაბათს გადაწყდა. პირველად 1967 წლიდან მოყოლებული, როდესაც ესპანეთის დევისის თასის ახლანდელი მოთამაშეებიდან დაბადებულიც კი არავინ იყო, მასპინძლები ფინალში გავიდნენ.

„ჩვენ მოგება გვსურს და მნიშვნელობა არა აქვს, მას აგასისთან ბრძოლაში მოვიპოვებთ თუ მამაჩემთან — განაცხადა ტრიუმფის სულისჩამდგმელმა კორეჩამ — ჩვენ სულ სხვა თაობა ვართ, ამბიციური, გამარჯვების სურვილით ანთებული. რაკი ფინალში გავედით, ჩემპიონებიც უნდა გავხდეთ და ისტორიაში დავიმკვიდროთ ადგილი“.

ფინალში ესპანელები 8-10 დეკემბერს ბარსელონაში ავსტრალიელებს უმასპინძლებენ და საყვარელ თიხნარზე ისევ უპირობო ფავორიტები იქნებიან.

კვირას კი უკვე ამერიკელთა საბოლოო დამცირების, სანტანდერში სახალხო ზეიმის დაწყებისა და სახეწაშლილი მაკინროის გაქცევის დღე იყო. თუმცა კაპიტანი თავისი პოსტიდან გადადგომას ჯერჯერობით არ აპირებს.

შტუტგარტი. გერმანია. „მერსედესის თასი“. თიხნარი. საპრიზო 1 მილიონი $

მეოთხედფინალი: ფრანკო სკილარი (5, არგენტინა) — კარლ კუჩერა (სლოვაკეთი) 7:5, 6:1; დანიელ ელსნერი (გერმანია) — ირჟი ნოვაკი (ჩეხეთი) 6:2, 6:1; ენდრიუ ილი (ავსტრალია) — რაინერ შუტლერი (გერმანია) 6:3, 6:4; გასტონ გაუდიო (არგენტინა) — ანდრეი მედვედევი (უკრაინა) 6:1, 7:6 (7:3)

ნახევარფინალი: სკილარი — ელსნერი 7:6 (8:6), 7:6 (7:5); გაუდიო — ილი 6:2, 6:4

ფინალი: სკილარი — გაუდიო 6:2, 3:6, 4:6, 6:4, 6:2

ფრანკო სკილარიმ კარგად ისარგებლა იმით, რომ შტუტგარტის ტურნირის ფინალში წვიმამ ზედ სულზე, მეოთხე, სეტის დასაწყისში მოუსწრო და გონება მოაკრებინა. არგენტინელმა ნახევარსაათიანი შესვენება შესანიშნავად გამოიყენა და ბუენოს აირესში თავის მეზობელსა და ქვეშის ფეხბურთში თანაგუნდელ გასტონ გაუდიოს დაძაბულ ბრძოლაში აჯობა. როლან გაროსის ნახევარფინალისტს 167 ათასი დოლარი და ახალთახალი სპორტული „მერსედესი“ ერგო.

ხორვატიის საერთაშორისო პირველობა. უმაგი. თიხნარი. საპრიზო 400 ათასი $

ნახევარფინალი: მარიანო პუერტა (1, არგენტინა) — ბოგდან ულირახი (ჩეხეთი) 4:6, 6:2, 6:3; მარსელო რიოსი (2, ჩილე) — კარლოს მოია (4, ესპანეთი) 6:2, 7:5

ფინალი: რიოსი — პუერტა 7:6 (7:1), 4:6, 6:3

პოლონეთის ღია პირველობა. სოპოტი. თიხნარი. საპრიზო 180 ათასი $

ნახევარფინალი: ანკე ჰუბერი (2, გერმანია) — ანასტასია მისკინა (8, რუსეთი) 6:3, 6:2; გალა ლეონ გარსია (5, ესპანეთი) — პაოლა სუარესი (არგენტინა) 6:4, 4:6, 6:3

ფინალი: ჰუბერი — გარსია 7:6 (7:4), 6:3

ავთანდილ სვანიძე



ჯონ მაკინროი



დევიდ ტუა (მარცხნივ) მეტოქეს იოლად გაუსწორდა

ტუამ ლუისისკენ გაიწია

ამერიკაში მოღვაწე სამოელი მძიმეწონოსანი დევიდ ტუა აშკარად შეიქნა საჩემპიონო ქამრების პირველი პრეტენდენტი ფედერაციისა (იბფ) და საბჭოს (ვბკ) ვერსიებით. ახლა ტუას ოფიციალურად შეუძლია ბრიტი ჩემპიონის, ლენოქს ლუისის გამოწვევა.

შაბათს სამოელმა ექვს წუთსა და 47 წამში დააშამათა ამერიკელი რობერტო დენიელსი. პირველ და მეორე რაუნდებში ტუამ თითოჯერ დასცა მოწინააღმდეგე, მესამე რაუნდის დასაწყისში კი კიდევ ერთხელ წაქცეული დენიელსის შემხედვარე რეფერიმ, ჯო კორტესმა ბრძოლა შეწყვიტა. ოდესღაც კრეისერის (სხვანაირად ქვემძიმე) წონის ასოციაციის (ვბა) ჩემპიონი დენიელსი ვერ გამოდგა სერიოზული მოწინააღმდეგე ტუასთვის. უკანასკნელ ცხრა წელიწადში დენიელსმა მხოლოდ მესამედ წაგო და კარიერაში პირველად აღმოჩნდა ნოკდაუნში.

ტუას კი (37-1) შემოდგომაზე ელის ცხოვრების უმნიშვნელოვანესი ბრძოლა ლენოქს ლუისის წინააღმდეგ.

სამოელმა ლას ვეგასში იმარჯვა, იმავე საღამოს კი ქვესაშუალო წონაში წარმატებით აბარგებულმა პუერტორიკოელმა ფელიქს ტრინიდადმა მორიგი მოწინააღმდეგე გათელა. ტრინიდადმა ამ წონაში გადმოსვლისთანავე ასოციაციის ქამარი აართვა დევიდ რიდს.

ტრინიდადის მორიგი მოწინააღმდეგე ევროპის ჩემპიონად ცნობილი სენეგალელი მამადუ ტიამი იყო.

ტიამი მეტად შეზღუდული შესაძლებლობების მოკრივე გამოდგა, თუმცა, თავისი არ დაიშალა და ახლო ბრძოლაში, დარტყმათა ხშირი გაცვლით შეება პუერტორიკოელს. ამის შედეგი ის იყო, რომ მესამე რაუნდის მიწურულს თვალგაბუშტულ ტიამს ჩემპიონის ცაცია აპერკოტმა საბოლოოდ მოუთავა ხელი. რეფერი ხორხე ალფონსომ ნოკაუტი გამოაცხადა.

ახლა 38 ბრძოლაში დაუმარცხებელ ტრინიდადს ელის შეხვედრა ფედერაციის დაუმარცხებელ კალიფორნიელ ჩემპიონტთან ფერნანდო ვარგასთან. ტიტულთა გამაერთიანებელი ბრძოლა დეკემბერში გაიმართება.

ალბერტ ხაჩატურიშვილი

რა ურჩევნია ფერარის

FIA FORMULA 1 WORLD CHAMPIONSHIP

მიკა ჰაკინენის ბოლიდის შავი ყუთის საქმე ჯერაც არ გახსნილა. შეგახსენებთ: გასულ კვირას, ავსტრიაში რბოლის შემდეგ შემოწმებისას აღმოაჩინეს, რომ ჩემპიონის „მაკლარენზე“ ელექტრონიკის ბლოკის ერთ-ერთი ლუქი მომძვრალიყო. ხელსაწყო მაშინვე ლონდონში გააქანეს გამოსაკვლევად.

ავტოსპორტის საერთაშორისო ფედერაციის საგანგებო კომისია ყუთის გახსნისა და ტელემეტრიული ჩანაწერების შესწავლის შემდეგ, პარასკევს აპირებდა ვერდიქტის გამოქვეყნებას. მაგრამ, როგორც ფედერაციის პრესატაშემ, ფრანწესკო ლონგანეზიმ განაცხადა, სიტუაცია იმაზე რთული ყოფილა, ვიდრე თავიდან ეგონათ. ამიტომ ყველა მონაცემის კიდევ ერთხელ გადამოწმება და დინტერესებულ მხარეთა მოსმენა მოუწევთ (იგულისხმება „მაკლარენის“ ხელმძღვანელობა და შპილბერგში რბოლის სტიუარდები). ამდენად, განაჩენს უკეთეს შემთხვევაში დღეს გამოიტანენ.

თუ ჰაკინენს გაამტყუნებენ, ანუ წესებით აკრძალული რაიმე ხრიკის გამოყენებას დაუმტკიცებენ, ავსტრიული ეტაპის გამარჯვებულად მისი თანაგუნდელი დევიდ კულჰარდი გამოცხადდება. შედეგად შოტლანდიელს ოთხი ქულა დაემატება და კიდევ უფრო დაუახლოვდება ჩემპიონატის ლიდერ მიხაელ შუმახერს — მათ შორის სხვაობა ორი ქულაღა იქნება. ასეთი ვითარება, არა გვგონია, გერმანელს გულზე ეხატებოდეს, თუმცა მთლად ურიგოც არ უნდა იყოს, რადგან სატურნირო ცხრილში მიკა საგრძნობლად დაიხევს უკან. შუმი კი, წლეულს კულჰარდის არაჩვეულებრივი აღმასვლის მიუხედავად, საჩემპიონო ბრძოლაში უმთავრეს მეტოქედ მაინც ჰაკინენს თვლის.

ჩემპიონის დისკვალიფიკაციას იტალიური საჯინიბოსთვის კიდევ ერთი სიკეთე მოჰყვება — „ფერარი“ კონსტრუქტორთა თასზე ლიდერობას დაიბრუნებს, რაც სწორედ ავსტრიაში ფინელის გამარჯვების შედეგად წლეულს პირველად დაკარგა.

ბოლოს ორიოდე სიტყვით „იაგუარის“ პილოტ ედი ირვინზე. მან მუცლის ტკივილის გამო წინა რბოლა გამოტოვა. ლონდონის საავადმყოფოში ჩატარებული გამოკვლევის შედეგად ირლანდიელს აპენდიციტის შეტევა არ აღმოაჩნდა და არც საოპერაციო შეიქნა. უბრალოდ, კუჭ-ნაწლავის ანთება ჰქონია. ასე რომ, ედი კვლავ ჯანზეა და გერმანიის დიდი პრიზის გათამაშებისათვის ემზადება.

ირაკლი ნიკოლაძე

გარდაიცვალა ანატოლი ფირსოვი

გუშინწინ ღამით მოსკოვის შემოგარენში მდებარე საკუთარ აგარაკზე 60 წლისა გარდაიცვალა წარსულში მსოფლიოს ჰოკეის ერთ-ერთი უკაშკაშესი ვარსკვლავი, რუსი ანატოლი ფირსოვი.

ასეთ დროს ჩვეულებრივ იხსენებენ გარდაცვლილის მიღწევებს და არც ჩვენ ვიქნებით გამონაკლისნი. ანატოლი ფირსოვმა თავისი მქუხარე ტიტულები მოიპოვა 1961-1974 წლებში, როცა ცსკა-სა და სსრ კავშირის ნაკრებში თამაშობდა. იგი იყო რვაგზის მსოფლიოს, სამგზის ოლიმპიური და ცხრაგზის საბჭოთა კავშირის ჩემპიონი. ფირსოვი მსოფლიო ჰოკეის ისტორიაში დარჩება არა მხოლოდ ტიტულების ესოდენი სიმრავლით, არამედ იმითაც, რომ იგი ორი საოცარი რეკორდის ავტორიც იყო — ანატოლი ფირსოვმა სსრკ-ის ჩემპიონატების 474 მატჩში გაიტანა 345 შაიბა, ხოლო ოლიმპიურ თამაშებსა და მსოფლიოს ჩემპიონატებზე 67 შეხვედრაში 66-ჯერ დალაშქრა მეტოქის კარი. ამ მიღწევებისთვის იგი ჰოკეის საერთაშორისო ფედერაციამ ჰოკეის დიდების დარბაზში შეიყვანა.



სტეისი დრაგილა



მორის გრინი

გრინს და ჯონსონს 200 მეტრში ფეხი არ ჩაუვიდათ

ამერიკული „ტრაიელსი“ დასრულდა. უფერული იყო მისი ფინიში, მთელი კვირის მანძილზე ამაო ლოდინი მოუხდათ მძლეოსნების მოყვარულებს: მაიკლ ჯონსონისა და მორის გრინის გრანდიოზული დაპირისპირება ვერ შედგა. არა, ფაქტობრივად, დაპირისპირება კი შედგა, ორი დიდი მორბენალიც ერთიმეორის გვერდით იდგა 200-მეტრიანის დისტანციის სტარტზე, მაგრამ...

მივყვეთ მოვლენებს მიმდევრობით.

შაბათს გრინმაც და ჯონსონმაც წინასწარ გარბენებში ჩინებული შედეგები აჩვენეს. გრინმა 20,29 წამი, ჯონსონმა კი სულაც 19,89, რაც სეზონის მეორე შედეგი იყო. იქით ქალებსაც ჰქონდათ წინასწარი გარბენები ანალოგიურ დისტანციაზე და ფავორიტები კვლავ მოწოდების სიმაღლეზე დადგენენ: მარიონ ჯონსი 22,62 წამში ჩაეტია, ინგერ მილერმა კი 23,13 წამში გაირბინა. მოკლედ, ეს ყველაფერი შაბათს და კვირას კიდევ დიდებული სანახაობისთვის მოვემზადოთ! ერთი იყო მხოლოდ, ჯონსონმა სირბილის მერე დაიწუწუნა, რაღაც მარჯვენა ბარძაყი ამტკივდა ცოტათი და ის არე უმალ ყინულით შეუფუთეს. მასმედიამ ამბის დაზუსტება სცადა და აქტუალური კითხვა დასვა, ირბენდა თუ არა ჯონსონი მეორე დღეს, მაგრამ მორბენლისგან ვერაფერი შეიტყვეს. აქეთ ჯოუნსი ლაღობდა პრესასთან თავისი ოპტიმისტური განცხადებებით, ოთხ სახეობაში სანაკრებო ადგილი დავიმკვიდრე და ახლა საქმეს ისეთი პირი უჩანს, მეხუთესაც მივაყოლებო.

„ამ დისტანციაზე შარშანდელი წლიდან არ მირბენია — სევილიის მსოფლიო პირველობაზე ზურგის ტრამვის მიღება იგულისხმა ჯონსმა — თუმცა არაფერი გამჭირვებია, ხვალ, მგონი, უკეთეს შედეგს ვუჩვენებ.“

საღამოს ჯონსონის მწვრთნელმა, კლაიდ ჰერტმა მდგომარეობა დაამძიმა: „მე მაიკლს, ალბათ, სირბილისგან თავის შეკავებას ვურჩევ, მისი ტრავმა სერიოზული ჩანს და ახლა რომ ირბინოს, ვაითუ მერე მთავარი საქმე გაიფუჭოს. 200 მეტრი მთელი ოლიმპიადა არაა, მაიკლმა უკვე მოიპოვა სიდნეიში 400 მეტრსა და 4X400-იან ესტაფეტაზე რბენის უფლება. იმ დისტანციებზე ზრუნვაც გვმართებს, ორი კურდღლის დევნა ხანდახან არასწორია.“ კვირა გათენდა და მწვრთნელმა ნათქვამის შინაარსი შეცვალა, ირბენს ჯონსონი, ასე გადავწყვიტეთო და პირველი, უსახური ნახევარფინალის შემდეგ ჯონსონი და გრინი გვერდიგვერდ დადგნენ ბილიკზე. შეკიბრი უცებ არ დაწყებულა, სპორტსმენები აქეთ-იქით დადიოდნენ, კუნთებს ამუშავებდნენ და რახან გრინის და ჯონსონის გვერდიგვერდ ყოფნის ყველა მომენტი საინტერესოა, საგენტო „როიტერმა“ არსებული ვითარებაც შემოუნახა ისტორიას. „ჯონსონი აქეთ-იქით დაიწლაზნებოდა და სადღაც იყურებოდა, გრინი კი ერთ ადგილას გაშეშებულიყო და ქორივით მისჩერებოდა მეტოქეს. მერე ჯონსონმაც შემოხედა და უეცრად ორივეს სიცილი აუტყდა.“ იმ დღეს გრინს 26 წელი შეუსრულდა, თუმცა ჯონსონმა მიულოცა თუ არა, ვერ გეტყვით. უფრო არა, წინა დღეებში პრესით გაცვლილი უკმეხობებით თუ ვიმსჯელებთ.

ახლა კი სენსაციაც. ზემორე ნახსენებ გრანდებს ფინიშთან არცთუ განთქმულმა ვინმემ, ჯონ კეიპელმა მიასწრო. მისი შედეგი გადასარევი არ ყოფილა, 20,03 წამი უჩვენა, მეორეზე ჯონსონი 20,14 წამით გავიდა, გრინი კი — 20,30-ით მესამეზე. ნახევარფინალისთვის აშკარად ცუდი შედეგები იყო, მაგრამ ეს არაფერი, ფინალში გასასვლელად კმაროდა და მაყურებელმაც ის სენსაცია დაივიწყა, მთავარ სეირს მთავარი რბოლისას ენახავთ, დედალ-მამლობა იქ გამოჩნდებაო. ფინალი უარესი გამოდგა. გიჟივით ირბინა კეიპელმა და დიდებული 19,85 წამით საბოლოოდ შევიდა ამერიკის ნაკრებში. ვეტერანი ფლოიდ ჰიერდი მეორე იყო და ყმაწვილი კობი მილერი — მესამე. ოც წამზე წევით არც ერთი ასულა, ჩვენი გმირები კი ჩაფლავდნენ, ოღონდ ამის მიზეზი ტრავმული მუხანათობა იყო და არა რბენის დაბალი სიჩქარე. ჯონსონმა 50 მეტრი ყოჩაღად ირბინა, მომდევნო 30 თითქმის ლასლასით და ბოლოს, ზედ ბილიკზე გაშოტილი სასწრაფო დახმარების წასაყვანი შეიქნა — ტრავმამ მძლეოსანს ყველაზე მოხერხებულ მომენტში უმუხთლა. გრინმა სრული სიჩქარით მეტი გაირბინა, 100 მეტრი მაინც, მერე კი ისიც საცოდავად ათოხარიკდა და როგორც გაირკვა, ჯონსონივით ტრავმის გამო. ვერშემდგარი სანახაობა ამით მორჩა, თუმცა არა მთლად „ტრაელსი“, იქ ერთი-ორი ეფექტური ამბავი მაინც მოხდა. მარიონ ჯონსმა ნახევარფინალი და ფინალი უშფოთველად მოიგო, ფინალი სულაც სეზონის რეკორდით (21,94 წამი) და ინგერ მილერი ორჯერვე მეორე ადგილზე დატოვა (მილერის ფინალური შედეგი 22,09 წამი იყო). სიდნეიში ორივე წავა, ხოლო 800 მეტრზე რბენაში ამერიკის ღირსებას ოლიმპიადაზე რძალ-მულებისგან შემდგარი ტრიო დაიცავს. 22 წლის გასათხოვარი ეიზელ კლარკი პირველი იყო, იმის უფროსი და, ჯოეტა (დიგსის ცოლი), მესამე და შუალედი ამათმა საყვარელმა რძალმა ჯიელ მაილს-კლარკმა შეავსო.

წერილის მთავარი ამბავი მკითხველს დესერტად უნდა ვაახლოთ. ოჯახის, მეგობრების, ახლობლებისა და უბრალოდ თანაქალაქელებისგან (საკრამენტო) შეხურებულმა სტეისი დრაგილამ კვირას ჭოკით დიდებულად ისკუპა და მსოფლიოს რეკორდი დაამყარა. რეკორდი ადრეც მისი საკუთრება იყო, მაგრამ ახლა ერთი სანტიმეტრით მეტია და 4 მეტრითა და 63 სანტიმეტრით გამოისახება. ძნელად, დრაგილას სიდნეიში ვინმემ ოქრო წაართვას...

დავით გულუა

მაიკლ ჯონსონი

საქმის განაწილება შავებში

მერთენსი ურტყამს, კალენს გააქვს

22 ივლისი, კრაისტჩერჩი

ახალი ზელანდია — სამხრეთ აფრიკა

25(19):12(12)

ახალი ზელანდია: კალენი, უმაგა, რობინსონი, ალატინი, ლომუ, მერთენსი (ბრაუნი 67), მარშალი, კრონფელდი (რობერტსონი 73), კრიბი, რენდელი, ბლეკედერი (კაპ.), ფლეველი (მაქსველი 46), მეუვსი, ოლივერი (ჰემეტი 61), ჰოფტი (დაუდი 48)

2 ლ — კალენი; 4 ს — მერთენსი (3), ბრაუნი; 1 ა — მერთენსი

სამხრეთ აფრიკა: მონტგომერი, დელპორტი, ფლეკი (ესტერჰოიზენი 74), ბარი, პოლსე, ფან სტრაატენი, სვონეპაული (ფან დერ ვესტჰოიზენი 74), ერაზმუსი, ფოსი (კაპ.), კრიხე, ფენტერი, ფან დენ ბერგი (ლერუ 70), ფისახი (მეიერი 65), მარე, კემპსონი

3 ს — ფან სტრაატენი; 1 ა — მონტგომერი

ავსტრალიის დამარცხებიდან კვირის თავზე ახალმა ზელანდიამ სამი ერის პირველობის მეორე მატჩი მოიგო, ამჯერად შინ, კრაისტჩერჩში. პირველი შეხვედრისგან განსხვავებით, სამხრეთ აფრიკასთან „ოლ ბლექსმა“ რკინის დაცვის წყალობით იმარჯვა, რამაც დაგვანახა, რომ მას როგორც ღია, ასევე დახურულ თამაშში არ მოეპოვება სწორი.

„ძალიან დამღლელი მატჩი იყო. უფრო მეტი შეცდომა დავუშვით, ვიდრე ავსტრალიასთან, მაგრამ ეს დაბაბულობის ბრალი იყო“ — თქვა მასპინძელთა კაპიტანმა ტოდ ბლეკედერმა.

„ახალზელანდიელები ბრწყინვალედ იცავდნენ თავს“ — ესღა ამოღერღა სტუმართა კაპიტანმა ანდრე ფოსმა, რომლის გუნდიც ტურნირის მომავალ მატჩს 29 ივლისს გამართავს ავსტრალიაში.

შეხვედრის დასაწყისი მთლიანად ახალი ზელანდიის უპირატესობით წარიმართა, თუმცა პირველივე წუთზე მატჩის მომავალი გმირი კრისტიან კალენი კინალამ შესაცვლელი შეიქნა. იგი კორნ კრიხეს შეეჯახა, მაგრამ თამაშის გაგრძელება მაინც შეძლო. ანგარიში სტუმრებმა გახსნეს. მეხუთე წუთზე ბრაამ ფან სტრაატენმა დაახლოებით 45 მეტრიდან გაიტანა საჯარიმო. მერე კი კალენის ჯერი დადგა, უფრო სწორად, ენდრიუ მერთენსის და კალენისა.

„შავების“ მცველმა ჯერ მერთენსის აბრაგანის შემდეგ ყველას მიასწრო ბურთთან (პერსი მონტგომერის შეცდომით იხეირა) და „ქურციკები“ პირველად დაალელოვა. მერე კი მერთენსმა კალენს ფეხით მიაწოდა პასი და მეორე ლელოც გამოცხვა. სამწუხაროდ, ეს მატჩის უკანასკნელი ლელოც გამოდგა.

აქედან მოყოლებული ორივე გუნდი დაცვაში უკეთ თამაშობდა, ვიდრე თავდასხმაში. შედეგად ქულები მხოლოდ ზუსტ დარტყმებსღა მოჰქონდა. 23-ე წუთზე მონტგომერიმ არეკნი გაიტანა და ანგარიშში სხვაობა 4 ქულამდე შეამცირა (10:6). მერთენსის პასუხმაც არ დააყოვნა და მან პირველ ტაიმში ორი საჯარიმოთი და ერთი არეკნით 9 ქულა მოიხვეჭა. ზედ შესვენების წინ ნიკ მალეტის შეგირდები ისევ დაეწივნენ მოწინააღმდეგეს, როცა მათმა დამრტყმელმა ფან სტრაატენმა ორი საჯარიმო გაიტანა. ეს იყო და ეს, ისევე როგორც მანდელას სინზე ორი კვირის წინ, სამხრეთ აფრიკამ მეორე ტაიმში ქულების მოპოვება ამჯერადაც ვერ მოახერხა.

ახალზელანდიელებმა კი უპირატესობის გაზრდა მერთენსისა და მისი შემცვლელის, ტონი ბრაუნის ორი საჯარიმოთი შეძლეს. მეორე ორმოცწუთიანის დანარჩენი ნაწილი კი წარუმატებელ შეტევებსა და ჯაჯგურში გაილია, რამაც მატჩის სანახაობრივი მხარე ძალიან დააზარალა. ერთადერთი მომენტი, როცა „ჯეიდ სტედიუმზე“ თავმოყრილი ხალხი გამოცოცხლდა, სამხრეთაფრიკელების იერიშს მოჰყვა — კალენმა დაცვაშიც ივარგა, თავისი გუნდის სალელოე მოედანზე ბრეიტონ პოლსეს ბურთთან მიასწრო და თავისიანები აშკარა ლელოს გადაარჩინა. შეხვედრის დამთავრებამდე 12 წუთით ადრე კი სტუმრები რიცხობრივ უმცირესობაში დარჩნენ, როცა კრიხე უხეშობისთვის გააძევეს.

სამხრეთ აფრიკამ ზედიზედ მესამე მარცხი იწვნია, რამაც შეიძლება ნიკ მალეტის, როგორც „ქურციკების“ მთავარი მწვრთნელის მომავალზე ცუდი გავლენა იქონიოს. მის ახალზელანდიელ კოლეგა უეინ სმიტს კი, ალბათ, არავინ გააკრიტიკებს რაგბის ახალზელანდიელ მამათაგან, რადგან მისმა გუნდმა წლეულს ყველა მატჩი მოიგო და მშვენივრადაც თამაშობს. თუმცა „შავების“ ქომაგები მაინც უკმაყოფილონი იყვნენ, ორ ლელოზე მეტი ვერ გავიტანეთო.

ასეა თუ ისე, ჯერჯერობით ახალი ზელანდია უძლიერესი ჩანს და მას სამი ერის პირველობაზე მეექვსე ცდიდან მეხუთედ გამარჯვების მშვენიერი შანსიც აქვს.

გაიოზ თალაკვაძე

სატურნირო ვითარება

ახალი ზელანდია	2	2	0	0	1	0	64:47	9
ავსტრალია	1	0	0	1	1	1	35:39	2
სამხრეთ აფრიკა	1	0	0	1	0	0	12:25	0

მეხუთე გრაფაში ოთხი ან მეტი ლელოს გატანისთვის, მეექვსეში კი შვიდი ან ნაკლები ქულით დამარცხებისთვის მინიჭებული პრემიალური ქულებია

რონ კრიბს (ბურთით) პერსი მონტგომერმა ძვრაც ვერ უყო



REUTERS ᲯᲐᲠᲘᲜ ᲑᲝᲚᲓᲘᲜᲒᲘᲡ

პელოტონმა პარიზის ქუჩებშიც გაისეირნა

ᲤᲠᲐᲜᲒᲣᲚᲘ ᲬᲠᲔ ᲘᲡᲔᲕ ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲔᲚᲛᲐ ᲨᲔᲙᲠᲐ

ᲚᲔᲜᲡ ᲐᲠᲛᲡᲢᲠᲝᲜᲒᲛᲐ „ᲢᲣᲠ ᲓᲔ ᲤᲠᲐᲜᲡᲘ“ ᲖᲔᲓᲘᲖᲔᲓ ᲛᲔᲝᲠᲔᲓ ᲛᲝᲘᲒᲝ

ᲓᲐᲡᲠᲣᲚᲓᲐ „ტურ დე ფრანსი“. საფრანგეთის გზებზე ზედიზედ მეორედ იმარჯვა ლენს არმსტრონგმა. უფრო დაწვრილებით მთლიანად შეჯიბრსა და მის სხვადასხვა ჩათვლებში გამარჯვებულებზე ხვალ გიამბობთ, დღეს კი ბოლო სამ ეტაპზე მომხდარის აღწერით შემოვიფარგლოთ.

პარასკევს, როგორც იქნა, ეტაპი მოიგო არმსტრონგმა. ამერიკელმა ინდივიდუალურ რბოლაში თავის მთავარ კონკურენტ იან ულრიხს 25 წამით აჯობა. იგი ამ ეტაპამდე აცხადებდა, რომ თუ ერთ დღეს მაინც ვერ იპირველებდა, მისი საერთო ჩათვლაში გამარჯვება ერთგვაროვად გაუფერულდებოდა. ამიტომაც პარასკევს „პოსტალის“ ლიდერმა ძალ-ღონე არ დაიშურა მიზნის მისაღწევად და დაამტკიცა, რომ ბოლო მთიან ეტაპზე სუსტი გამოსვლა მხოლოდ დროებითი ჩავარდნა იყო. არმსტრონგი ყოველ საშუალედო ფინიშზე საუკეთესო დროს აჩვენებდა და საბოლოოდ მის შედეგთან მიახლოება მხოლოდ ულრიხმა შეძლო, დანარჩენები კი...

სამწლიანი უიღბლობის შემდეგ შაბათს ერიკ ზაბელის დღე გათენდა. ბოლო წლების უცვლელ საუკეთესო სპრინტერს 1997 წლიდან აღარ მოეგო „ტურის“ ეტაპი და ახლა ეს მეოცე ეტაპზე შეძლო. ტელეკომელმა, რომელმაც ფინიშზე მაკივენსა და ბლიილევენსს აჯობა, გახარებულმა განაცხადა: „ძალიან ბედნიერი ვარ. სამი წელი უსაშველოდ დიდი დროა.“ ბერლინელი, ვისაც 7 ივლისს 30 წელი შეუსრულდა, წარმატებას თავის თანაგუნდელებს უნდა უმადლოდეს, რომლებმაც არაფერი დაიშურეს, რათა სპრინტის წინ იგი საუკეთესო მდგომარეობაში ჩაეყენებინათ.

63-ე კილომეტრზე ჯგუფური წაქცევა მოხდა, რის გამოც ჰოლანდიელ მიქაელ ბოგერდს „ტურის“ მიტოვებამ მოუწია. მალე ხუთკაციანი შეტევაც განხორციელდა. ლტოლვილებს კიდევ 13 მრბოლი, მათ შორის იან ულრიხი და კრისტოფ მორო შეუერთდნენ, მაგრამ ამ გაქცევას წარმატება არ ეწერა. მშობლიურ ქალაქ ტრუასთან მიახლოებისას ფრანსუა სიმონმა შეუტია გრეგორი გვიაზდოვსკის და სებასტიან ინოსთან ერთად. ტრიომ ოთხწუთიან უპირატესობასაც მიაღწია, მაგრამ მერე სპრინტერითა გუნდებმა გამოიღეს ხელი და წინწასულებს გეგმები ჩაუფუშეს.

ბოლო ეტაპზე „ტურის“ დამწყები 177 მრბოლიდან სტარტზე მხოლოდ 128 გამოვიდა. „ჩემთვის განსაკუთრებული დღეა. ამას ორი წელი ველოდი“ — თქვა საფრანგეთის დედაქალაქში გამარჯვებულმა იტალიელმა სტეფანო ძანინიმ. ეიფელის კოშკიდან ელისეს მინდვრებამდე რამდენჯერმე დაფარეს გზა მრბოლებმა. მთელი ეტაპის მანძილზე ხან ვინ ცდილობდა გაქცევას და ხან ვინ, მაგრამ სპრინტერთა გუნდები, განსაკუთრებით კი „ტელეკომი“, მათ მცდელობებს უმალ აღკვეთდნენ ხოლმე. საბოლოოდ, ტრადიციისამებრ ჯგუფური სპრინტი იხილა მაყურებელმა, რომელშიც ძანინიმ ზაბელს აჯობა.

ეს იყო და 87-ე „ტურ დე ფრანსი“ ისტორიას ჩაბარდა.

ᲒᲐᲘᲝᲖ ᲗᲐᲚᲐᲫᲒᲐᲫᲔ

ᲛᲔᲪᲮᲠᲐᲛᲔᲢᲔ ᲔᲢᲐᲞᲘ

ფრაიბურგი — მიულუზი, ინდივიდუალური რბოლა, 58,5კმ

1. ლენს არმსტრონგი (აშშ, პოსტალი) — 1სთ 05წთ 01წმ
2. იან ულრიხი (გერმანია, ტელეკომი) — +25წმ
3. კრისტოფ მორო (საფრანგეთი, ფესტინა) — +2წთ 12
4. ტაილერ ჰამილტონი (აშშ, პოსტალი) — +3წთ 01
5. ხოსებ აბელოკი (ესპანეთი, ფესტინა) — +3წთ 26

ᲛᲔᲝᲪᲔ ᲔᲢᲐᲞᲘ

ბელფორი — ტრუა, 254,5კმ

1. ერიკ ზაბელი (გერმანია, ტელეკომი) — 6სთ14წთ 13წმ
2. რობი მაკივენი (ავსტრალია, ფარმ ფრაიტსი)
3. იერონ ბლიილევენსი (ჰოლანდია, პოლტი)
4. რომანს ვაინსტეინსი (ლატვია,ვინი კალდირონლა)
5. მაჭა ვან ჰესვიიკი (ჰოლანდია, მაპეი) — ყველას იგივე დრო

ᲝᲗᲮᲛᲔᲢᲔᲠᲗᲘ ᲔᲢᲐᲞᲘ

პარიზი, ეიფელის კოშკი — ელისეს მინდვრები, 138კმ

1. სტეფანო ძანინი (იტალია, მაპეი) — 3სთ 12 წთ 36წმ
2. ერიკ ზაბელი
3. რომანს ვაინსტეინსი
4. ფრედ როდრიგესი (აშშ, მაპეი)
5. მაჭა ვანჰესვიიკი — ყველას იგივე დრო

ᲡᲐᲑᲝᲚᲝᲝ ᲩᲐᲗᲕᲚᲐ

3622,5კმ

1. ლენს არმსტრონგი — 92სთ 33წთ 08წმ
2. იან ულრიხი— +6წთ 02
3.ხოსება ბელოკი — +10წთ 04
4. კრისტოფ მორო — +10წთ 34
5. რობერტო ერასი (ესპანეთი, კელმე) — +11წთ 50

REUTERS ᲯᲐᲠᲘᲜ ᲑᲝᲚᲓᲘᲜᲒᲘᲡ

ტურის პოდიუმზე: იან ულრიხი, ლენს არმსტრონგი და ხოსება ბელოკი

ᲔᲠᲗᲘ ᲓᲦᲘᲡ ᲘᲡᲢᲝᲠᲘᲐ

22 ᲘᲕᲚᲘᲡᲘ

1990 წლის 22 ივლისს ამერიკელმა გრეგ ლემონდმა, რომელიც „Z“-ის ლიდერი იყო, მესამედ მოიგო „ტურ დე ფრანსი“. მის გამარჯვებაში ლომის წილი დაიდო მთლიანად გუნდმა, მისმა პატრონმა როჟე ზანიემ და სპორტულმა დირექტორმა როჟე ლეჟეიმ. ლემონდის თანაგუნდელებმა ლუზ-არდიდანის ეტაპზე თავიანთი ლიდერის შეტევა კარგად მოამზადეს და მანაც მოიგო, მაგრამ საერთო ჩათვლაში ხუთწამიან უპირატესობას ჩიაპუჩი ინარჩუნებდა. საჭირო იყო მისი ძლევა ინდივიდუალურ რბოლაში. აქ კი ამერიკელს ბედმა უმუხთლა — სეზონში პირველად გაუსკდა საბურავი მარი ბლანკის მთაზე. თუმცა თანაგუნდელებმა არ მიატოვეს. თავიდან სიმონი და ბუაიერი მიეხმარნენ, მერე კი კვალსვოლი და დიუკლო-ლასალი, რომლებიც ლემონდს დაახლოებით შვიდ წუთს დაელოდნენ გზაზე. საბოლოოდ ამერიკელმა გაიმარჯვა, გუნდურ ჩათვლაში კი „Z“ იყო უძლიერესი.

23 ᲘᲕᲚᲘᲡᲘ

დავბრუნდეთ ერთი წლით უკან, კალენდარში კი ერთი დღით წინ წავიწიოთ. 1989 წლის 23 ივლისს თავისი მეორე „ტური“ მოიგო გრეგ ლემონდმა, „ტური“, რომლის ფინალიც ძალიან დრამატული გამოდგა. ხოლო ეტაპი ინდივიდუალური რბოლა იყო, სპორტსმენებს ვერსალიდან ელისეს მინდვრებამდე 24,5 კილომეტრი უნდა გაევლოთ. ლორან ფინიონი მოწინააღმდეგეს 50 წამს უგებდა და წესით, ამ უპირატესობის შენარჩუნება არ უნდა გასჭირვებოდა, მაგრამ მას საზარდული სტკიოდა. ფინიონს ნერვიულობისგან მთელი ღამე არ უძინია. მეორე დღეს პედლებს გაჭირვებით ატრიალებდა, ტკივილი გაუსაძლისი იყო. მერე თქვა კიდეც, მეგონა, წინ ვერ მივიწევდიო. ყოველ კილომეტრზე კარგავდა წამებს, „ტური“ ხელიდან უსხლტებოდა... საბოლოოდ ლემონდმა ფინიონს ეტაპზე 58 წამი მოუგო, საერთო ჩათვლაში კი 8 წამით გადაასწრო, რაც „ტურის“ მთელი ისტორიის მანძილზე ყველაზე მცირე სხვაობაა ჩემპიონსა და ვიცე-ჩემპიონს შორის.

ᲪᲝᲢᲐᲝᲓᲔᲜᲘ ᲒᲔᲝᲒᲠᲐᲤᲘᲐ ᲓᲐ ᲘᲡᲢᲝᲠᲘᲐ



ᲛᲘᲣᲚᲣᲖᲘ აღმოსავლეთ საფრანეთში, ზემო რაინის დეპარტამენტში მდებარეობს, რონა-რაინის არხზე. საფრანგეთის შემადგენლობაშია 1798 წლიდან. განვითარებულია ბამბეულის მრეწველობა და საფეიქრო მანქანათშენებლობა, ქაღალდის წარმოება, ელექტროტექნიკური და სატრანსპორტო მანქანათმშენებლობა. მიულუზის მახლობლად მოიპოვებენ კალიუმის მარილებს. ქალაქის გეოგრაფიული მდებარეობა მის განვითარებას ძალიან უწყობს ხელს. აქედან ორ ნაბიჯშია გერმანია და შვეიცარია. მეტად დინამიური მიულუზი მსოფლიოში ერთადერთი ქალაქია ბინაციონალური აეროდრომი რომ აქვს. გარდა ამისა აქ ევროპაში პირველად აშენდა ტექნიკური მუზეუმები — ავტომობილისა და რკინიგზის ეროვნული მუზეუმები.



52 ᲐᲗᲐᲡᲘᲐᲜᲘ ბელფორი ფრანშ-კომტეს რეგიონში მდებარეობს და საკმაოდ მდიდარი კულტურულ-ისტორიული მემკვიდრეობით იწონებს თავს. არქიტექტურული ნაგებობებიდან გამოსარჩევია ბელფორის კოშკი, ციტადელი, სამხედრო ფორტიფიკაციები და გრანის თეატრი. ახლახან იქ მუზეუმი გაიხსნა, რომელშიც პიკასოს, ბრაკის, შაგალის და სხვათა 100-ზე მეტი ნახატია. ბელფორი ინდუსტრიული ცენტრია, სადაც არსებული ფირმები მულტიმედიაში, ელექტრონიკასა და კომუნიკაციებში არიან სპეციალიზირებულნი. საინტერესოა, რომ ცნობილი, დიდი სიჩქარის მატარებელი (TGV) სწორედ ბელფორში შეიქმნა.

ᲨᲐᲛ�პᲐᲜᲣᲠᲘᲡ სამშობლო შამპანის რეგიონის, ობის დეპარტამენტის მთავარი ქალაქი ტრუა მდინარე სენის ნაპირზეა და ტრიკოტაჟის მრეწველობის მნიშვნელოვანი ცენტრია. გარდა ამისა აქ განვითარებულია საფეიქრო მანქანათმშენელობა, საგალანტერიო ნაწარმის დამზადება, კვების მრეწველობა. ტრუამ „ტურ დე ფრანსს“ მესამედ უმასპინძლა 1939 და 1987 წლების შემდეგ. ამ ქალაქში ველოსპორტი ძლიერ უყვართ და მრავალი ტურნირის პელოტონიც ხშირად გაივლის ხოლმე, ორ აქაურ მრბოლს კი ველოსპორტის და „ტურის“ ისტორიაში დიდი კვალიც დუტოვებია — ესენი მარსელ ბიტო და პასკალ სიმონი არიან.

ᲛᲔᲝᲩᲔ საუკუნის ბოლო „ტურის“ ბოლო ეტაპი საფრანგეთის დედაქალაქში მოეწყო, ეიფელის კოშკიდან ელისეს მინდვრებამდე გზა პელოტონმა რამდენიმეჯერ გაიარა. ჰემინგუეი პარიზს მსოფლიოს ჭიპს უწოდებდა და მართლაც, იგი სამყაროს ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ქალაქია. პარიზი წარმოიშვა მდინარე სენის კუნძულ სიტუზე, გალთა ტომის პარიზიების დასახლება ლუტეციიდან. შემდეგში ლუტეცია რომის იმპერატორის ნაცვლის რეზიდენცია გახდა. 497 წელს ფრანკთა მეფემ ხლოდვიგმა დაიპყრო და 508 წელს თავისი სახელმწიფოს მთავარ ქალაქად აქცია. კარლოს დიდის დროს პარიზი საგრაფოს ცენტრი იყო. 987-წელს ჰუგო კაპეტიგმა პარიზი სამეფოს დედაქალაქად გამოაცხადა. განსაკუთრებით გაიზარდა პარიზის მნიშვნელობა ფილიპ II ოგიუსტის მეფობის დროს (1180-1223). 1215 წელს დაარსდა უნივერსიტეტი სორბონი. XVII საუკუნის მეორე ნახევარსა და XVIII საუკუნეში პარიზი მეცნიერების, ლიტერატურისა და ხელოვნების მსოფლიო ცენტრი გახდა. ქალაქმა გადამწყვეტი როლი ითამაშა საფრანგეთის დიდ რევოლუციაში (ბასტილიის აღება, 1789 წლის 14 ივლისი). პარიზში თავმოყრილია ქვეყნის ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობის 25 პროცენტი. მთავარი დარგია მანქანათმშენებლობა, კერძოდ ავტომშენებლობა, ელექტროტექნიკური და ელექტრონული მრეწველობა. ყოველწლიურად გამოდის 2 მილიონზე მეტი ავტომობილი. ყველაზე დიდი საავტომობილო ქარხნები აქვთ „რენოსა“ და „სიტროენს“. პარიზი მოდის კანონმდებელია. აქ ამზადებენ ქვეყანაში წარმოებული მზა ტანსაცმლის 30 პროცენტზე მეტს. პარიზი მსოფლიოში განთქმულია ტუალეტის საგნების, საგალანტერიო და საიუველირო ნაკეთობების და სუვენირების დამზადებით. აქ თავმოყრილია ფრანგული ბანკების დაახლოებით ნახევარი. დედაქალაქი წამყვან როლს თამაშობს საფრანგეთის საშინაო და საგარეო ვაჭრობაში. მილიონობით ტურისტს 1500-ზე მეტი სასტუმრო ემსახურება. პარიზი არხების საშუალებით უკავშირდება მდინარეებს რაინს, რონას, ლუარას. სამდინარო ნავსადგურის ტვირთბრუნვა 20 მილიონ ტონაზე მეტია წელიწადში. პარიზს აქვს ორი დიდი აეროპორტი — ჩრდილოეთით „შარლ დე გოლი“, სამხრეთით „ორლი“. ქალაქში არის მსოფლიოში ერთ-ერთი უძველესი მეტროპოლიტენი, რომელიც 14 ხაზისგან შედგება. აქვე გადის ოთხი საგარეუბნო მატარებლების ხაზიც. პარიზი მსოფლიოს ერთ-ერთი თავისებური და განუმეორებელი ქალაქია. იგი ყალიბდებოდა საუკუნეთა განმავლობაში და შენარჩუნებული აქვს ჯერ კიდევ შუა საუკუნეების რადიალურ-წრიული სტრუქტურა. მის საფუძველს შეადგენს ქუჩები, რომლებიც ქალაქს კვეთენ ჩრდილოეთიდან სამხრეთისაკენ (სებასტოპოლის, სტრასბურისა და სენ-მიშელის ბულვარები) და აღმოსავლეთიდან დასავლეთისკენ (სენტ-ანტუანისა და სენტ-ონორეს ქუჩები). სენაზე 60-ზე მეტი ხიდია, რომელთაგან უძველესს „ახალი ხიდი“ ჰქვია. პარიზის მთავარი არქიტექტურული ანსამბლებია მართლმსაჯულების სასახლე (1783-86), პარიზის ღვთისმშობლის ტაძარი (1163-1257), ინვალიდების სახლი (1671-76), ეიფელის კოშკი (1289), პანთეონი (1758-90), ლუვრი (1546-XIXს), ტრიუმფალური თაღი (1806-37)... ასეთია მოკლედ უმშვენიერესი და ულამაზესი ქალაქი პარიზი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ᲨᲘᲨᲕᲔᲚᲘ ᲓᲐ ᲨᲘᲨᲕᲔᲚᲘ

ᲓᲘᲓᲘ გაშიშვლება იყო ამ უქმეებზე ბრიტანეთის კუნძულებზე. სპორტულ მოედნებზე შიშვლად გამოვარდნის მოყვარულები შოტლანდიაში ტაიგერ ვუდსის გოლფაობას დადარაჯებიან. მავან ახირებულს უთქვამს, ვინც შიშვლად მიეხლება ვუდსს და ჩაჰკოცნის, ათი ათას გირვანქას მიიღებსო. სენტ ენდრიუსის გოლფ კლუბში, სადაც 129-ედ შეიყარნენ საუკეთესო ყვანჯოსნები, თამამი გოგოები მოუთმენლად ელოდნენ ვუდსის მიერ მეთვრამეტე ორმოს დაპყრობას. მერე კი იხუვლეს... თავად მეგოლფემ კი ბრიტანეთის ღია პირველობა მოიგო და ამით უფრო დარჩა კმაყოფილი.

ირლანდიაში კი „სენტ პატრიკსთან“ სათამაშოდ ჩასული ლონდონის „ვესტ ჰემი“ იქაურ დანგლა ბიჭს გადაეყარა. „ჰემერთა“ დინჯმა და ინტელიგენტურმა მწვრთნელმა ჰარი რედნაპმა ბოთლიც კი სტყორცნა გალეშილ სტიკერს. „ვესტ ჰემმა“ ტრევორ სინკლერის ერთადერთი გოლით მოიგო.

ᲐᲙᲔᲖᲝᲜᲝᲡ ᲙᲘᲓᲔᲕ ᲔᲠᲗᲘ

დიდმა ჩემპიონმა აკებონომ თავისი მეათე დიდი თასი მოიგო. მან ნაგოიას სუმოს ფიცარნაგიდან გაისროლა ჩემპიონი მაიაბამა და თხუთმეტდღიან შეჯიბრში 13 მოგებით ირგო ნაგოიას დიდი თასი. ჰავაური წარმოშობის აკებონომ ცალ ხელში თასი დაიჭირა, მეორეში თავისი ქალიშვილი, გვერდით ცოლი კრისტინა მოისვა და თქვა: „დაე, იყოს ასე.“



ᲒᲠᲐᲜᲢᲘᲡ ᲛᲝᲡᲐᲕᲐᲚᲘ

„დეტროიტ პისტონზის“ ლიდერი გრანტ ჰილი სეზონისწინა ვარჯიშის დაწყებას მკითხავთა სმენით ელის. ცნობილ „ჯადოსნურ ბურთს“ ჩასცქერის და ფიქრობს, აბა თუ შეეიქნები ენბიეის ჩემპიონიო. ორლანდოელი მკითხავი ქალი ისეთ რამეებს ეუბნება გრანტს, რომ ჰორიზონტზე ცუდი არაფერი უნდა ჩანდეს.

ᲡᲐᲠᲑᲘᲔᲚᲘ

ᲡᲞᲝᲠᲢᲣᲚᲘ ᲒᲐᲖᲔᲗᲘ

ᲒᲐᲛᲝᲘᲪᲔᲛᲐ 1990 ᲬᲚᲘᲡ 28 ᲓᲔᲙᲔᲛᲑᲠᲘᲓᲐᲜ

ᲒᲐᲛᲝᲓᲘᲡ ᲡᲐᲛᲨᲐᲑᲐᲗᲘ, ᲝᲗᲮᲨᲐᲑᲐᲗᲘ, ᲮᲣᲗᲨᲐᲑᲐᲗᲘ, ᲞᲐᲠᲐᲡᲙᲔᲕᲡ ᲓᲐ ᲨᲐᲑᲐᲗᲘ

ᲞᲐᲕᲐᲠᲘ ᲠᲔᲓᲐᲥᲢᲝᲠᲘ ᲖᲣᲠᲐᲑ ᲤᲝᲪᲮᲕᲔᲠᲘᲐ
ᲓᲘᲠᲔᲥᲢᲝᲠᲘ ᲒᲘᲝᲠᲒᲘ ᲝᲥᲠᲝᲛᲭᲔᲓᲚᲘᲫᲔ
ᲠᲔᲓᲐᲥᲢᲝᲠᲘ ᲗᲐᲛᲐᲖ ᲛᲘᲒᲠᲘᲐᲣᲚᲘ
ᲛᲗᲐᲕᲐᲠᲘ ᲠᲔᲓᲐᲥᲢᲝᲠᲘᲡ ᲛᲝᲐᲓᲒᲘᲚᲔᲔᲑᲘ ᲘᲚᲘᲐ ᲑᲐᲑᲣᲜᲐᲨᲕᲘᲚᲘ
ᲐᲕᲗᲐᲜᲓᲘᲚ ᲒᲣᲠᲐᲡᲐᲨᲕᲘᲚᲘ
ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲤᲔᲮᲑᲣᲠᲗᲘᲡ ᲠᲔᲓᲐᲥᲢᲝᲠᲘ ᲕᲐᲮᲢᲐᲜᲒ ᲑᲖᲘᲙᲐᲫᲔ
ᲣᲪᲮᲝᲣᲠᲘ ᲤᲔᲮᲑᲣᲠᲗᲘᲡ ᲠᲔᲓᲐᲥᲢᲝᲠᲘ ᲡᲝᲚᲝᲛᲝᲜ ᲒᲣᲚᲘᲡᲐᲨᲕᲘᲚᲘ
ᲘᲜᲤᲝᲠᲛᲐᲪᲘᲘᲡ ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲘᲡ ᲠᲔᲓᲐᲥᲢᲝᲠᲘ ᲡᲝᲡᲝ ᲙᲝᲢᲝᲠᲔᲘᲨᲕᲘᲚᲘ
ᲢᲔᲥᲜᲘᲙᲣᲠᲘ ᲠᲔᲓᲐᲥᲢᲝᲠᲘ ᲒᲣᲠᲐᲛ ᲮᲔᲚᲐᲨᲕᲘᲚᲘ
ᲙᲐᲚᲐᲗᲑᲣᲠᲗᲘᲡ ᲒᲐᲜᲧᲝᲤᲘᲚᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲛᲒᲔ ᲛᲔᲠᲐᲑ ᲠᲐᲢᲘᲨᲕᲘᲚᲘ
ᲤᲔᲮᲑᲣᲠᲗᲘᲡ ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲐ. ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲒᲐᲜᲧᲝᲤᲘᲚᲔᲑᲐ კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, პაატა კვანტალიანი; **უცხოური განყოფილება** გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, ზურაბ მეძველია, ვანო ოქროპირიძე; **ინფორმაციის რედაქცია** გია ახალაძე, დავით გულუა, ირაკლი თავაძე, ავთანდილ სვანიძე; **კალათბურთის განყოფილება** გიო ახვლედიანი, გიორგი ბიკაშვილი, **კორესპონდენტი ქუთაისში** იუზა კაციტაძე **ფოტორეპორტიორები** გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე **სტილისტები** მაია აბზიანიძე, ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი **კომპიუტერული ცენტრი** ელენე გელუტაშვილი, სვეტა დევაძე, მაგდა დოგრაშვილი, კახა თალაკვაძე, ტრისტან კახურაშვილი, ნინო კედელაშვილი, დავით ნადირაშვილი, მარიკა ტაბიძე, თენგიზ ფოფხაძე, თამარ შიოლაშვილი, გიორგი ხარატიშვილი
გამომშვები ზურაბ ინაშვილი

რედაქციის მისამართი: თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი: თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. **ტელეფონი:** 39 48 29
ელექტრონული ფოსტა sarbieli@iberiapac.ge
ელექტრონული ვერსია http://www.sarbieli.com.ge